ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სადოქტორო პროგრამა: კონფლიქტების ანალიზი და მართვა

გურამ ანანეიშვილი

შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტი მრავალეთნიკურ საზოგადოებაში

სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია კონფლიქტოლოგიის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ზურაბ აბაშიძე

თბილისი
2025 წელი

აბსტრაქტი

სადისერტაციო ნაშრომი ფოკუსირებულია მრავალეთნიკურ საზოგადოებაში შეიარაღებული კონფლიქტის წარმოქმნის მიზეზებისა და პირობების შესწავლაზე. კვლევის ობიექტი სახელმწიფოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებს შიგნით მიმდინარე შეიარაღებული დაპირისპირებაა. აგრეთვე, ის ეკონომიკური, სოციალური, გეოპოლიტიკური და დემოგრაფიული წინაპირობები, რომლებშიც ის წარმოიშვა.

რაოდენობრივი მონაცემების ანალიზის პერიოდად აღებულია 1976-2005 წლები. ანალიზის სამიზნე პოპულაციას წარმოადგენს იმ შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტის შესახებ არსებული მონაცემები, რომელიც დროის მოცემულ მონაკვეთში წარმოიშვა მთელს მსოფლიოში. ასევე, ორი შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტის, კვიპროსის და ბოსნია ჰერცეგოვინის შემთხვევები. კვლევაში სხვადასხვა ეტაპზე გამოყენებულ იქნა როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ: დოკუმენტების ანალიზი, აგრეგატების მონაცემთა ანალიზი, ტენდენციის ანალიზი, პანელური კვლევები, შემთხვევის შესწავლის მეთოდი და შედარებითი ანალიზი.

კონფლიქტის სხვადასხვა თეორიების მიხედვით კვლევის შედეგების ინტერპრეტაციამ, გამოავლინა რომ ცალკე აღებული ნებისმიერი თეორიის ფარგლებში შეუძლებელი იყო მონაცემების თანმიმდევრული ანალიზი. აქედან გამომდინარე, შეიქმნა ორიგინალური კონცეფცია, რომელიც ეფუძნებოდა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების შედეგებს.

ჩატარებული კვლევითი სამუშაოების შედეგების საფუძველზე იდენტიფიცირდა სხვადასხვა სახის მტკიცებულება, რომლის თანახმადაც შეიარაღებული დაპირისპირების წარმოქმნისთვის საჭირო პირობების ჩამოყალიბება ეთნიკური მრავალფეროვნების არსებობას დამოუკიდებლად არ შეუძლია. საკვლევი ობიექტების აბსოლუტურ უმრავლესობაში კონფლიქტის წინა პერიოდები ხასიათდებოდა საერთაშორისო პოლიტიკასა და სახელმწიფოს

მმართველობაში რადიკალური ცვლილებებით, რომელთა ფონზე მანამდე არსებული ურთიერთობი და მართვის პრინციპები არარელევანტური ხდებოდა, როგორც ეროვნულ ისე საერთაშორისო დონეებზე.

სწრაფი და დიამეტრული ცვლილებები მოსახლეობის პოლიტიკურ დეზორიენტაციას იწვევდა. ხოლო აწინდელი ნორმატიული მექანიზმების დისფუნქცია, როგორც სოციო-ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ სფეროებში, დევიაციის ნორმალიზებისა და ქაოსის მიზეზი ხდებოდა. რასაც ემატებოდა მწვავე ეკონომიკური პრობლემები და მძაფრი კონკურენცია სხვადასხვა სახის რესურსებზე.

შექმნილი გაურკვევლობით გამოწვეული კრიზისი ადამიანებს უბიძგებდა მათთვის ისტორიულად გამოცდილ, გასაგებ და ამბივალენტურობის ნაკლების პერსპექტივის მქონე იდენტობების გარშემო გაერთიანებისკენ. ვინაიდან ეთნიკურის წარმომავლობა მინიმალურად ექვემდებარება ცვლილებას და ამავდროულად, იშვიათია სახელმწიფო, რომლის მოსახლეობა მონოეთნიკურია, მრავალ მაგალითში ვხვდებით ეთნიკური იდენტობის გარშემო მობილიზებულ ჯგუფებს. რაც, ხშირ შემთხვევაში, ეთნიკური მრავალფეროვნებისგან სრულიად განსხვავებული ფაქტორებით არის განპირობებული.

გარდა ამისა, კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მიუხედავად სახელმწიფოში არსებული სოციო-პოლიტიკური მდგომარეობის და ეთნო-რელიგიური ეკლექტურობისა, შეიარაღებული კონფლიქტი წარმოიქმნება მხოლოდ იქ, სადაც არსებობს მოცემული სამი პირობა: კონფლიქტის მინიმუმ ერთ მხარეს არსებულ ჯგუფს უნდა გააჩნდეს მობილიზაციის გეოგრაფიული ადგილი, სადაც შეძლებენ ფიზიკურ კონცენტრაციას. შეიარაღებული კონფლიქტის განგრძობითად წარმოებისთვის უნდა არსებობდეს რესურსი - ადგილობრივი ან გარე აქტორის მიერ მოწოდებული. კონფლიქტის მხარის კონცენტრაციის რეგიონი, სახელმწიფო საზღვართან უნდა მდებარეობდეს, რაც ამცირებს მათ იზოლაციის რისკს და შესაძლებლობას ქმნის, განგრძობითი დაპირისპირებისთვის საჭირო რესურსები სხვა ქვეყნებიდან მიიღონ.

საკვანძო სიტყვები: შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტი; მრავალეთნიკური საზოგადოება; რადიკალური სოციო-პოლიტიკური ცვლილებები; პოლიტიკური ანომია.

Abstract

The research of the circumstances and causes of armed conflict's emergence in a multiethnic society is the main goal of the dissertation. The subject of the study is the armed conflict that exists within one state's internationally recognised borders, as well as the geopolitical, social, economic, and demographic circumstances that led to its emergence.

The years 1976–2005 are taken to be the time frame for quantitative data analysis. The data on all documented intra-state armed conflicts that took place worldwide within a specific time frame make up the analysis's target population. In addition, there are the cases of Bosnia and Herzegovina and Cyprus, two intrastate armed conflicts. The study employed a combination of qualitative and quantitative methodologies at various phases, including document analysis, trend analysis, aggregate data analysis, panel studies, case study methodology, and comparative analysis.

The research findings, when interpreted in light of various conflict theories, showed notable inconsistencies in the direction of a coherent analysis within the scope of each theory considered separately. Thus, an innovative approach was created utilising the results of both qualitative and quantitative research.

Many forms of evidence were found based on the research findings, indicating that ethnic diversity by itself is insufficient to create the conditions that must exist for armed conflict to arise. The pre-conflict periods in the great majority of the research objects were marked by massive changes in state governance and international politics, which made the pre-existing relationships and management principles irrelevant to the realities of the present time, both domestically and globally.

People became politically disoriented due to rapid and drastic changes that occurred within and around the states. Furthermore, deviation and disorder became the norm due to the outdated normative systems' breakdown in the political and socioeconomic domains. This was accompanied by severe economic issues and fierce rivalry for resources.

People gathered around identities that were less ambiguous, more understandable, and based on historical experience as a result of the crises that the uncertainty caused. We find groups mobilised around ethnic identity in many examples of destructive processes at this level since ethnic origin is not very subject to change, and a state with a mono-ethnic population is somewhat uncommon.

Furthermore, the study's findings demonstrated that armed conflict only happens in the following three circumstances, irrespective of the state's sociopolitical climate and level of ethnoreligious eclecticism: a location of mobilisation must exist where a group on one or both sides of the conflict can gather in person. An armed conflict requires financial and military support from foreign partners or local resources in order to continue. One of the warring sides' areas of concentration is typically found near a state border or the sea, which lowers the possibility of their isolation and gives them a chance to obtain supplies from other countries.

Keywords: Intrastate armed conflict; multiethnic society; radical sociopolitical change; political anomie.

სარჩევი

I. შესავალი 1

1.1 საკვლევი საკითხის აქტუალობა 1

1.2 კვლევის სიახლე და პრაქტიკული ღირებულება 7

1.3 კვლევის მიზანი და ამოცანები 8

1.4 კვლევის კითხვა 10

1.5 ცნებათა კონცეპტუალიზაცია 11

1.6 ნაშრომის სტრუქტურა 14

II. კვლევის მეთოდოლოგია 15

III. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა 20

3.1 შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტი 20

3.2 საზოგადოების მრავალეთნიკურობა 37

IV. კვლევის შედეგები 43

4.1 აგრეგირებულ მონაცემთა ანალიზი 43

4.2 ტენდენციის ანალიზი და პანელური კვლევა 60

V. კვლევის შედეგების ანალიზი ალტერნატიული პერსპექტივიდან 75

5.1 საზოგადოება სწრაფი და რადიკალური ცვლილებების პერიოდში 77

5.1.1 პოლიტიკური ანომია და სამოქალაქო კონფლიქტი 80

5.1.2 კონფლიქტის ესკალაციისთვის საჭირო სხვა გარემოებები 83

5.2 კვიპროსის და ბოსნია-ჰერცეგოვინას შემთხვევათა ანალიზი 85

5.2.1 შეიარაღებული კონფლიქტი კვიპროსში 85

5.2.2 შეიარაღებული კონფლიქტი ბოსნია-ჰერცეგოვინაში 89

5.3 ბოსნია-ჰერცეგოვინასა და კვიპროსში საზოგადოებების „ანომიური“ მდგომარეობის გამომწვევი საერთაშორისო ფაქტორები კონფლიქტის წინა პერიოდებში 92

5.4 „ანომიური“ მდგომარეობის გამომწვევი შიდა ფაქტორები კონფლიქტის წინა პერიოდში კვიპროსისა და ბოსნია-ჰერცეგოვინის მაგალითზე 102

5.5 ეთნიკური მრავალფეროვნების საკითხი 119

დასკვნა 124

ბიბლიოგრაფია 130

აბრევიატურათა ჩამონათვალი

EOKA - კვიპროსელი მებრძოლების ეროვნული ორგანიზაცია.

GINI - ინდექსი წარმოადგენს მონაცემების გაფანტულობის საზომს, რომელიც ასახავს უთანაბრობას მონაცემთა განაწილებაში. ჯინის ინდექსი გამოიყენება პოპულაციაში შემოსავლებისა და კეთილდღეობის საზომად.

HDI - ადამიანის განვითარების ინდექსი. „გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის“ მეთოდოლოგია, რომელის საზომებს წარმოადგენენ სახელმწიფოში ჯანდაცვის, განათლებისა და ღისრეული ცხოვრებისთვის საჭირო შემოსავლის მონაცემები.

HDZ - ბოსნიელი ხორვატების დემოკრატიული გაერთიანება. პოლიტიკური ორგანიზაცია ბოსნია-ჰერცეგოვინაში.

MPLA - ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობა.

NLFA - ანგოლის ეროვნული განთავისუფლების ფრონტი.

PKK - ქურთთა მუშათა პარტია. ეთნიკური თურქებით დაკომპლექტებული პოლიტიკური პარტია თურქეთში, რომელიც დღეს ტერორისტულ ორგანიზაციად არის მიჩნეული ოფიციალური ანკარას მიერ.

SDA - დემოკრატიული მოქმედების პარტია. უმეტესად ბოსნიაკებით დაკომპლექტებული პოლიტიკური ორგანიზაცია ბოსნია-ჰერცეგოვინაში.

SDS - სერბული დემოკრატიული პარტია. პოლიტიკური ორგანიზაცია ბოსნია-ჰერცეგოვინაში.

TMT - თურქული წინააღმდეგობის მოძრაობა კვიპროსში.

UCDP - უფსალას უნივერსიტეტის მონაცემთა პროგრამა

UNITA - ეროვნული კავშირი ანგოლის სრული დამოუკიდებლობისათვის.

UNPROFOR - გაერთიანებული ერების სამხედრო დაცვის ძალები.

I. შესავალი

1.1 საკითხის აქტუალობა

XX საუკუნის მეორე ნახევარში წარმოქმნილ მნიშვნელოვან და ხანგრძლივად მიმდინარე შიდასახელმწიფოებრივ შეიარაღებულ კონფლიქტთა უმრავლესობა ეთნო-პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა (Gurr, 1993) (Vadyrynen, 1994). აღნიშნული მოცემულობა საუკუნის დასაწყისში სოციალურ და პოლიტიკურ სამეცნიერო დისციპლინებში მოღვაწე მოაზროვნეებს სრულიად სხვაგვარად წარმოედგინათ. მათი უმეტესობის აზრით, მეცნიერების გარდაუვალ განვითარებას და მის თანმდევ მოდერნიზაციას ეთნიკური იდენტობის საზღვრები უნდა მოერღვია და უფრო ფართო საზოგადოებრივი ერთობების ჩამოყალიბებისთვის სტიმული მიეცა (Gurr, 1994).

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში მიმდინარე მოვლენების გააზრების და კონცეპტუალიზაციისთვის არაერთი თეორია შეიქმნა, რომელიც სხვადასხვა პერსპექტივიდან აანალიზებდა სახელმწიფოს შიგნით წარმოქმნილი კონფლიქტების გამომწვევ მიზეზებს. მათი ნაწილი დაპირისპირების განმაპირობებელ ფაქტორებს ეთნიკურ, რელიგიურ თუ სხვა სახის კულტურულ მრავალფეროვნებაში ხედავდა. სხვები აქცენტს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ასპექტებზე აკეთებდნენ (Djankov & Reynal-Querol, 2007).

თანამედროვე სახელმწიფოთა აბსოლუტურ უმრავლესობა ეთნიკურად მრავალფეროვანი საზოგადოებაა. შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტების წარმოქმნის სიხშირე აქტუალობას არ უკარგავს ეთნიკურ ეკლექტურობას, როგორც სახელმწიფოთა მშვიდობანი და სტაბილური განვითარებისთვის შესაძლო გამოწვევას, რომელიც ადამიანის ფუნდამენტური უფლებების და თავისუფლებების დაცვის პარალელურად უნდა გადაილახოს.

მოცემულობა სახელმწიფოთა საზოგადოებების არამონოლითურობის შესახებ, აჩენს კითხვასაც: ეთნიკური ეკლექტურობაა სახელმწიფოში შეიარაღებული კონფლიქტების გამომწვევი მთავარი მიზეზი, თუ მრავალ კონფლიქტურ შემთხვევაში

მრავალეთნიკურობა წინა პლანზე იმიტომ გვხვდება, რომ ქვეყნების უმრავლესობა სწორედ მულტიეთნიკურია? კითხვის არსებობის საფუძველს არაერთი მეცნიერის მოსაზრებებაც გავძლევს.

ერთი მხრივ, შიდასახელმწიფოებრივ შეიარაღებულ კონფლიქტში ჩართული ჯგუფის მობილიზაციისთვის აუცილებელია საერთო იდენტობა (Tilly, 1978) (Horowitz, 1985). თუმცა, აღნიშნული ფენომენი შეიძლება იყოს როგორც ეთნო-კულტურული, ისე პოლიტიკური ან სოციალური ხასიათის. მეორე მხრივ, ფართომასშტაბიანი დაპირისპირება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში განვითარდეს, როდესაც არსებობს შესაბამისი პოლიტიკური მოცემულობა. აღნიშნულს სტიურატ კაუფმანი კონფლიქტისთვის საჭირო „მომენტუმს“ უწოდებს (Kaufman, 2006).

შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტების წარმოქმნაში კიდევ ერთ გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს სახელმწიფო ინსტიტუტების უნარიანობა მოახერხონ კანონის უზენაესობის დაცვა ან წესრიგის უზრუნველყოფა (Floros, 2009). ნახსენებს კონფლიქტის ეკონომიკური თეორიის მომხრეების მოსაზრებებიც ემატება (Collier & Hoeffler, 2004) (Blattman & Miguel, 2010), რომელთაც მიაჩნიათ, რომ ამგვარი კონფლიქტების წარმოქმნის რეალური პრობლემა სოციალურ და ეკონომიკურ მიზეზებშია.

როგორც ვხედვათ, შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტის დაწყების მოცემული მიზეზები ეთნიკური მრავალფეროვნების მიმართ მეტწილად ნეიტრალურია. რადგან აღწერილი პრობლემების ერთობლიობამ კონფლიქტი, შესაძლოა, მონოეთნიკურ საზოგადოებაშიც გამოიწვიოს.

აღნიშნული მოსაზრების საპირისპიროდ, ეთნიკური მრავალფეროვნების, როგორც შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტის წარმოქმნის მთავარი ფაქტორის, მომხრეებს მაგალითი მეოცე საუკუნის ისტორიიდან სხვადასხვა მოჰყავთ: როდესაც ქვეყანაში არსებულმა პოზიტიურმა ეკონომიკურმა ვითარებამ და სახელმწიფოს მეტ-ნაკლებად გამართულმა ფუნქციონირებამ ხელი ვერ შეუშალა ეთნიკურ ან ზოგადკულტურულ ნიადაგზე კონფლიქტის განვრცობას და შეიარაღებულ დაპირისპირებას (მაგალითად: ლიბანი).

თუმცა, როგორც კონფლიქტის ეკონომიკური თეორიის (და ზოგადად კონფლიქტში მატერიალური ფაქტორების, როგორც მთავარი მიზეზის), ისე ეთნიკური განსხვავებულობის, როგორც მთავარი ფაქტორის, მომხრეთა კონცეფციების საწინააღმდეგოდ, შეგვიძლია არაერთი ქვეყნის მაგალითი მოყვანა. მრავლადაა შემთხვევები, როდესაც ერთ სახელმწიფოში, თითქმის თანაბარ ეკონომიკურ პირობებში მცხოვრებმა ცალკეულმა ეთნიკურმა ჯგუფებმა გადაწყვიტეს საკუთარი ინტერესებისთვის შეიარაღებული ბრძოლა, ხოლო იგივე ქვეყანაში მცხოვრებმა სხვა, ზოგ შემთხვევაში უფრო მრავალრიცხოვანმა, ჯგუფებმა კი არა (მაგ. რუსეთის ფედერაცია, მოლდოვა, ყოფილი იუგოსლავია).

მსგავსი შემთხვევების ასახსნელად ხშირად განიხილავენ უცხო სახელმწიფოების ღია თუ ფარულ მოქმედებას, რომლებიც მხარს უჭერენ ან სტიმულს აძლევენ ცალკეული ჯგუფების აქტივობას ცენტრალური ხელისუფლების საწინააღმდეგოდ. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, უცხო ქვეყნის ქმედებები სხვა სახელმწიფოებში, როგორც წესი, იწვევს არსებული შიდა კონფლიქტების ესკალაციას (საუბარია ღია ჩარევაზე) (Bader & Ianchovichina, 2017).

უცხო სახელმწიფოს სამხედრო ინტერვენცია ობიექტურად განსაზღვრად ფენომენს წარმოადგენს. ისევე, როგორც ცალკეული ქვეყნის მთავრობის მიერ სეპარატისტების მხარდაჭერის დადასტურებული ფაქტები (მაგ. ჩვენს მიერ უკვე ნახსენები დნესტრისპირეთი ან ბოსნიის ავტონომიური ერთეული „სერბსკა“ და საქართველოში მიმდინარე პროცესები მეოცე საუკუნის მიწურულს). განსხვავებით მსგავსი ქმედებებისა, სხვა ქვეყნების ფარული ან ჰიბრიდული მეთოდებით ზემოქმედება ემპირიულად რთულად განსასაზღვრია.

გარე გავლენის, როგორც მთავარი და საერთო ფაქტორის საპირისპიროდ, შეგვიძლია მოვიყვანოთ სხვადასხვა სახის მონაცემი, რომელთა თანახმად, შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტების წარმოქმნის ინტენსივობაზე ცივი ომის დასრულებას არსებითი გავლენა არ მოუხდენია (Gleditsch et al, 2002). აღნიშნული მოცემულობა კიდევ ერთი თავსატეხია კონფლიქტის თეორიისთვის. როგორც ცნობილია, ცივი ომისთვის დამახასიათებელი იყო ე.წ „პროქსი ომები“, რაც

გულისხმობდა ცალკეულ სახელმწიფოებში მოკავშირე ჯგუფების მხარდაჭერას. დაპირისპირებული ბანაკებისათვის სასურველი ჯგუფების რესურსებით მომარაგება ხშირად ხდებოდა შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული დაპირისპირებების მიზეზი (Bar-Siman-Tov, 1984). 1991-2005 წლებში საერთაშორისო პოლიტიკაში აღარ არსებობდა ორი დაპირისპირებული ბანაკი, რომელბიც ერთმანეთის მოკავშირეე დასაზიანებლად მრავალფეროვან ხერხებს ღიად მიმართავდნენ. თუმცა, მსოფლიოში სამოქლაქო ომების რაოდენობა არ შემცირებულა.

შიდასახელმწიფოებრივ შეიარაღებულ კონფლიქტებზე დაკვირვება აჩვენებს იმასაც, რომ, ხშირად რთულია მსგავსი მოვლენა რომელიმე კონკრეტული მიზეზით აიხსნას, ვინაიდან არსებული საფრთხის შემცველი ვითარებები, რიგ შემთხვევებში წარმოადგენს სხვადასხვა პრობლემის სინერგიას.

შესაბამისად, გაურკვეველად რჩება ეთნიკურად მრავალფეროვანი საზოგადოების მიმართება შეიარაღებულ სამოქალაქო კონფლიქტთან. ის შესაძლოა მივიჩნიოთ როგორც აპრიორულად სავარაუდო საფრთხის მატარებელი კონფლიქტისთვის. რის საფუძველსაც მეოცე საუკუნიდან დღემდე არესბული არაერთი შემთხვევა გვაძლევს. მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, გარე გავლენების, პოლიტიკური მმართველობისა და სოციო-ეკონომიკური ფაქტორების, როგორც კონფლიქტის მთავარი და არსებითი მიზეზების უგულებელყოფა მოგვიწევდა. მეორე მხრივ, თუკი აღნიშნული ფაქტორები თამაშობენ გადამწყვეტ როლს დაპირისპირების წარმოქმნაში, მათი დესტრუქციული შედეგები იგივე წარმატებით შეიძლება რეალიზდეს მონოეთნიკურ საზოგადოებაშიც. შესაბამისად, მრავალეთნიკურობის, როგორც ფაქტორის, წონა განუსაზღვრელად მცირდება.

ამასთან ერთად, რაკი საზოგადოებათა უმრავლესობა მრავალეთნიკურია, ნებისმიერი მიზეზით გამოწვეული პრობლემა ეთნიკური მრავალფეროვნებით რეალიზდება, ამგვარი საზოგადოება შესაძლოა განვიხილოთ როგორც ერთგვარი უნებლიე მძევალი სხვა ფაქტორებით გამოწვეული პრობლემებისა, რომლებიც კონფლიქტურ ვითარებას მონოეთნიკურ საზოგადოებაშიც გამოიწვევდა. ესეიგი, მრავალეთნიკურობა შეიძლება

მივიჩნიოთ, მხოლოდ ერთ-ერთი შესაძლო მიზეზად, იმ წინაპირობებს შორის, რომლებიც შეიარაღებულ კონფლიქტს იწვევენ.

მოცემულ ურთიერთგამომრიცხავ მოსაზრებებს, თითოეულს საკუთარი, მეცნიერული და ემპირიული არგუმენტი აქვს. მსგავსი მოცემულობა კიდევ ერთი დაშვების საშუალებას იძლევა: აღნიშნული შესაძლოა მიუთითებდეს რაიმე სახის კანონზომიერების არ არსებობაზე შეიარაღებულ სამოქალაქო კონფლიქტების შემთხვევებს შორის. მსგავს ვითარებაში ეჭვქვეშ დადგება სხვადასხვა ქვეყნის მაგალითის შესწავლის საფუძველზე საერთო მახასიათებლების გენერალიზაციისა და კატეგორიზების მცდელობა.

შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების კვლევა საგულისხმოა საქართველოს ტიპის ქვეყნებთან მიმართებითაც, რადგან რთული რეგიონი, ეთნიკურად ეკლექტური საზოგადოება და მიმდინარე ოკუპაცია, რომლის წარმოჩენა ოკუპანტს ეთნიკურ კონფლიქტად სურს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანს ხდის მსგავსი პრობლემების წარმოქმნის ფაქტორებისა და მათი ნიველირების საშუალებათა ანალიზს.

1.2 კვლევის სიახლე

მოცემულ კვლევას სხვა მსგავს თემაზე განხორციელებული კვლევების უმეტესობისგან გამოარჩევს საკვლევ პერიოდში (1976-2005 წ.წ.) მთელს მსოფლიოში წარმოქმნილი შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტების შესახებ არსებული მრავალმხრივი რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი სხვადასხვა პერსპექტივიდან.

კონფლიქტების წარმოქმნის არა მხოლოდ ზოგადი ტენდენციის, არამედ აღნიშნული ტენდენციის გამომწვევი ფაქტორების კვლევა როგორც საერთაშორისო პოლიტიკაში, ისე ეროვნულ დონეზე, ერთმანეთის პარალელურად.

მონაცემთა ანალიზის შედეგების ინტერპრეტირება კონფლიქტების შესახებ არსებული ყველა ძირითადი თეორიის პარადიგმაში.

კონკრეტული პერიოდის კონფლიქტების შესახებ არსებულ მონაცემებზე დაფუძნებით აგებულ იქნა ალტერნატიული კონცეპტუალური ჩარჩო, რომელიც მრავალეთნიკური საზოგადოების, როგორც კონფლიქტის წარმოქმნის ფაქტორის გადააზრების საშუალებას ქმნის და სხვადასხვა თეორიაში უკვე არსებული მოსაზრებების ძირითად ასპექტებს აერთიანებს.

მოცემულ ნაშრომში საკვლევ პერიოდში წარმოქმნილ შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტების მქონე სახელმწიფოთა შესახებ აკუმულირებულია სხვადასხვა სახის რაოდენობრივი მონაცემები, რომელთა გამოყენება წარმატებითაა შესაძლებელი სხვა მკვლევრების მიერ არაერთი საკითხის შესწავლისა და კვლევის მიზნით.

შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტების შესახებ შექმნილი თეორიებისა და კონცეფციების მეტაანალიზი აერთიანებს ყველა იმ ძირითად და გავლენიან მოსაზრებას, რომელიც ამ ტიპის დაპირისპირების წარმოქმნის ფაქტორებზე არსებობს. შესაბამისად, საკითხის შესწავლით დაინტერესებულ პირს საშუალება ექნება ერთი ტექსტის ფარგლებში გაეცნოს განსხვავებულ შეხედულებებს და მათ კრიტიკულ ანალიზს.

ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული მონაცემთა ანალიზის შედეგებზე დაფუძნებით შექმნილი ალტერნატიული თეორიული ჩარჩო, წარმოადგენს ფაქტორთა სტრუქტურულ ერთობას, რომელიც აერთიანებს შიდასახელმწიფოებრივი

კონფლიქტის წარმოქმნასთან აქამდე დაუკავშირებელ მიზეზებს. აღნიშნული მიდგომა დაეხმარებათ სფეროს სპეციალისტებსა და მკვლევრებს განსხვავებული პერსპექტივიდან გააანალიზონ შესაძლო დაპირისპირების წინაპირობები.

1.3 კვლევის მიზანი და ამოცანები

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე შეიქმნა სხვადასხვა, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი, თეორია შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტის გამომწვევ მიზეზთა შესახებ, რომელთაგან თითოეულს საკუთარი ემპირული არგუმენტები გააჩნია. ამავდროულად, თითქმის ვერ ვხვდებით შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტის შემთხვევას, სადაც მოცემული თეორიების პოსტულატებიდან მხოლოდ ერთი იკვეთებოდეს (მაგ: მხოლოდ ეთნიკური ფაქტორი პოლიტიკურის, საგარეო გავლენის ან ეკონომიკურის გარეშე). მსგავსად კომპლექსურ და ბუნდოვან საკითხში ერთი კვლევით სრული სიცხადის შეტანა პრაქტიკულად შეუძლებელია. სირთულეს წარმოადგენს ყველა ზემოთ განხილული მეცნიერული ვარაუდის ერთი ნაშრომის ფარგლებში შესწავლაც.

აღნიშნულის გათვალისწინებით კვლევის მიზნად დასახულ იქნა შესაძლო საერთო ფაქტორის ან ფაქტორთა კომპლექსის ძიება, რომელიც განსხვავებული სოციო-კულტურული ნიადაგის მიუხედავად, შესაძლოა შეიარაღებული კონფლიქტის წარმოქმნის მიზეზი ყოფილიყო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომი ფოკუსირდება მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივ შეიარაღებულ კონფლიქტზე, რადგან სხვადასხვა სახის დაპირისპირება, რომელიც საზოგადოებაში ვლინდება (ეკონომიკაში, პოლიტიკასა თუ სხვა სფეროში), რთულია ერთმნიშვნელოვნად ნეგატიურად მივიჩნიოთ, თუკი კონკურენციის/დაპირისპირების პროცესი კანონიერ და დემოკრატიულ ჩარჩოში მიმდინარეობს. აღნიშნული ტიპის აზრთა (და შესაძლოა ინტერესთა) სხვადასხვაობა დემოკრატიულ სახელმწიფოს განუყოფელ კომპონენტს წარმოადგენს.

კვლევის პირველად ამოცანას წარმოადგენდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით, კონკრეტულ დროით ინტერვალში (1976-2005 წ.წ.), მსოფლიოში

წარმოქმნილი შეიარაღებულ სამოქალაქო კონფლიქტებში განსაზღვრულიყო იმ სხვადასხვა მთავარ ფაქტორთა რაოდენობრივი მაჩვენებლები, რომლებიც ცალკეული და ურთიერთსაწინააღმდეგო კონფლიქტის თეორიების მიხედვით შიდასახელმწიფოებრივი დაპირისპირების მთავარ მიზეზად განიხილება. აღნიშნული კვლევითი აქტივობა, საერთო და მთავარი ფაქტორის ძიების პროცესში, საშუალებას მოგვცემდა გვქონოდა უფრო ნათელი წარმოდგენა რაოდენობრივი მაჩვენებლებით ყველაზე უფრო გავრცელებული მიზეზების შესახებ.

კვლევის შემდგომი ამოცანა გულისხმობდა, საკვლევი პერიოდის მაგალითზე, საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენების გავლენის კვლევას შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტების წარმოქმნის ინტენსივობაზე.

უკანასკნელი ამოცანა მდგომარეობდა შემდეგში: კვლევის შედეგად მიღებული განზოგადებული შედეგები კონკრეტული შემთხვევების მაგალითზე თვისებრივი კვლევის გამოყენებით განხილულიყო. კერძოდ, შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტის მქონე ცალკეული ქვეყნების შემთხვევების შესწავლის საფუძველზე.

1.4 კვლევის კითხვა

ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე, კვლევა წარიმართა ერთი ძირითადი კითხვის გარშემო:

- რომელი ფაქტორი ან ფაქტორთა ერთობლიობაა აუცილებელ და საერთო კონფლიქტის სხვადასხვა სახის მიზეზების - ფსიქო-სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური, ტრანსფორმაციისთვის შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტად?

1.5 ცნებათა კონცეპტუალიზაცია

<u>შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტი</u> - კონფლიქტი, მისი ყველაზე ზოგადი განსაზღვრებით, ორი ან რამდენიმე ფენომენის მოქმედ დაპირისპირებას ნიშნავს (Merriam-Webster, 2020).

სამოქალაქო კონფლიქტს მოცემულ კვლევაში განვიხილავთ, როგორც ერთი სახელმწიფოს საზღვრებს შიგნით, მისი მოქალაქეთა ჯგუფებისა თუ ინსტიტუციების მონაწილეობით არსებული დაპირისპირებას, რომელიც შეიძლება შეიცავდეს ეთნიკურ, რელიგიურ, პოლიტიკურ, ტერიტორიულ კომპონენტებს და წარმოქმნის მიზეზებისა და მიზნების შესაბამისად, სხვადასხვა ხასიათის იყოს.

შეიარაღებულად მიჩნეულია სამოქალაქო კონფლიქტი, თუ დაპირისპირების ესკალაციის რომელიმე ეტაპზე, მხარეები ერთმანეთის წინააღმდეგ იყენებენ შეიარაღებას მოწინააღმდეგეთა სიცოცხლის მასიურად მოსასპობად.

<u>მრავალეთნიკური საზოგადოება/სახელმწიფო</u> - იგივე მულტი-ეთნიკური საზოგადოება, კემბრიჯის ლექსიკონის (Cambridge Dictionary) მიერ განისაზღვრება, როგორც სახელმწიფოს მოსახლეობა, რომელიც შედგება მრავალი სხვადასხვა რასისა და ეთნიკურობის მქონე ადამიანისგან.

<u>ეთნიკური უმცირესობა</u> - ეს ტერმინი გულისხმობს მოსახლეობის ნაწილს, რომელიც თვითიდენტიფიცირებას ახდენს ეთნიკურ იდენტობასთან და წარმოადგენს შედარებით მცირე სოციალურ ერთობას ერთ სახელმწიფოში მცხოვრებ საზოგადოებაში (Merriam-Webster, 2022). მოცემული ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე ეთნიკური უმცირესობის ცნების აღნიშნული დეფინიცია მოითხოვს მცირე დაზუსტებას:

ეთნოსის დეფინიციის საკითხში, ნაშრომი ეყრდნობა ენტონი სმიტისა და ჯონს ჰატჩინსონის განსაზღვრებას (1996). მათი მოსაზრების თანახმად, ეთნოსი არის ადამიანთა ჯგუფი, რომელთაც გაზიარებული აქვთ წარმოდგენა მათი საერთო ისტორიული წარმომავლობის შესახებ. აქვთ ერთად ყოფნის კოლექტიური მეხსიერება და საერთო კულტურული ელემენტები, მათ შორის კავშირი სამშობლოსთან. მთელს

ჯგუფში არსებობს გარკვეული დონის ურთიერთსოლიდარობის ასპექტი, განსაკუთრებით მის ინტელექტუალურ თუ პოლიტიკურ ელიტაში.

იმისათვის, რომ ეთნოსი განვასხვაოთ „ერის“ ცნებისგან, მოვიყვანოთ იგივე სმიტის მიერ დამუშავებული ერის განსაზღვრება, რომელიც უფრო ადრინდელ ნაშრომში, „ნაციონალურ იდენტობაში“ (1991), ასახა. ერის სმიტისეული განმარტება გულისხმობს საზოგადოებას, რომელიც ფლობს ისტორიულ ტერიტორიას, გააჩნია მეტწილად საერთო მითო-სიმბოლური წარმოდგენათა კომპლექსი საკუთარ თავსა და გარე სამყაროზე, აქვს საერთო საჯარო კულტურა, ერთიანი საკანონმდებლო და საბაჟო სისტემა.

ამრიგად, ეთნოსსა და ერის ცნებას შორის მეცნიერული თვალსაზრისით განსხვავება უმეტესწილად პოლიტიკურ კონტექსტზე დგას. ვინაიდან პოლიტიკური საფუძველი კონსტრუქციულია (შესაძლოა წარმოიქმნას ან გაქრეს, ისევე როგორც ცალკეული ჯგუფების მიერ წარმოქმნილი პოლიტიკური სუბიექტები), მიმდინარე მსჯელობაში ერით აღვნიშნავთ ყველა იმ საერთო ეთნიკური იდენტობის ჯგუფს, რომელსაც საკუთარი სახელმწიფო აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ ცხადია ამ ტერმინთა შორის განსხვავების ფარდობითობა (მსგავსი დეფინიციით ერთ სახელმწიფოში შესაძლოა ეთნიკური ჯგუფი ერად განვსაზღვროთ, ხოლო სხვაგან იგივე ჯგუფი ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენდეს), ნაშრომის კვლევის მიზნების მიღწევისთვის, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტის მიზეზების კვლევას ეხებოდა, არსებითად ხელი არ შეუშლია.

გარდა ამისა, მონაცემთა მოძიების პროცესში გამოიკვეთა არაერთი სახელმწიფო, სადაც არც ერთი ეთნიკური ჯგუფი არ წარმოადგენს მთელი მოსახლეობის ორმოცდაათ პროცენტზე მეტს. მეტიც, ხშირად ყველაზე დიდ და სიდიდით მეორე და მესამე ჯგუფებს შორის განსხვავება საერთო რაოდენობის ათ პროცენტს არ აღემატება. მსგავსი მოცემულობა ართულებს მეორე ან მესამე რიგითობით, მაგრამ ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნოსის წარმოამადგენლებზე მცირედით ნაკლები, ჯგუფების განხილვას ეთნიკურ უმცირესობად. როგორც წესი, მსგავსი სუბ-საზოგადოებები

ფლობენ მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ფინანსურ და სამხედროს რესურსს. განსაკუთრებით მაშინ, თუ ისინი ახერხებენ სხვა ჯგუფებთან თანამშრომლობას და ამ გზით ქმნიან უმრავლესობას ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნიკური ჯგუფის წინააღმდეგ.

მსგავსი შემთხვევის ერთ-ერთ მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ ეთიოპიის მოსახლეობაში შემავალი ეთნიკური ჯგუფების პროცენტული მაჩვნებლები: ორომო - 35.8%, ამჰარა - 24.1%, სომალი - 7.2%, ტიგრაი - 5.7%, სიდამა - 4.1% და ა.შ. (The World Factbook, 2023). მიუხედავად იმისა, რომ ტიგრაელები რაოდენობით მეოთხე ეთნოსია ქვეყანაში, მათი გასამხედროებული ორგანიზაციის „ტიგრაელი ხალხის განმათავისუფლებელი ფრონტის“ (TPLF) მხარდაჭერილმა კანდიდატმა 1991 წელს შეძლო ეთიოპიის ხელისუფლებაში მოსვლა და ძალაუფლება ხანგრძლივად შეიანრჩუნა.

ეთნიკური უმცირესობის ცნების მსგავსი არაერთმნიშვნელობა, მონაცემთა ანალიზის პროცესში შემჩნეული იქნა, თუმცა მსგავს შემთხვევათა რაოდენობის მცირე რიცხვის გამო, კვლევის შედეგებზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია. კვლევაში ამ ტერმინით მოიხსენიება ყველა ის ეთნიკური ჯგუფი, რომელიც არ წარმოადგენს ყველაზე დიდ ჯგუფს კონკრეტული ქვეყნის მოსახლეობაში.

<u>შეიარაღებული ეთნიკური კონფლიქტი</u> - შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული დაპირისპირება ჯგუფებს შორის, რომელთაგან ერთ-ერთში ან თითოეულში შემავალი ადამიანები გაერთიანებულნი არიან ეთნიკური იდენტობის ნიშნით.

<u>გარე ფაქტორები</u> - ამ ტერმინის მნიშვნელობა ნაშრომში მოისაზრებს როგორც ცალკეულ საერთაშორისო პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ მოვლენებს, ისე კონკრეტული სახელმწიფოს ჩართულობას უცხო ქვეყნის შიდა პროცესებში. აგრეთვე, საერთაშორისო პოლიტიკის სისტემისა და სტურქტურის ხასიათს, რომლებშიც სახელმწიფოები ურთიერთობენ.

1.6 ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომის შესავალში განხილულია საკვლევის საკითხის აქტუალობა და მასთან დაკავშირებული წინააღმდეგობები სხვადასხვა მეცნიერული თვალსაზრისებს შორის. იმავე ნაწილში მოცემულია კვლევის მიზნები და ამოცანები, კვლევის კითხვები. განსაზღვრულია კვლევის სიახლე და ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება. აგრეთვე, იმ ძირითადი ცნებების კონცეპტუალიზაცია, რომელიც მათი შინაარსიდან და ნაშრომის ფარგლებში მოცემული მსჯელობიდან გამომდინარე, მოითხოვდა წინასწარ განსაზღვრას.

მეორე თავი ეთმობა იმ მეთოდოლოგიების და ზოგადად, კვლევის დიზაინის, განხილვას, რომლის საშუალებითაც მოხდა ნაშრომის ფარგლებში კვლევის ჩატარება.

მესამე თავში განხილულია სამეცნიერო ლიტერატურა როგორც შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტის, ისე საზოგადოების მრავალეთნიკურობის ფენომენის შესახებ. აღნიშნული სამეცნიერო ბაზა გამოყენებულ იქნა როგორც კვლევის ცვლადების განსაზღვრის, ისე შედეგების ანალიზისა და ინტერპრეტაციისთვის.

მეოთხე თავში მოცემულია კვლევის შედეგები და მათი ინტერპრეტაცია სხვადასხვა კონფლიქტის თეორიის მიხედვით. განსაზღვრულია შემთხვევათა საერთო მახასიათებლები როგორც სოციო-პოლიტიკური და ეკონომიკური, ისე ბუნებრივი და არაკონსტრუირებადი ფაქტორების კონტექსტში.

მეხუთე თავში ვეცადეთ გაგვეერთიანებინა სხვადასხვა თეორიის ის კომპონენტები, რომლებიც ჩვენი კვლევის შედეგებით დასტურდებოდა. შედეგად, შეიქმნა ალტერნატიული კონცეპტუალური ჩარჩო, რომელიც დაეფუძნა სოციალური ანომიის და სტრუქტურული რღვევის თეორიის ფუნდამენტს. შემდგომ ეტაპზე კი სამოქალაქო შეიარაღებული კონფლიქტის ანალიზისთვის საჭირო კატეგორიების განსაზღვრით მოდიფიცირდა. აღნიშნული ჩარჩოს საფუძველზე გაანალიზდა როგორც აგრეგირებულ მონაცემთა და ტენდენციის ანალიზის შედეგები, ისე ორი შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტის შემთხვევა კვიპროსსა და ბოსნია-ჰერცეგოვინაში.

ნაშრომის ბოლო ნაწილში, დასკვნის სახით, წარმოდგენილია კვლევის მიგნებები. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათალი (ბიბლიოგრაფია).

II. კვლევის მეთოდოლოგია/დიზაინი

კვლევის პირველ ეტაპზე იდენტიფიცრდა 1976-2005 წლებში წარმოქმნილი შეიარაღებულ სამოქალაქო კონფლიქტები და მათ შესახებ არსებული ინფორმაცია დამუშავდა. აღნიშნული პერიოდის დროითი ინტერვალი რამდენიმე მიზეზის გამო შეირჩა:

- კვლევის სრულფასოვნად ჩასატარებლად საჭირო იყო არა მხოლოდ შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, არამედ ხელმისაწვდომი მონაცემების *(მშპ ერთ სულ მოსახლეზე; ჯინის ინდექსი; ადამიანის განვითარების ინდექსი)* დაზუსტება ცალკეულ სახელმწიფოთა შესახებ იმ პერიოდისთვის, როდესაც აღნიშნული კონფლიქტები წარმოიშვა. ვინაიდან მოცემული ინდექსების დათვლა გასული საუკუნის 70-იანი, ზოგიერთის - 80-იანი წლებიდან, დაიწყო, ამ მხრივ არსებობდა შეზღუდულობა, დროითი ინტერვალის ზღვარი უფრო ადრინდელი თარიღი ყოფილიყო.
- კვლევის მიზნის განხორციელება დიდწილად დამოკიდებული იყო შეიარაღებულ სამოქალაქო კონფლიქტების გარშემო უკვე არსებული კვლევებზე. კონფლიქტების შემთხვევათა გარშემო კვალიფიციური კვლევების ან ემპირიული მონაცემების არ არსებობის რისკის თავიდან ასარიდებლად, დროითი ინტერვალის ზედა ზღვარი არ განისაზღვრა უფრო გვიანდელი თარიღით, ვიდრე 2000-იანი წლებია. კონფლიქტური შემთხვევების დაწყებიდან გასული გონივრული დრო გაზრდიდა ალბათობას მათ შესახებ მეტი კვალიფიციური კვლევა შექმნილიყო.
- ამნიშვნელოვანი იყო საკვლევი პერიოდიდან დიდი დრო არ ყოფილიყო გასული, რადგან კვლევის შედეგებს მნიშვნელოვნად არ დაეკარგა რელევანტურობა თანამედროვე პროცესებთან მიმართებაში.

შესაბამისი მონაცემთა ბაზების დოკუმენტების ანალიზის მეთოდით შესწავლის საფუძველზე გამოვლინდა და სხვადასხვა სახელმწიფოების მიხედვით აგრეგირდა შემდეგი შინაარსის მონაცემები:

1. შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტების დაწყების თარიღები;

2. შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტების წარმოქმნის გეოგრაფიული არეალი;

მონაცემების შეგროვებისა და კატეგორიზაციის მიზანს წარმოადგენდა კვლევაში დროის კვლევითი დიზაინის გამოყენებისთვის საჭირო მონაცემთა ბაზის შექმნა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა დავკვირვებოდით შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტების წარმოქმნის დინამიკას და მნიშვნელოვანი საერთაშორისო მოვლენების შესაძლო გავლენას მათი წარმოქმნის რაოდენობრივ ცვალებადობაზე. მეორე მხრივ, გეოგრაფიული მდებარეობის იდენტიფიცირება საშუალებას მოგვცემდა სამოქალაქო კონფლიქტების წარმოქმნაზე გარე ფაქტორების გავლენა გაგვეანალიზებინა რეგიონულ კონტექსტში.

3. შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტებიდან რამდენი პროცენტი იყო ეთნიკური ნიშნის მატარებელი (დაპირისპირებული მხარეებიდან მინიმუმ ერთი ნაწილი მობილიზებული იყო ეთნიკური იდენტობის საფუძველზე)?

4. შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტებში ქვეყნის მოსახლეობის რამდენ პროცენტს შეადგენენ ეთნიკური უმცირესობები?

5. იმ სახელმწიფოთა მოძიება, რომელთა მოსახლეობაში მე-4 პუნქტში მიღებული ეთნიკური უმცირესობის საშუალო პროცენტული მაჩვენებლის მსგავსი ეთნიკური უმცირესობები ჰყავთ (5%-ით ნაკლები ან განუსაზღვრელად მეტი);

6. განსაზღვრა, მე-5 პუნქტის მიხედვით იდენტიფიცირებულ სახელმწიფოთა შორის რა რაოდენობას აქვს შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტი;

აღნიშნული მონაცემების შეგროვება და ანალიზი მიზნად ისახავდა სამოქალაქო შეიარაღებულ დაპირისპირებებში ეთნიკურობის, როგორც ფაქტორის, რაოდენობრივი მნიშვნელობის განსაზღვრვას.

7. საკვლევ პერიოდში შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტების მქონე სახელმწიფოების ეკონომიკური განვითარების დონის მონაცემების (მშპ ერთ სულ მოსახლეზე) განსაზღრვა და ანალიტიკური დამუშავება;

8. საკვლევ პერიოდში შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტის მქონე სახელმწიფოების ეკონომიკური თანასწორობის დონის მონაცემთა (ჯინის ინდექსი) განსაზღვრა და ანალიტიკურ დამუშავება;

9. საკვლევ პერიოდში შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტის მქონე სახელმწიფოთა ადამიანური განვითარების ინდექსის (HDI) მაჩვენებლის განსაზღვრა და ანალიტიკური დამუშავება;

აღნიშნული მონაცემები საშუალებას მოგვცემდა რაოდენობრივად განგვესაზღვრა ის ფაქტორები, რომლებსაც კონფლიქტის მიზეზებად მიიჩნევა კონფლიქტის ეკონომიკური თეორიის, კონფლიქტული მოდერნიზაციისა და რაციონალურ არჩევანის თეორიების მიხედვით.

მოცემული რაოდენობრივი შედეგების დადგენა, ცხადია, არ იყო რომელიმე თეორიის აპრიორულად უარყოფის ან დადასტურების მცდელობა. მათი საშუალებით, ერთი მხრივ, შესაძლებლობა გვქონდა დაგვენახა კონფლიქტის ცალკეულ მიზეზთა ზოგადი მნიშვნელობა. მეორე მხრივ, მიღებულ შედეგებში გამოკვეთილი ტენდენციების სახით გვქონოდა ცალკეულ და განსაკუთრებულ შემთხვევებში ამ განზოგადებების შემოწმების საშუალება.

შემთხვევათა იდენტიფიცირებისა და მათ შესახებ ინფორმაციის შეგროვებისთვის გამოყენებულ იქნა შემდეგი მონაცემთა ბაზები: უფსალას უნივერსიტეტის მონაცემთა პროგრამა (UCDP), სადაც ასახულია 1975 წლიდან 2019 წლამდე არსებული შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტების ქრონოლოგია, სტატისტიკური მონაცემები დაპირისპირებების მსხვერპლთა შესახებ, ასევე, პუბლიკაციები, რომლებიც მოიცავს აღნიშნული კონფლიქტების წინაპირობების, ესკალაციის და ნეგატიური შედეგების მიზეზთა კვლევას; საკვლევი პოპულაციის იდენტიფიცირებისა და საომარი მოქმედებების ხანგრძლივობის დასადგენად გამოყენებულ იქნა ამერიკის კონგრესის კვლევითი სამსახურის ანგარიში (2000), ისევე, როგორც საკვლევი დროისა და ობიექტების შესახებ არსებული, როდენობრივი მონაცემების შემცველი, ცალკეული სამეცნიერო ნაშრომები (Gleditsch et al., 2002) (Pettersson, & Wallensteen, 2015)(Harbom et al., 2008).

სახელმწიფოების მიხედვით მონაცემთა აგრეგირებისთვის (საერთო, განზოგადებული, მთლიანი მაჩვენებლების (სიდიდის) მიღების მიზნით რაიმე ერთგვაროვანი მაჩვენებლების (სიდიდეების) გაერთიანება, შეჯამება) გამოყენებულ იქნა მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა, რომლის დახმარებით იდენტიფიცირდა

კონფლიქტის მომენტში სახელმწიფოებში არსებული მთლიანი შიდა პროდუქტის რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე და ეკონომიკური უთანასწორობის ინდექსი (GINI); ადამიანის განვითარების ინდექსის (HDI) შესახებ ინფორმაცია მოძიებულ იქნა ინტერნეტ პორტალზე *„Our World in Data"*, რომელზეც აღნიშნული ინდექსის შესახებ მონაცემები აღებული და ვიზუალურად დამუშავებული იყო გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ გავრცელებულ მასალებზე დაყრდნობით; ეთნიკური ჯგუფების პროცენტული მაჩვენებლების იდენტიფიცირებისთვის გამოყენებულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების სადაზვერვო სამსახურის ღია ინტერნეტ რესურსი *„The World Factbook"* და სახელმწიფოთა მთავრობების ოფიციალური საინფორმაციო ელექტრონული რესურსები.

მონაცემების აგრეგირების შემდეგ, თითოეულ დამოუკიდებელ ცვლადსა და შეიარაღებულ სამოქალაქო კონფლიქტს შორის მიზეზობრივი მიმართების დასადგენად და შესაფასებლად გამოყენებული იქნა არაექსპერიმენტულ კვლევის დიზაინთა კომბინაცია.

კროსსექციური კვლევის დიზაინის ერთ-ერთი მეთოდის აგრეგირებულ მონაცემთა ანალიზის (ჯონსონი & რეინოლდსი, 2013) გამოყენებით გამოკვლეულ იქნა მიზეზ-შედეგობრივი კავშირის სიძლიერე სახელმწიფოებში ეთნიკური უმცირესობის რაოდენობასა და სამოქალაქო კონფლიქტების წარმოქმნას შორის. ასევე, აგრეგირებული მონაცემების ანალიზის საშუალებით შესწავლილ იქნა შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტის მიმართება სახელმწიფოში არსებულ ეკონომიკურ განვითარების დონესთან, რომლის ინდიკატორად კვლევაში განსაზღვრული იყო სახელმწიფოში არსებული მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე. აგრეგატების მონაცემთა ანალიზის საშუალებით დადგინდა შეიარაღებულ სამოქალაქო კონფლიქტის მიმართებები ეკონომიკური თანასწორობის დონესთან სახელმწიფოში და ადამიანური განვითარების დონესთანაც.

მონაცემთა ანალიზის მეორე ეტაპზე კვლევისთვის გამოყენებული იქნა დროთა სერიის დიზაინი. მოცემული ნაშრომის შინაარსის თავისებურებიდან გამომდინარე, შეუძლებელი იყო რა კვლევა ჩატარებულიყო ლაბორატორიულ პირობებში,

მოკლებულნი ვიყავით შესაძლებლობას გავლენა გვქონოდა დამოუკიდებელ ცვლადებზე. აღნიშნული ტიპის ცვლადებს ძირითადად წარმოადგენდნენ სამოქალაქო შეიარაღებული კონფლიქტების წარმოქმნაზე გავლენის მომხდენი, მრავალეთნიკურობისგან განსხვავებული, ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა რეგიონული თუ საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენები.

ამ გარემოების გათვალისწინებით გარე გავლენების კვლევისათვის მეთოდებად შეირჩა ტენდენციის ანალიზი და პანელური კვლევები, რომლებიც გულისხმობენ საკვლევი სამუშაოების წარმართვას დამოკიდებული და სავარაუდო დამოკიდებული ცვლადის მხოლოდ პარალელური გაზომვით.

მონაცემთა ანალიზის შემდეგ, კვლევა გაგრძელდა თვისებრივი კვლევის, შემთხვევის შესწავლისა და შედარებითი ანალიზის, მეთოდებით:
შემთხვევათა შერჩევა დაიგეგმა მიზნობრივად, შემდეგი კრიტერიუმებით: შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტის მქონე ქვეყნის მოსახლეობაში უნდა არსებულიყო ორი ან მეტი მნიშვნელოვანი რაოდენობის ეთნიკური ჯგუფი. შესასწავლ სახელმწიფოებად განისაზღვრა ბოსნია ჰერცოგოვინა და კვიპროსი.

III. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის სამიზნე პერიოდში წარმოქმნილი შეიარაღებული სამოქალაქო დაპირისპირებების ანალიზი სხვადასხვა მეცნიერული შეხედულების შესაბამისად, განსხვავებული კონცეფციის ფარგლებში ხდებოდა. საკვლევი პერიოდის პირველი ნახევარი ცივი ომის ხანას ეკუთვნის, შესაბამისად, მეცნიერთა მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის იოჰან გალტუნგი, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში წარმოქმნილ შიდასახელმწიფოებრივ დაპირისპირებებს გლობალური იდეოლოგიური დაპირისპირების კონტექსტში განიხილავდა (Galtung, 1967).

იდეოლოგიური დაპირისპირების, როგორც კონფლიქტთა მთავარი მიზეზის შესახებ შეხედულების, ძირითად არგუმენტებს საფუძვლიანად აღწერს უილიამ ქილორი (2015). არსებობდა არაერთ სახელმწიფოში განვითარებული მეტ-ნაკლებად მსგავსი პროცესი. სამოქალაქო კონფლიქტში ჩართული მხარეები, თავიდანვე ნებით, თუ შემდეგ, უკვე კონფლიქტში ჩართულნი, რესურსების ნაკლებობისგან იძულებულნი, ემსახურებოდნენ ან ცდილობდნენ დამთხვეოდნენ რომელიმე ბანაკის ინტერესებს. საერთაშორისო ბანაკების ლიდერები უზრუნველყოფდნენ მათი იარაღით მომარაგებას, პოლიტიკურ თუ ფინანსურ მხარდაჭერას (მაგ: „კონტრა“ და „სანდინისტები“ ცენტრალურ ამერიკაში; ქურთთა მუშათა პარტია (PKK) თურქეთში). მსგავს შეიარაღებულ აქტივობას სხვაგვარად ე.წ. „პროქსი ომებს“ უწოდებდნენ. კონფლიქტები სხვადასხვა რეგიონებში ხდებოდა როგორც მეზობელ ქვეყნებს შორის, ისე სახელმწიფოთა შიგნით დაპირისპირებულ ჯგუფში.

მსგავსი კონფლიქტების შესახებ ზურაბ აბაშიძე საკუთარ წიგნში „ცივი ომი - წარსული თუ დღევანდელობა“ (2009) აღნიშნავს, რომ დაპირისპირებულ მხარეთაგან ერთს, როგორც წესი, საბჭოთა მხარდაჭერა ჰქონდა, მის მოწინააღმდეგეს კი - აშშ-სი (კორეის ომი; ვიეტნამის ომი). მსგავსი კონფლიქტები ყველაზე მეტად მაშინდელი ე.წ „მესამე მსოფლიოსთვის“ იყო დამახასიათებელი. მსგავსი ტიპის ომის წარმოებას თავისი მიზეზები ჰქონდა, რომლებიც განპირობებული იყო გლობალურ პოლიტიკაში

დაპირისპირებულ მხარეთა მიზნებიდან - ორივე მხარის გეოპოლიტიკურ ინტერესს წარმოადგენდა რაც შეიძლება მეტი სახელმწიფო ყოფილიყო მათი მოკავშირე ძალა. აღნიშნული საშუალებას მისცემდათ შეეკავებინათ მოწინააღმდეგის გავლენები, ხოლო საკუთარი - გაეფართოებინათ. სსრკ-ს მიერ განხორციელებულ მსგავს პოლიტიკას იდეოლოგიურად ამყარებდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მარქსისტული პარადიგმა, ხოლო აშშ-ს მხრიდან, გაცხადებული მხარდაჭერა ყველა დემოკრატიული ძალის მიმართ მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში (აბაშიძე, 2009).

თუკი მოცემული ნაშრომის საკვლევ საკითხს იდეოლოგიური დაპირისპირების მოსაზრებას დავუკავშირებთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მსგავსი დაპირისპირება ეთნიკურ მრავალფეროვნებას განიხილავს, როგორც საგარეო თუ საშინაო პოლიტიკური აქტორების ინსტრუმენტს საკუთარ მიზნების მისაღწევად. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს ბადერისა და იანჩოვიჩინას ნაშრომი Polarization, Foreign Military Intervention and Civil Conflict (2017). ავტორები როგორც თვისებრივი, ისე სტატისტიკური მეთოდებით, სიღრმისეულად აანალიზებენ სამოქალაქო ომის წარმოშობის რამდენიმე მიზეზს და ასკვნიან, რომ კონფლიქტის დაწყების საფუძველი, დიდი ალბათობით, შესაძლოა გახდეს უცხო ქვეყნის ჩართულობა შიდასახელმწიფოებრივ პროცესებში, მათ შორის ინტერვენციის გზით.

ეთნიკური მრავალფეროვნების ინსტრუმენტულ დანიშნულების შესახებ პირველი კონცეპტუალური შრომა პოლ ბრასს ეკუთვნის, რომელიც მიეძღვნა ჩრდილოეთ ინდოეთში არსებულ კონფლიქტს (1974).

პოლ ბრასის იკვლევს ნაციონალიზმის ფენომენს, კონკრეტულად ეთნიკურ ნიადაგზე წარმოქმნილი სამოქალაქო კონფლიქტების მიზნებს და მიზეზებს. ავტორი ავითარებს მოსაზრებას, რომ ნაციონალიზმი, ისევე როგორც, არაერთი სხვა, რწმენათა სისტემა, დოქტრინები თუ იდეოლოგიები, არის ბოროტად გამოყენებული ინსტრუმენტი მმართველი კლასების თუ ძალაუფლების მქონე ელიტების, ძალაუფლებისთვის დაპირისპირებული მხარეების მიერ, რომლებიც მოსახლეობის ჯგუფების პროვოცირებით ცდილობენ პოლიტიკური მიზნების მიღწევას (O'Leary, 2001).

ამ კონცეფციის მიხედვით, ნაციონალიზმის იდეოლოგიასთან ერთად, ინსტრუმენტალიზებულია ის სააზროვნო სფეროებიც, რომლებიც აუცილებელია ჯგუფის წევრებს შორის საერთო რწმენების/დამოკიდებულებების ჩამოყალიბებისთვის, აღწარმოებისა და მომავალი თაობებისათვის გადაცემისთვის. შესაბამისად, „ინსტრუმენტალისტები“ მიიჩნევენ, რომ თითოეული ეთნოსის შესახებ ისტორიკოსები მეტწილად იკვლევენ და განიხილავენ ისეთ ასპექტებს, რომლებიც გარკვეული პოლიტიკური ლიდერებისა და კონიუნქტურისთვის არის მისაღები (Dawisha, 2002). ისტორიის ამგვარი კვლევის წესი კი, გულისხმობს იმ მითებისა და წარმოდგენების პოპულარიზაციას, რომლებიც ხელს უწყობენ კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის წევრებში სასურველი შინაარსის იდენტობის გაძლიერებას, საჭიროების შემთხვევაში კი ბრძოლისათვის მობილიზებას (Conversi, 1995).

პოლ ბრასისა და „ინსტრუმენტალისტების“ შეხედულებათა კრიტიკა დაკავშირებულია არა იმდენად საკითხთა ნაკლებ სიცხადესთან, რომლებზეც თეორია კონცენტრირდება, არამედ, ამ კონცეფციის შეზღუდულ უნარებთან, ახსნას მრავალფეროვანი და კომპლექსური ვითარებები. მაგალითად, ისეთი შემთხვევა, როდესაც ლიდერის არ არსებობის მიუხედავად საზოგადოებაში არსებობს რადიკალური ნაციონალისტური შეხედულებები.

ნაციონალიზმის ინსტრუმენტული დანიშნულება მრავალეთნიკურ სახელმწიფოებში წარმოქმნილ შეიარაღებულ კონფლიქტებში განავრცო სტიუარტ კაუფმანმა მის მიერ შექმნილ „ინტერ-ეთნიკური ომის საერთაშორისო თეორიაში“ (1996). ავტორი ნაწილობრივ ეყრდნობა პოლ ბრასის შეხედულებებს, რომლებსაც მოცემული კონცეფციის სტრუქტურის მეორე დონე, „ელიტების მიერ მართული ძალადობა“ მოიცავს. თუმცა, კაუფმანი მისი თეორიის პირველ დონეში, ინსტრუმენტალისტებისგან განსხვავებით, ელიტების ქმედებას უფრო მეტად ობიექტურ, რაციონალურ გამართლებას უძებნის.

კაუფმანს მიაჩნია, რომ გარკვეულ ვითარებაში, საზოგადოების რადიკალიზება არა ლიდერთა ინიციატივის და ქმედების შედეგი, არამედ საზოგადოებაში უკვე არსებული ე.წ „მასების მტრობით“ გამოწვეული ფენომენია, მათ შორის, ეთნიკურობის

ნიადაგზეც. ძალაუფლებისთვის მებრძოლი ჯგუფები (ელიტები) კი იძულებულნი არიან საზოგადოებაში არსებული ანტაგონისტური გრძნობები საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენონ. რადგან, სხვა შემთხვევაში, საზოგადოება მათ მიატოვებთ და სხვას, ამ ნარატივის გამომყენებელ ლიდერთა ჯგუფს, გაჰყვება (Tang, 2011).

სტიუარტ კუფმანის (1996) ინტერ-ეთნიკური ომის „საერთაშორისო" თეორიის სტრუქტურა შემდეგნაირია:

პირველ დონეს წარმოადგენს მასების მიერ მართული ძალადობა - კონფლიქტის ინსპირირებაში განსაკუთრებულ როლს ერთი ეთნიკური ჯგუფის მეორეზე არსებული ან ისტორიული დომინირება თამაშობს. აღნიშნული ჯგუფში იწვევს ეთნოსის გაქრობის შიშს (წარმოსახვითი უსაფრთხოების დილემას, რომლის მიხედვითაც მოწინააღმდეგის არსებობა გამორიცხავს მათი ჯგუფის უსაფრთხოებას). კონფლიქტის ინსპირატორი ხდება სხვადასხვა ჯგუფის შესახებ მოსახლეობაში არსებული ეთნიკური სტერეოტიპები და სიმბოლოებიც.

მეორე დონეს კაუფმანი გამოყოფს, როგორც ელიტების მიერ მართულ ძალადობას - მმართველის ჯგუფები ეთნიკური ნიშნით გაერთიანებულ ჯგუფებს განაწყობენ ხელისუფლების ან სხვა ეთნიკური ჯგუფების საწინააღმდეგოდ. ამისათვის სხვადასხვა ხერხს იყენებენ. ლიდერები ცდილობენ კონკრეტული ეთნოსის წარმომადგენლები დაარწმუნონ, რომ სახელმწიფოში მათ ეთნიკურობის გამო ავიწროებენ და ამიტომ ისინი უსაფრთხოების დილემის წინაშე დგანან. ასეთი დილემა კი მოსახლეობას საბრძოლველად განაწყობს.

თეორიის მესამე და უკანასკნელ დონეს შიდა-ეთნიკური უსაფრთხოების დილემა წარმოადგენს. სახელმწიფოში თითოეული ეთნიკური ჯგუფი ცდილობს საკუთარი დომინაციის მოპოვებას, რაც მას უსაფრთხოების და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად სჭირდება. შედეგად, სხვა ეთნიკური ჯგუფებისთვის ქმნის საფრთხეს იგივე მიზნების მიღწევის საკითხში. აღნიშნული შიდა კონკურენცია წარმოქმნის დაპირისპირებას.

ინტერ-ეთნიკური ომის საერთაშორისო თეორიაში, როგორც რაციონალური ასპექტის ბუნდოვანების, ისე კონფლიქტის წარმოშობის მიზეზთა მეტად ცხადი

გადმოცემისთვის სტიუარტ კაუფმანმა 2000-იანი წლებში გამოაქვეყნა რამდენიმე ნაშრომი.

შრომაში „თანამედროვე სიძულვილები“ (“Modern Hatreds”) (2001), სამოქალაქო ომების და ექსტრემალური ძალადობის გამომწვევ ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად და შემადგენელ კომპონენტად სტიუარტ კაუფმანი ე.წ „კულტურულ მითებს“ განიხილავს. მისი აზრით, ეს სტრუქტურირებული წარმოდგენები ქმნიან, ამართლებენ და ამყარებენ სხვა ეთნოსების მიმართ სიძულვილს და მტრობას. აყალიბებენ ფუნდამენტს ფიზიკური საფრთხის შესახებ, რაც, მითების ინტერპრეტაციის თანახმად, მოცემულ ჯგუფს სხვა ეთნოსების მხრიდან ემუქრება.

სტიურატ კაუფმანის თანახმად, მითები ქმნიან ემოციურად დატვირთულ სიმბოლოებს, რომლებიც ექსტრემისტული პოლიტიკურ ღირებულებებს აყალიბებენ და რადიკალი პოლიტიკოსების მიერ მასების მობილიზებისთვის ნიადაგს ამზადებენ. შესაბამისად, თუკი ამ ავტორის ლოგიკას გავყვებით, ეთნიკური კონფლიქტების და მათ საფუძველზე წარმოშობილი ძალადობის პრევენცია უნდა მოხდეს არა მხოლოდ გარე ზემოქმედების ნიველირებით, არამედ, პირველ რიგში, კონკრეტული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი იმ შეხედულებებათა ცვლილებებით, რომლებიც შესაძლოა შეიცავდნენ სიძულვილის ელემენტებს.

ეთნიკური კონფლიქტის წარმოქმნის მიზეზების შესახებ კვლვლევების შემდეგ ეტაპზე სტიუარტ კაუფმანმა „სიმბოლურ პოლიტიკის კონცეფცია“ წარმოადგინა. მას სისტემური სახით პირველად 2006 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში - „სიმბოლური პოლიტიკა თუ რაციონალური არჩევანი? ექსტრემალური ეთნიკური ძალადობის თეორიათა შემოწმება“ (Symbolic Politics or Rational Choice? Testing Theories of Extreme Ethnic Violence) ვხვდებით.

ავტორი ეთნიკურ იდენტობას სოციალურ კატეგორიაზე უფრო მნიშვნელოვან ფენომენად მიიჩნევს. მისი კონცეპტუალიზაციისთვის გამოიყენება ენტონი სმიტის (1991) შეხედულება, რომლის თანახმადაც თითოეულ ეთნოსს ახასიათებს ე.წ მითო-სიმბოლური კომპლექსი. მსგავსი წარმოსახვითი კონსტრუქცია შეიცავს ჯგუფში გაზიარებულ კულტურულ ელემენტებს და ღირებულებებს. აგრეთვე, ისტორიის

ინტერპრეტაციის გარკვეულ და უნიკალურ შინაარსს, ჯგუფურ წარმოდგენებს საკუთარ თავზე და გარე სამყაროზე. აღიშნული სისტემას ნორმატიული ხასიათი აქვს, რის საფუძველზეც უზრუნველჰყოფს წევრების ურთერთკავშირს და ამავე დროს ეთნიკურ ერთობას სხვებისგან გამოარჩევს.

კონფლიქტის სიმბოლური პოლიტიკის კონცეფცია, იზიარებს დონალდ ჰოროვიცის (2001) შეხედულებას და ეთნიკური დაპირისპირების მთავარ საფუძვლად არა ეკონომიკურ ან ზოგადად, მატერიალურ ინტერესს, არამედ, სახელმწიფოში ამა თუ იმ საზოგადოებრივი ჯგუფის სტატუსს მიიჩნევს. აღნიშნული საკითხი ჯგუფების აღქმაში ისტორიულ სამართლიანობას და ღირსებას უკავშირდება.

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ს. კაუფმანი უწოდებს, „მტრული მითების“ არსებობას სიმბოლიური პოლიტიკის კონცეფცია კონფლიქტის დაწყების სასიცოცხლო კომპონენტად მიიჩნევს, ფართომასშტაბიანი შეიარაღებული დაპირისპირებისთვის კიდევ რამდენიმე აუცილებელ გარემოებას ესმება ხაზი. ერთ-ერთია ეთნიკურ ჯგუფში გავრცელებული გაქრობის/გადაშენების შიში, რომლის საფრთხის წყაროდ, როგორც წესი, სხვა ეთნოსებს მიიჩნევიან. მსგავსი შიშების აღქმა ჯგუფს უბიძგებს საკუთარი თავი წარმოიდგინოს ისეთ დილემაში, საიდანაც გამოსავალი მხოლოდ მოწინააღმდეგის განადგურებაა (Kaufman, 2006).

სიმბოლური პოლიტიკის კონცეფციაში ს. კაუფმანი ეთნიკური ომის მესამე პირობად მიიჩნევს პოლიტიკური შესაძლებლობას, როგორც თავად უწოდებს - „პოლიტკურ მომენტუმს“. კონფლიქტის დაწყებისთვის საჭირო მოენტუმს, თავის მხრივ, ორი კომპონენტი აქვს: პირველი - პოლიტიკური სივრცე, რომელიც შესაძლოა იყოს საგარეო მხარდაჭერა, არშემდგარი სახელმწიფო სისტემა ან ანარქიული ვითარება ქვეყანაში; მეორე ელემენტი გეოგრაფიულ ხასიათისაა: პოლიტიკურ შესაძლებლობა ვერ ჩამოყალიბდება თუ არ არსებობს ტერიტორია, სადაც საერთო ეთნიკური იდენტობის მოსახლეობა კონცენტრირებულია კონკრეტულ გეოგრაფიულ სივრცეში. შესაბამისად, სწრაფი და ეფექტური მობილიზაციის შესაძლებლობა აქვს.

კონფლიქტში გეოგრაფიული ასპექტის მნიშვნელობას მანამდეც არაერთხელ გაესვა ხაზი. ამ საკითხში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული შრომა სახელწოფებით

„ეთნიკური ძალადობის გეოგრაფია: იდენტობა, ინტერსები და ტერიტორიის განუყოფლობა“ (2003) (The Geography of Ethnic Violence: Identity, Interests and the Indivisibility of Territory) მონიკა ტოფტს ეკუთვნის. ავტორი არაერთი კონკრეტული თუ სტატისტიკური არგუმენტით ადასტურებს გეოგრაფიული ასპექტის სასიცოცხლო როლს დაპირისპირების განვითარებაში.

კაუფმანის შეხედულებებზე მსჯელობისას სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებში არსებული არქეტიპული წარმოდგენებისა და კულტურული იდენტობის შესახებ, გვერდს ვერ ავუვლით პრიმორდიალიზმის გავლენას. ნაციონალიზმის ეს უძველესი პარადიგმა, ისევე, როგორც ნაციონალიზმის სხვა თეორიები, მათი საწყისები და გავლენები შემდგომში შექმნილ არაერთ კონცეფციაზე, ფართოდ აქვთ განხილული ენტონი სმიტს გახმაურებულ წიგნში „ნაციონალური იდენტობა“ (1991), ზურაბ დავითაშვილს ნაშრომში „ნაციონალიზმი და გლობალიზაცია“ (2003) და გიორგი გოგსაძეს სახელმძღვანელოში „სივრცე და პოლიტიკა“ (2022). ნაციონალიზმის შესახებ თეორიებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა არა მხოლოდ სტიურატ კაუფმანის მოსაზრებების გასაგებად, არამედ მთელი სადისერტაციო კვლევისთვის, რამდენადაც საკვლევ ობიექტს წარმოადგენდა ეთნიკურად ეკლექტურ საზოგადოებებში წარმოქმნილი კონფლიქტი.

პრიმორდიალისტური მსოფლმხედველობა სათავეს ჟან-ჟაკ რუსოს და მანუელ-ჟოსეფ სიიესის იდეებიდან იღებს. მათმა მოსაზრებებმა ეროვნული იდენტობის შესახებ ფართო აღიარება მოიპოვა საფრანგეთის პირველ რესპუბლიკაში, სადაც ამ ავტორთა შეხედულებები ყველაზე მეტად ორი მიმართულეობით განავრცეს: ერი სათავეს უხსოვარი დროიდან იღებს; ეთნიკური კუთვნილება ადამიანის ბუნებრივი მოცემულობაა (გოგსაძე, 2022).

ენტონი სმიტის გავლენით (1991), თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურა პრიმორდიალიზმის ორ კატეგორიად ჰყოფს: (1) ნატურალიზმი/ორგანიციზმის თანახმად კულტურა და ტრადიციები მემკვიდრეობით ხასიათს ატარებს. შემდეგ თაობებს ეთნიკური თავისებურებები გენეტიკურად გადაეცემა. ერი კი იმ ფორმით, როგორიც ის ახლაა უხსოვარი დროიდან არსებობდა. (2) პერენიალიზმის მიხედვით,

ნაციონალიზმი, როგორც იდეოლოგიური კონცეფცია, ახალი ფენომენია. მიუხედავად ამისა, ერები უძვლესი ერთობები არიან.

შეიარაღებულ სამოქალაქო დაპირისპირებისას მობილიზება უადვილდებათ იმ ჯგუფებს, რომლებსაც წარმომავლობის და კულტურული ერთობის შესახებ საერთო რწმენა აერთიანებთ. ეთნიკურ კონფლიქტის პრიმორდიალისტური განმარტება ამტკიცებს, რომ ჯგუფები ერთიანდებიან არა პოლიტიკური ან სოციალური მდგენელების გარშემო, ან საერთაშორისო აქტორთა გავლენით, არამედ ეთნიკურის (Harvey, 2000).

პრიმორდიალისტებს მიაჩნიათ, რომ კონფლიქტები არის ეთნოსებს შორის ბუნებრივი და ისტორიული განსხვავების შედეგი. ცალკეული ეთნოსი საერთო კულტურულ მეხსიერებაში ხდება წარსული უთანხმოებების კრისტალიზება, რაც უზრუნველყოფს მეხსიერების და შესაბამისად, სხვა ეთნოსის მიმართ დამოკიდებულების, განუყოფლობას ეთნიკურ იდენტობასთან. მომავალი კონფლიქტებიც, ამის გამო, გარდაუვალი ხდება. რადგან დაპირისპირების მიზეზად იქცევა არა მხოლოდ სადავო საკითხი, არამედ ამ ჯგუფების ღირებულებათა სისტემაში არსებული სიმბოლოები და მითები (Van Evera, 2001).

მიუხედავად მისი ორიგინალურობისა და შეიძლება ითქვას, უნივერსალურობისაც, სტიუარტ კაუფმანის სიმბოლური პოლიტიკის თეორიას კონფლიქტის შესახებ, თან ახლავს მნიშვნელოვანი ბუნდოვანებები.

სიმბოლური პოლიტიკის თეორიაში, გარდა მტრული მითებისა, კონფლიქტის ესკალაციისთვის აუცილებელ წინაპირობას რამდენიმე გარემოება წარმოადგენს. ესენია: ეთნიკური ჯგუფის ტერიტორიული კონცენტრაცია, მტრობის გაღვივებისთვის აუცილებელი საინფორმაციო კამპანია და პოლიტიკური შესაძლებლობა (Kaufman, 2006). აღნიშნულ წინაპირობებს ს. კაუფმანი მიიჩნევს განმსაზღვრელად იმისა, თუ რამდენად შესაძლებელია მტრული მითებითა და სიმბოლოებით ფორმირებული ანტაგონისტური განწყობები გადაიქცეს მასობრივ ფიზიკურ ძალადობად.

ტერიტორიული კონცენტრაცია და საინფორმაციო კამპანია, მეტ-ნაკლებას ცხადად განსაზღვრად და ობიექტურად იდენტიფიცირებად ქმედებათა ერთობლიობას გულისხმობს. რაც შეეხება მესამე წინაპირობას, პოლიტიკურ მომენტუმს, მისი ცხადი კონცეპტუალიზაცია კაუფმანს არ გაუკეთებია. სხვა სიტყვებით, სისტემურად გადმოცემულ კონცეფციაში თითქმის არ გვხვდება ინდიკატორები ან ფაქტორთა კომპლექსი, რომელიც აღნიშნული „მომენტუმის“ ცხადად განსაზღვრის საშუალებას მოგვცემდა. ამის გამო, მისი, როგორც საკვლევი ფაქტორის, გაზომვას, შესაბამისად საკვლევ ცვლადად გამოყენებას, ფარდობითი ხასიათი აქვს.

კაუფმანის მიერ მოცემული თეორიული ჩარჩოს და შემთხვევათა ანალიზის მიხედვით, შეიარაღებული დაპირისპირებისთვის შესაბამისი პოლიტიკური მომენტუმის არსებობა დამდგარი შედეგის საფუძველზე არგუმენტირდება. პასუხად კითხვაზე, თუ რა იწვევს ამ მომენტუმს, შეგვიძლია ავტორის მიერ მოყვანილი რამდენიმე სავარაუდო ვერსია გამოვყოთ. ყველა მათგანი კრებსითად შიდაპოლიტიკური არასტაბილურობას უკავშირდება, რაც არახალია კონფლიქტის სხვა თეორიებისთვის. მაგრამ სახელმწიფო ინსტიტუციების სისუსტეს, ხელისუფლების ხელთ არსებული რესურსების არასაკმარისობას კანონის უზენაესობის უზრუნველსაყოფად, შეზღუდულ რესურსებზე გამძაფრებულ კონკურენციას და სხვა მრავალ მიზეზს, რომლებიც ქვეყანაში შესაძლოა ქაოსს და შემდგომ შეიარაღებულ დაპირისპირებას იწვევდნენ, რამდენად სჭირდება მტრული მითებით ეთნიკური ჯგუფების პროვოცირება? მსგავსი ვითარება ხომ მონოეთნიკურ საზოგადოებაშიც შექმნიდა შეიარაღებული დაპირისპირების კრიტიკულ რისკს. თუ მტრული მითებსა და კონფლიქტის წარმოქმნას შორის კავშირი არ არსებობს ან სუსტია (რაც ალბათ მომავალი კვლევების საგანია), შესაძლოა დავუშვათ, რომ სიმბოლური პოლიტიკის თეორიისვე მიხედვით ჩამოყალიბებული კონფლიქტის დაწყების ერთ-ერთი გადამწყვეტი წინაპირობა სიმბოლური პოლიტიკის კონცეფციით განსაზღვრულ კატეგორიებში არ ჯდება. ამასთანავე, არც ფსიქო-სოციალური მიზეზებით პირდაპირ განპირობებული მოვლენაა.

სტიუარტ კაუფმანი (2006) საკუთარ კონცეფციას სიმბოლური პოლიტიკის შესახებ რაციონალური არჩევანის თეორიასთან პოლემიკაში გადმოგვცემს. ავტორი, მისეული

ინტერპრეტაციით, განიხილავს ადამინის მიერ რაციონალური არჩევანის და ზოგადად, რაციონალობის განმსაზღვრელ წინაპირობებს. გარდა ამისა, იგივე ავტორის „ინტერ-ეთნიკური ომის საერთაშორისო თეორიაშიც“, უხვად ვხვდებით რაციონალური არჩევანის თეორიით განსაზღვრული მოსაზრებების იმპლიკაციებს. მაგალითად, „მასების მიერ მართული ძალადობის“ დახასიათება: შიდა-ეთნიკური უსაფრთხოების დილემის წარმოქმნა, გულისხმობს ადამიანთა ჯგუფების რაციონალურ არჩევანს, საკუთარი ინტერესების გასატარებლად სხვა ეთნოს(ებ)ი წინააღმდეგ გაერთიანდნენ. ამის გათვალისიწნებით, მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ იმის განხილვა, თუ როგორ აანალიზებს რაციონალური არჩევანის თეორია შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებულ კონფლიქტს.

რაციონალური არჩევანის თეორია სოციალური სამყაროს შემსწავლელ სხვადასხვა სფეროში აქტიურად გამოიყენება. სათავეს კი ფილოსოფიიდან იღებს. მისი მთავარი პრინციპი და პოსტულატი მდგომარეობს ადამიანის, როგორც რაციონალური, საკუთარი ინტერესების მისაღწევად მიზანმიმართულად მოქმედი არსების მიჩნევაში. შესაბამისად, კონფლიქტი აღქმულია ინდივიდთა გაცნობიერებულ ინტერესთა ისეთ კონკურენციად, როდესაც ერთის დაკმაყოფილება მეორის ინტერესთა უგულებელყოფას იწვევს. რაც შეეხება ინტერესთა შინაარს, ამ მიდგომის თანახმად ინდივიდების, საზოგადოებრივი ჯგუფების თუ სახელმწიფოებისთვის, ძირითად მისწრაფებებს წარმოადგენენ ისეთი საკითხები, როგორებიცაა ძალაუფლება, სიმდიდრე და შესაბამისად, მათ ფლობასთან დაკავშირებული სიკეთეები (Lake & Rotchild, 1988).

რაციონალური არჩევანის თეორიის მიხედვით კონფლიქტის წარმოქმნის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გზა საზოგადოებრივ ჯგუფებში გაურკვევლობის წარმოქმნაა (Pure-uncertainty model). მსგავსი ვითარება შესაძლოა გამოიწვიოს ჯგუფებში მათი მოწინააღმდეგე მხარეების შესახებ ობიექტური და სიღრმისეული ინფორმაციის არქონამ. აგრეთვე, საინფორმაციო კამპანიის ჩავარდნამ, რომელსაც რომელიმე საზოგადოებრივი, მათ შორის ეთნიკური, ჯგუფი საკუთარი ქმედებების და მიზნების შესახებ წარმართავს. მსგავსი გაურკვევლობა აჩენს საფუძველს ჯგუფებმა თავი იგრძნონ უსაფრთხოების დილემაში სხვა ეთნიკურ თუ საზოგადოებრივ

ჯგუფებთან მიმართებით: არასათანადოდ შეაფასონ მოწინააღმდეგის ანტაგონიზმის დონე. მსგავს, გაურკვეველ, ვითარებაში ადვილად შესაძლებელია ჯგუფებს საკუთარ შესაძლებლობებზე გადამეტებული წარმოდგენა შეექმნათ. აგრეთვე, კონფლიქტი აუცილებლად და გარდაუვლად მიიჩნიონ (Posen, 1993).

რაციონალური არჩევანის თეორიის კიდევ ერთი მოდელი ელიტებს და მათ ქმედებას უკავშირდება (Elite-predation model). ამ უკანასკნელს, ისევე, როგორც ეთნოსებს შორის შესაძლო უსაფრთხოების დილემას, სტიუარტ კაუფმანის „ინტერ-ეთნიკური ომის საერთაშორისო თეორიაშიც“ ვხვდებით. მეცნიერები, რასელ ჰარდინი (1997), ისევე, როგორც რუი დე ფიგუერიედო და ბარი ვაინგასტი (1999), მიიჩნევენ რომ, უსაფრთხოების დილემა არ არის საკმარისი მასების ისეთ დონეზე პროვოცირებისთვის, რომ მათ თავი გაწირონ შეიარაღებულ ბრძოლაში. აღნიშნული მოსაზრების მთავარ არგუმენტს წარმოადგენს ადამიანის რაციონალობის ხაზგასმა, რომლის თანახმადაც ფართო მასებისთვის მშვიდობა და სიცოცხლის შენარჩუნება უფრო ღირებულია, ვიდრე პოლიტიკური მიზნები.

შესაბამისად, ფართო მასების მობილიზებას და მანამდე მათში მტრული იდეების გაღვივებას საზოგადოებრივი ელიტები უწყობენ ხელს ან ახორციელებენ, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. საზოგადოების ეს მცირე ჯგუფები ცდილობენ ეთნიკური ერთობის წევრები პრევენციული მოქმედების აუცილებლობაში დაარწმუნონ. აღნიშნული ნარატივის მთავარი არგუმენტი იმისგან თავის დასაზღვევაში მდგომარეობს, რომ შემდგომში თავად ეს ჯგუფი არ გახდეს მოულოდნელი ძალადობის ან შევიწროების მსხვერპლი (De Figueiredo & Weingast, 1999).

მიუხედავად მრავალი არგუმენტისა, რომელიც ერთი მხრივ კაუფმანმა, ხოლო მეორე მხრივ, რაციონალური არჩევანის თეორიის მომხრეებმა მოიყვანეს, რაციონალური არჩევანის კატეგორიებით მრავალეთნიკურ საზოგადოებაში წარმოქმნილი კონფლიქტის ანალიზი გარკვეულ სირთულეებს შეიცავს. კერძოდ, ჭირს გარკვევა, თუ რატომ გვხვდება უამრავ შემთხვევაში უმცირესობის მობილიზაციის და ბრძოლის

შემთხვევები, მაშინ, როდესაც რაციონალური არჩევანის შემთხვევაში, ისინი უთანასწორო და ხშირ შემთხვევაში გამანადგურებელ ბრძოლას თავს აარიდებდნენ.

არსებობს მეცნიერული მოსაზრებები, რომლებიც მრავალეთნიკურ სახელმწიფოებში სამოქალაქო ომების განმაპირობებელ ფაქტორებს ეკონომიკურ გარემოში ხედავენ. ამ მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პოლ კოლიერისა და მისი თანაავტორების შრომები.

კონფლიქტის ეკონომიკური თეორიის შესაბამისად, სახელმწიფოში სამოქალაქო ომების და არეულობების წარმოშობის მთავარი მიზეზი სიღარიბე და ეკონომიკური უთანასწორობაა. თუ უფრო სიღრმისეულად შევხედავთ, მოცემული პარადიგმის მიხედვით, შეიარაღებული კონფლიქტებისთვის მოწყვლად სახელმწიფოს ახასიათებს: დაბალი მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), დაბალი მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე, დაბალი ეკონომიკური ზრდის ტემპი, სახელმწიფო ეკონომიკის მაღალი დამოკიდებულება ნედლეულის ექსპორტზე და არა ამ ნედლეულით წარმოებული პროდუქტის ექსპორტზე. ამასთანავე, მაღალი ჯინის ინდექსი მოსახლეობის შემოსავლების სფეროში, მთლიანი შიდა პროდუქტის არა ინკლუზიური ზრდა, სახელმწიფოში არსებული ქონების დიდი ნაწილის მოსახლეობის მცირე პროცენტში კონცენტრაცია (Collier & Hoeffler, 1998) (Collier, 2000) (Collier et al, 2003) (Collier & Hoeffler, 2004).

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პ. კოლიერის (2003) შრომა „კონფლიქტის ხაფანგის დამსხვრევა“ (Breaking the Conflict Trap), მსოფლიო ბანკის პოლიტიკის კვლევის დოკუმენტი. სადაც პოლ კოლიერს და მის თანაავტორებს სიღრმისეულად აქვთ განხილული სამოქალაქო ომების წარმოშობის ეკონომიკური მიზეზები. იქიდან გამომდინარე, რომ მოცემული კვლევა ძირითადად აღწერითია, ავტორები რომელიმე მიზეზის სხვებზე მნიშვნელოვნად წარმოჩენას არ ცდილობენ. კვლევის მთავარი ღირებულება, სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებული მრავალფეროვან გარემოებათა წარმოჩენაა. ავტორები მიუთითებენ მრავალ მაპროვოცირებელ ფაქტორზე, რომელიც შესაძლოა პირდაპირ არ განაპირობებდეს შეიარაღებული დაპირისპირების დაწყებას, მაგრამ კრიტიკული მნიშვნელობისაა. ამ

კვლევას თან ახლავს მდიდარი სტატისტიკური ბაზა, რომელიც კვლევის მომენტისთვის შექმნილ სიტუაციას ნათლად გადმოსცემს.

სამოქალაქო ომის წარმოშობის მსგავს მიზეზებს განიხილავს ანკე ჰოფერი (2002). სტატიაში - „სიხარბე წყენის წინააღმდეგ“ ('Greed' versus 'Grievance': A Useful Conceptual Distinction in the Study of Civil War) ავტორს სხვადასხვა ავტორიტეტული ორგანიზაციის კვლევის შედეგები მოჰყავს, რომლებიც ადასტურებენ, რომ სამოქალაქო ომში ჩართული ჯგუფის მობილიზაციის მთავარი განმაპირობებელი ეკონომიკური საკითხებია და არა იდეა, ან რაიმე სხვა სახის კულტურული ნარატივი. საკუთარი მოსაზრების დასადასტურებლად ავტორის მიერ მოყვანილია მაგალითი მსოფლიო ბანკის 2001 წლის ანგარიშის მონაცემებიდან, სადაც უშუალოდ სამოქალაქო ომში ჩართული პირების გამოკითხვით დადგინდა, რომ რესპონდენტთა მხოლოდ 13% იბრძოდა იდეებისთვის.

ეკონომიკური საკითხებია წინა პლანზე ანკე ჰოფერის კიდევ ერთ შრომაში (2002), რომელიც პოლ კოლიერთან ერთად შეასრულა. აღნიშნული კვლევა არა სამოქალაქო ომის მიზეზებს, არამედ მათ პრევენციას ეხება. სტატიაში სახელწოდებით: „დახმარება, პოლიტიკა და მშვიდობა“ (AID, Policy and Peace: Reducing the Risks of Civil Conflict) მოყვანილი რაოდენობრივი კვლევების და სტატისტიკური კორელაციებით მტკიცდება, რომ ისეთ სახელმწიფოებში, სადაც ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის რაოდენობა საშუალო ან მაღალია, შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტების წარმოქმნის რისკის დონე მინიმუმამდე მცირდება.

სამოქალაქო ომის წარმოქმნის მიზეზებს ასევე ეკონომიკასთან კავშირში განიხილავენ მიურეო უოლფსონი, ზაგოს სადჯადი და პატრიკ ჯეიმსი (2004) სტატიაში: „ეროვნული სახეობების იდენტიფიცირება“ (Identifying National Types: A Claster Analysis of Politics, Economics and Conflict). რეგრესული ანალიზის მეთოდის მეშვეობით მათ გამოიკვლიეს პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორის გავლენა კონფლიქტებზე. შედეგად მნიშვნელოვანი კავშირები დადგინდა ისეთ ფაქტორებს შორის, როგორიცაა პოლიტიკური სტაბილურობა და მდგრადი ეკონომიკური განვითარება, ეროვნული ეკონომიკის მოცულობა და დემოკრატიის ხარისხი და ა.შ.

თუმცა, რამდენადაც აღნიშნული კვლევაში მხოლოდ რაოდენობრივი კვლევის მეთოდები გამოიყენება, გავლენების შინაარსი და ფაქტორთა თვისებრივი განმარტება ანალიზის ობიექტივის გარეთ დარჩა.

არსებობს კიდევ ერთი გავლენიანი მეცნიერული მოსაზრება, რომელიც შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტების განმაპირობებელ მთავარ მიზეზს მოდერნიზაციაში ხედავს. აღნიშნულ კონცეფციას არ ჰყავს ერთი კონკრეტული ავტორი. კონფლიქტის წარმოქმნის წინაპირობათა ანალიზის კატეგორიები აღებულ იქნა სოციალური მეცნიერების სხვადასხვა სფეროებიდან, რომლებიც იკვლევდნენ მოდერნიზაციის სოციალურ სამყაროზე გავლენასა და მასზე საზოგადოების რეფლექსიის თავისებურებებს. ვინაიდან კონფლიქტიც უმთავრესად სოციალური მოვლენაა და გამოწვეულია გარკვეული სახის მიზეზით - დაპირისპირებულ ჯგუფებს შიგნით წარმოქმნილი პროცესით თუ გარე ზეგავლენით, სოციოლოგიასა თუ ეკონომიკაში აპრობირებული მსოფლმხედველობა კონფლიქტების მიმართულებითაც წარმატებით იქნა გამოყენებული.

მოდერნიზაციის საზოგადოებაზე გავლენის შესახებ მეცნიერებს შორის აზრი ორ ძირითად მიმართულებად იყოფა. ერთნი აღნიშნულ მოვლენას მეტი ინტეგრაციის და სტაბილურობის ხელშემწყობად მიიჩნევენ. ხოლო მეორენი - კონფლიქტის და საზოგადოებრივი დისონანსების მთავარ ინსპირატორად (Gellner, 1983).

მეცნიერები, რომლებიც მოდერნიზაციას სამოქალაქო კონფლიქტის პრევენციისთვის დადებით მოვლენად აღიქვამენ ხაზს უსვამენ მის თანმდევ დადებით პროცესებს. ესენია, უმუშევრობის შემცირება და შრომის დანაწილების ზრდა, წარმოების გაზრდილი პროდუქტიულობა, საშუალო შემოსავლის ზრდა, პოლიტიკური ინსტიტუტების გაძლიერება და ინსტიტუციური დიფერენციაცია. აღნიშნულთან ერთად მოდერნიზაციას თან ახლავს სოციალური მობილიზაციაც, რომელიც რიგი ავტორების მიერ აღქმულია საზოგადოების ინტეგრაციის საფუძვლად (Hechter, 1975).

ინდივიდის დონეზე მოდერნიზაცია ხელს უწყობს პიროვნების ინფორმირებულობასა და აქტიურ ჩართულობაში ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. იზრდება

პერსონალური ეფექტურობის განცდა და საჭიროება, ფართოვდება ავტონომიურობის სივრცე და სამოქალაქო თავისუფლება (Inkeles & Smith, 1999).

მიუხედავად მოდერნიზაციის მრავალი პოზიტიური კომპონენტისა, საზოგადოებრივი კონსოლიდაციისა და კონფლიქტის პრევენციის კუთხით, ამ მეცნიერული ხედვის მომხრეთა შრომებო სრულად ვერ პასუხობენ კითხვას, თუ რატომ წარმოიქმნება ეთნიკური და სამოქალაქო კონფლიქტები მოდერნიზებულ ან სწრაფად მოდერნიზებად ქვეყნებში (Horowitz, 1985). ან რატომ ხდება, რომ მოდერნიზაციის ავანგარდში მყოფი ინტელექტუალური ელიტა, ზოგიერთ შემთხვევაში, უფრო მეტად იზიარებს შოვინისტურ და ეთნოცენტრისტულ იდეებს, ვიდრე საზოგადოების რიგითი წევრები (Riggs, 1998).

მოდერნიზაციის მნიშვნელოვანი თანმდევი ფაქტორი თანამედროვე კომუნიკაციის სისტემების განვითარებაა, რომელიც, თავის მხრივ, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ინფორმირების შესაძლებლობას აჩენს. თუმცა, როგორც ემპირიული მონაცემები გვიჩვენებს, ეს ფენომენი ყოველთვის არ გულისხმობს ინტეგრაციას. სწორედ ამ ფაქტორს უსვამენ ხაზს მეცნიერები, რომლებსაც მოდერნიზაცია, რიგ შემთხვევაში, ეთნიკური კონფლიქტის გამომწვევ მნიშვნელოვან მიზეზად მიაჩნიათ.

კომუნიკაციის სისტემის განვითარება ხელს უწყობს სახელმწიფო დონეზე ცენტრსა და პერიფერიებს შორის ცნობადობისა და ურთიერთქმედების ზრდას, მაგრამ, ამავდროულად, ნათლად წარმოაჩენს მათ განსხვავებებსაც, რაც გარკვეულ გარემოებებში შესაძლოა კონფლიქტის მიზეზი გახდეს (Hetcher, 1975).

აღნიშნული კონტრასტი კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება ინტენსიური ურბანიზაციის ფონზე, რომელიც მოდერნიზაციის განუყოფელი ნაწილია. პერიფერიული და რურარული დასახლებებიდან ინდუსტრიულ ცენტრებში თავმოყრილი განსხვავებული კულტურის, რწმენისა და ცხოვრების წესის მქონე ადამიანები აცნობიერებენ გაუცხოებას ცენტრში დამკვიდრებული ცხოვრების სტილის მიმართ. ეძებენ ჯგუფებს, რომელთა წევრებთან და გაზიარებულ ღირებულებებთან შეძლებენ თვითიდენტიფიკაციას, მათ შორის ეთნიკური ნიშნითაც. მსგავსი უმცირესობების მიმართ უმრავლესობის მხრიდან

დამოკიდებულებაც გარეგნული ნიშნებითა და კულტურულ მარკერებითაა განპირობებული. აღნიშნული უფრო მეტად ამძაფრებს რწმენას ჯგუფის წევრებს შორის ერთმანეთის შესახებ, რომ აქვთ საერთო, სხვებისგან განსხვავებული, ფასეულობები და გამოწვევები (Connor, 1994).

დონალდ ჰოროვიცს (1985) მიაჩნია, რომ აღნიშნული პროცესები კონფლიქტური შედეგების მომტანი შესაძლოა იყოს ორ შემთხვევაში: მაშინ როდესაც, მსგავსი ჯგუფების ლიდერები ხელს შეუწყობენ რადიკალიზაციას ჯგუფებსა და საზოგადოებას შორის; და იმ პირობებში, როდესაც სხვადასხვა, ერთ საზოგადოებაში (სახელმწიფოში) მცხოვრები ეთნიკური თუ კულტურული ჯგუფების ჩართულობა მოდერნიზაციულ პროცესებში განსხვავებულია.

უსევოლოდ ისაჯიუს სტატიაში: „ეთნიკურობის დეფინიცია და განზომილებები“ (Definition and Dimensions of Ethnicity: a Theoretical Framework) (1993) განხილულია XX საუკუნის მეორე ნახევარში არსებული დომინანტი განსაზღვრებები ეთნიკური ჯგუფების შესახებ. სტატიაში გამოყოფილია ოთხი ძირითადი თვალსაზრისი, რომლითაც ახსნილია ეთნიკური ჯგუფის ფენომენი, მის წარმოშობიდან განვითარების თანამედროვე ეტაპამდე. აღწერილია ეთნიკური ჯგუფების დაყოფის და ტიპოლოგიის რამდენიმე მიდგომა, რაც თავის მხრივ საშუალებას იძლევა უფრო მეტი სიცხადით შევძლოთ ამ ტიპის ჯგუფების ანალიზი. სტატიაში შედარებულია პრიმორდიალისტების, ინსტრუმენტალისტებისა და კონსტრუქტივისტების მიდგომა ეთნიკური ჯგუფების, ეთნოსებისა და ერების წარმოშობის შესახებ.

ეთნიკურობის საკითხის განსახილველად მნიშვნელოვანია პეტერ ვერმეერშის სტატია „ეთნიკური მობილიზაციის თეორიები“ (Theories of Ethnic Mobilization: Overview and Recent Trends) (2011). ავტორი დაწვრილებით განიხილავს ყველა იმ ეთნიკური მობილიზაციის თეორიას, რომელიც 2010-იანი წლების დასაწყისამდე შეიქმნა. დოკუმენტი სიღრმისეულად აანალიზებს იმ მიდგომებს რომლის ფონზეც ხდებოდა ეთნიკური ნიშნით გაერთიანებულ საზოგადოებათა შესწავლა. კვლევა მნიშვნელოვან თეორიულ ბაზას გვაძლევს აღნიშნული თეორიების გამოყენებით ისეთ სამოქალაქო კონფლიქტების ანალიზისთვის, რომელშიც ეთნიკური კომპონენტი არსებობს.

დონალდ ჰოროვიცის სტატია „სტრუქტურა და სტრატეგია ეთნიკურ კონფლიქტში“ „Structure and Strategy in Ethnic Conflict“ (1998) განიხილავს ეთნიკურ კონფლიქტებს მრავალი თვალსაზრისით. გამოყოფს ანალიზის ათ მიდგომას, რაც საშუალებას იძლევა ამა თუ თვალსაზრისით სრულყოფილად იქნეს აღქმული ცალკეული შემთხვევა. კვლევა ძირითადად წარმოადგენს არსებული თეორიული ბაზის ინტერპრეტირებას.

ეთნიკური კონფლიქტების შესახებ მნიშვნელოვანი დოკუმენტია ჯეიმს ფირონის სტატია „ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნება ქვეყნების მიხედვით“ (Ethnic and Cultural Diversity by Country) (2003). მოცემული კვლევა ძირითადად ეკონომიკური პერსპექტივიდან განიხილავს ეთნიკურ საკითხს, თან ახლავს მდიდარი მონაცემთა ბაზა და სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემები.

ეკონომიკური ფაქტორების მნიშვნელობა ხაზგასმულია სტატიაში რომლის თანაავტრები ალბერტო ალესინა, რეზა ბაქირი და უილიამ ესტერლი არიან (1999). სტატიაში „საჯარო სიკეთეები და ეთნიკური დაყოფა“ (Public Goods and Ethnic Divisions) კონფლიქტის წარმოქმნის საკითხში ავტორები განსაკუთრებულ მნიშვნელობას სწორედ სოციალურ მდგომარეობას და მის გამომწვევ წინაპირობებს ანიჭებენ. იგივე ფაქტორების მიიჩნევენ ეთნიკურობის განმსაზღვრელადაც. დოკუმენტი საკმაოდ მასშტაბურია და მოიცავს როგორც მონაცემთა კორელაციურ ანალიზს, ისე საკითხის ღრმა თეორიულ განხილვას.

კვლევისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციულ ბაზას შეიცავს ჰუსეინ მოჰამადზადეს სტატია „ეთნიკური კონფლიქტის მიზეზები მრავალეთნიკურ საზოგადოებაში“ (The Causes of Ethnic Conflict in Multi-ethnic Societies) (2016), რომელშიც სხვადასხვა თეორიის ფონზე განხილული რამდენიმე კონკრეტული შემთხვევა საინტერესო ჩარჩოს იძლევა ანალიზისა და მეთოდოლოგიისთვის.

IV. კვლევის შედეგები

4.1 აგრეგირებულ მონაცემთა ანალიზი

კვლევის პირველ ეტაპზე იდენტიფიცირებულ იქნა ის სამოქალაქო შეიარაღებული კონფლიქტები, რომლებიც წარმოიქმნა 1976-2005 წლებში. როგორც საერთაშორისო მონაცემთა ბაზების და კვლევების ანალიზმა აჩვენა, ამ პერიოდში მთელს მსოფლიოში 83 შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტის შემთხვევა იყო. მათი იდენტიფიცირება მოხდა როგორც უფსალას უნივერსიტეტის მონაცემთა ბაზიდან (2020), ისე სტოკჰოლმის საერთაშორისო მშვიდობის კვლევის ინსტიტუტის, ასევე, The Fund for Peace-ის Fragile State Index-ის მონაცემებიდან და ამერიკის კონგრესის კვლევითი სამსახურის რეპორტიდან (2000). კონფლიქტური შემთხვევების იდენტიფიცირებისთვის გამოყენებულ იქნა ცალკეულ მკვლევართა ნაშრომებში მიღებული მონაცემებიც (Harbom et al., 2008) (Gleditsch et al., 2002) (Pettersson, & Wallensteen, 2015).

აღრიცხული შემთხვევების ანალიზმა აჩვენა, რომ მოცემული 83 შეიარაღებული კონფლიქტი წარმოიქმნა 54 სახელმწიფოში. 43 კონფლიქტის შემთხვევაში (და არა სახელმწიფოსი, ვინიდან გამოიკვეთა ისეთი ქვეყნები, სადაც ეთნიკურ ან სხვადასხვა ნიადაგზე ერთზე მეტი კონფლიქტი წარმოიქმნა), რაც საერთო რაოდენობის 52%-ია, შეიარაღებული დაპირისპირების წარმოქმნაში მნიშვნელოვან როლს ეთნო-პილიტიკური ფაქტორი თამაშობდა. დანარჩენ შემთხვევებში ეთნიკური კომპონენტი არ იყო, თუმცა არსებობდა როგორც იდეოლოგიური და რელიგიური, ისე სოციალური და პოლიტიკური ფაქტორები.

<u>ცხრილი #1</u>



მონაცემთა ანალიზისთვის აღირიცხა შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტის მქონე სახელმწიფოებში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა კონფლიქტის წარმოქმნის მომენტში. ეკონომიკური განვითარების დონის განმსაზღვრელად მიჩნეულ იქნა მშპ-ს რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე. ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად, აღნიშნული მონაცემი, მისი ინკლუზიურობის მაღალი ხარისხის გამო, მოსახერხებელი იყო გამოგვეყენებინა სახელმწიფოს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის ანალიზისთვისაც.

მონაცემები, 83 შემთხვევიდან მხოლოდ 68-ში იყო ხელმისაწვდომი (იმ 12 სახელმწიფოში, სადაც საერთო ჯამში, 15 შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული დაპირისპირება იყო, კონფლიქტის წარმოქმნის წელთან დაკავშირებით არ მოიპოვება მსოფლიო ბანკის მონაცემები).

მსოფლიო ბანკის კვლევების ანალიზმა აჩვენა, რომ შეიარაღებული დაპირიპირების წელს სახელმწიფოთა აბსოლუტურ უმრავლესობაში ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს რაოდენობა არ აღემატებოდა 2000 ამერიკულ დოლარს, ხოლო ნახევარზე მეტში, - 1000 ამერიკულ დოლარს. მთლიანი შიდა პრიდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 2 000 აშშ დოლარის ნიშნულს, შეარაღებული დაპირისპირების დაწყების წელს, მხოლოდ 7 სახელმწიფოს შემთხვევაში აღემატებდოდა. 10 სუბიექტის შემთხვევაში აღნიშნული მონაცემი მერყეობდა 1 000-დან 2 000 აშშ დოლარამდე.

<u>ცხრილი #2</u>

(მოცემულია 68 შემთხვევის მონაცემები)



კერძოდ, შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების მომენტში (წელს) მთელი რაოდენობის (54 სახელმწიფო და 68 კონფლიქტის შემთხვევა) მშპ-ს მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ 769 აშშ დოლარია. მხოლოდ აფრიკის კონტინენტზე (საკვლევ პერიოდში შიარაღებული კონფლიქტის დაწყების წლისთვის აღრიცხული მონაცემები არსეობს მხოლოდ 22 ქვეყნის შემთხვევაში) იგივე მონაცემის საშუალო მაჩვენებლს წარმოადგენდა 742 აშშ დოლარი. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში (15 ქვეყანა) მშპ ერთ სულ მოსახლეზე კონფლიქტის დაწყების წელს საშუალოდ იყო 771 აშშ დოლარი. ხოლო დასავლეთ აზიისა და ახლო აღმოსავლეთის შემთხვევაში (11 სახელმწიფო) იგივე მაჩვენებლი 774 აშშ დოლარს აღწევდა.

აღსანიშნავია, რომ მშპ-ს საშუალო მაჩვენებლი ერთ სულ მოსახლეზე იმ ქვეყნებისთვის, სადაც შეიარაღებული დაპირისპირება წარმოიქმნა, რეგიონების ზოგად მაჩვენებლებთან შედარებით დაბალია. მაგალითად: მსოფლიო ბანკის მონაცემებით (2023), მთლიანი შიდა პროდუქტის ერთ სულ მოსახელზე საშუალო მაჩვენებლი წლების მიხედვით (ნაშრომის საკვლევ პერიოდში) აფრიკის სუბ-საჰარას რეგიონის ქვეყნებში შემდეგნაირად გამოიყურება: 1976 წელი - 424 $; 1981 წელი – 976 $; 2005 წელი - 1074 $.

განსახვევაბა კიდევ უფრო თვალსაჩინოა ახლო აღმოსავლეთისა და მაღრიბის შემთხვევაში. თუკი კონფლიქტის მქონე სახელმწიფოთა მშპ ერთ სულ მოსახლეზე 774 $-ს წარმოადგენდა, რეგიონის ყველა ქვეყნის საშუალო მაჩვენებელი 1976 წელს იყო 1732 $; 1980 წელს - 3 232 $; 2005 წელს - 4 637 $. ანალოგიური ვითარებაა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ოკეანეთის რეგიონში: კონფლიქტის მქონე სახელმწიფობს შეიარაღებული დაპირისპირების წელს საშუალოდ 771 $ ჰქონდათ მშპ ერთ სულ მოსახლეზე, როდესაც რეგიონული მაჩვენებლი დინამიკაში სწრაფად იზრდებოდა: 1976 წელს - 711 $; 1995 წელს 4 332 $; 2005 წელს - 4 882 $.

მონაცემთა ანალიზის ფარგლებში, არსებულ კვლევებზე დაყრდნობით, დადგინდა ის ეკონომიკური თანასწორობის საშუალო დონეც, რომელიც არსებობდა შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტის მქონე სახელმწიფოებში დაპირისპირების წარმოქმნის მომენტში. ამ მონაცემების საზომად გამოყენებულ იქნა ჯინის (GINI) კოეფიციენტი,

რომლითაც მსოფლიო ბანკი 1980 წლიდან განსაზღვრავს ამ პარამეტრს სხვადასხვა სახელმწიფოში.

ჯინის ინდექსი მონაცემთა გაფანტულობის საზომია, რომელიც ზომავს უთანაბრობას მონაცემთა განაწილებაში. შემოღებულ იქნა 1912 წელს და ატარებს მისი ავტორის, იტალიელი სტატისტიკოსის, კორადო ჯინის, სახელს. ინდექსი 0 აღნიშნავს მოცემულობას, რომელშიც უთანაბრობა არ არსებობს. 1-ით აღინიშნება მდგომარეობა, სადაც უთანასწორობა მაქსიმალურია. აღნიშნული მეთოდი მეცნიერების სხვადასხვა დარგში გამოიყენება, თუმცა ყველაზე აპრობირებული პოპულაციაში შემოსავლებისა და კეთილდღეობის უთანაბრობის განსაზღვრაშია.

- კვლევის შედეგად დადგინდა, რომ კონფლიქტის წარმოქმნის მომენტში სახელმწიფოებში ჯინის კოეფიციენტი საშუალოდ 35.7 იყო, რაც უფრო დაბალი, ვიდრე მაღალი ეკონომიკური უთანასწორობის მაჩვენებელია. მაგალითისთვის, 2005 წლის მონაცემებით, ყველაზე დაბალი კოეფიციენტი (დაბალი უთანაწორობა) სლოვენიაში ფიქსირდება 0.25, ხოლო ყველაზე მაღალი - სამხრეთ აფრიკაში 0.65.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოების უმეტესობაში კონფლიქტის წარმოქმნის მომენტში მსოფლიო ბანკის მიერ ვერ ხდებოდა ჯინის კოეფიციენტის გაზომვა, შესაბამისად, იდენტიფიცირებული ოთხმოცდაექვსი შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტიდან მხოლოდ მეხუთედში აღრიცხული მონაცემების საფუძველზე მოხდა 35.7-იანი საშუალო მაჩვენებლის დადგენა.

კვლევის ფარგლებში გაანალიზდა მონაცემები, რომლებიც სახელმწიფოებში ადამიანის განვითარების იდექსს შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტის წარმოქმნის პერიოდში ასახავდა.

- მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ იმ სახელმწიფოთა მოსახლეობის ადამიანური განვითარების საშუალო ინდექსი, რომლებშიც 1976-2005 წლებში მიმდინარეობდა შეარაღენული კონფლიქტი, საშუალოდ წარმოადგენდა 0.44, რაც დაბალი მაჩვენებელია.

მაგალითისთვის, 2005 წლისთვის ყველა მაღალი კოეფიციენტი ჰქონდა ნორვეგიას - 0.94, ხოლო უდაბლესი - ნიგერს 0.31. მსოფლოს ყველა ქვეყნის საშუალო მაჩვენებლი 1990-2005 წლებში გაიზარდა 0.6-დან 0.69-მდე.

შემდეგ ეტაპზე განისაზღვრა სამოქალაქო კონფლიქტების მქონე სახელმწიფოებში ეთნიკური უმცირესობების რაოდენობა. აღნიშნულმა მონაცემებმა შესაძლებელი გახადა დადგენილიყო, თუ საშუალოდ ეთნიკური უმცირესობის რამდენპროცენტიან საზოგადოებაში ხდება სამოქალაქო კონფლიქტი.

მონაცემთა ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ იმ სახელმწიფოებში, სადაც 1976-2005 წლებში დაფიქსირდა შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტი, მოსახლეობაში ეთნიკური უმცირესობის საშუალო რაოდენობა 41.3%-ია.

იმ სახელმწიფოებში, სადაც სამოქალაქო შეიარაღებული კონფლიქტი მოხდა კონკრეტულად ეთნიკურ ნიადაგზე, საშუალოდ ეთნიკური უმცირესობების პროცენტული რაოდენობა 40.5%-ს უტოლდება.

მონაცემები აჩვენებს, რომ თითქმის ანალოგიური რაოდენობის ეთნიკური უმცირესობის პირობებში ხდება როგორც ეთნიკური, ისე სხვა ტიპის (პოლიტიკური, რელიგიური და ა.შ.) კონფლიქტები.

აქვე უნდა აღნიშნოს ის ფაქტი, რომ მოცემული საშუალოდ 40.5%-ი ერთეულ შემთხვევებში გულისხმობს აღნიშნული პროცენტული რაოდენობის მქონე მხოლოდ ერთი ეთნიკურ ჯგუფის არსებობას. როგორც წესი, აღნიშნული პროცენტული რაოდენობის შემადგენლობა ეკლექტურია (მინიმუმ ორი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი). მსგავს მოცემულობას ასახავს ეთიოპიის ეთნიკური დემოგრაფია, რომელიც ზემოთ განვიხილეთ. იგივე ვითარებაა ნიგერიაში, სადაც 29% წარმოადგენენ ეთნიკურე ჯგუფები ჰაუსა და ფულბე (საერთო ენა - ფულანი), 21%-იანი წილი მოდის იორუბას ჯგუფზე, 18% - იგბო და ა.შ.

როგორც უკვე აღინიშნა, 1976-2005 წლების სამოქალაქო შეიარაღებული კონფლიქტების საერთო რაოდენობაში იმ შემთხვევების წილი, სადაც ეთნიკური კომპონენტი იყო კონფლიქტის მთავარი მიზეზი - 52%-ია. თუმცა, არის რიგი

შემთხვევებისა, რომელშიც მიუხედავად სახელმწიფოს მაცხოვრებელთა ეთნიკური მრავალფეროვნებისა, სამოქალაქო კონფლიქტები არა ეთნიკურ, არამედ სხვა, პოლიტიკურ, რელიგიურ ან სოციალურ ნიადაგზე წარმოიშობა. მსგავსი შემთხვევის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია ფილიპინები, სადაც 1970-იან წლებში სამოქალაქო კონფლიქტის ორი კერა არსებობდა.

კუნძულ მინდანაოზე მცხოვრები ეთნიკურად ეკლექტური სეპარატისტული მოძრაობა იარაღით უპირისპირდებოდა ფილიპინების ცენტრალურ ხელისუფლებას. დაპირისპრიება ცნობილია, როგორც „მოროს კონფლიქტი“ (ტერმინი „მორო“ ესპანელების შემოღებულია XVII საუკუნეში. ასე მოიხსენიებდნენ ფილიპინების იმ მოსახლეობას, რომელთა წევრებსაც ეთნიკური წარმომავლობა არაერთგვაროვანი ჰქონდათ, თუმცა XIV-XV საუკუნეებში მიიღეს მიიღეს და საერთო რელიგიურ ჯგუფად ჩამოყალიბდნენ). მიუხედავად იმისა, რომ ამ, ეთნიკურად ეკლექტურ ჯგუფს, რელიგია აერთიანებდა, მათი ბრძოლის მიზანს არ წარმოადგენდა არც შაირაითის შემოღება, არც ისლამის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება. კონფლიქტს ჰქონდა სტანდარტული სეცესიური ხასიათი. კონფლიქტი ცალსახად პოლიტიკური იყო.

იგივე პერიოდში, ფილიპინების კომუნისტური პარტიის გასამხედროებული ფრთა - ახალი სახალხო არმია (New Peoples Army) ებრძოდა ოფიციალური მანილას შეიარაღებულ ძალებს. პოლიტიკური ჯგუფის მიზანს ხელისუფლების გადაყენება და ფილიპინების მთელს ტერიტორიაზე კონტროლის ხელში აღება წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ ფილიპინებში მკვეთრად მრავალეთნიკური მოსახლეობაა, დაახლოებით 100-ზე მეტი ეთნოლინგვისტური ჯგუფი (De Vera, 2007), მისი შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტების ერთ შემთხვევაში ხელისუფლებას ებრძოდა საერთო რელიგიის, არაერთგავროვანი ეთნიკური წარმომავლობისა და სეპარატისტული განწყობების მქონე გაერთიანება. ხოლო მეორე ჯგუფი, წარმოადგენდა ერთი იდეოლოგიის გარშემო გაერთიანებულ სხვადასხვა ეთნოსის მქონე პოლიტიკურ ოპოზიციას.

ეთნიკურ კომპონენტზე უფრო ხშირად შეიარაღებულ სამოქალაქო კონფლიქტების შემთხვევებში გვხდება დაბალი ეკონომიკური განვითარების დონე და ადამიანური განვითარების ინდექსი. პირველი მათგანის საფუძველზე 52%-ში წარმოიშვა დაპირისპირება. ხოლო მძიმე ეკონომიკური პრობლემები, როგორც ზემოთ მოცემული ცხრილო #2-დან ჩანს, 70%-ზე მეტ კონფლიქტის მქონე ქვეყანაში გვხვდება. მსგავს მონაცემებს ეყრდნობიან ის მეცნიერები, რომელთა აზრითაც ეთნიკური შუღლის პროვოცირება უმეტესად სოციო-ეკონომიკურ ნიადაგს უკავშირდება.

აღსანიშნავია, რომ გამოკვლეული კონფლიქტებიდან მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში გვხვდება ეთნიკური კომპონენტი ბოლო ორის, - სიღარიბისა და ადამიანური განვითარების დაბალი ინდექსის გარეშე. განსხვავებით ეკონომიკური თანასწორობის ინდექსისა (ჯინი), რომელიც მეტწილად არაერთგვაროვანია.

მაგალითად, ეთიოპიაში, 1999 წელს, ორომოს განმათავისუფელებელი ბრძოლის სახელით ცნობილი შიეარაღებული კონფლიქტის დროს, ქვეყნის ჯინი ინდექსი - 0.3 იყო. ხოლო ფილიპინებზე 2000 წელს მიმდინარე მორო მეორე ომის პერიოდში ქვეყანაში არსებული ეკონომიკური უთანასწორობა ბევრად მაღალი - 0.5 იყო.

ასევე, აღნიშვნის ღირსია შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტის მქონე ქვეყნების დემოკრატიზაციის დონე, რომელიც, კონფლიქტის დაწყების მომენტში, არცერთ შემთხვევაში არ წარმოადგენდა განვითარებულ, დასავლური ტიპის დემოკრატიას.

მოცემული მონაცემები მიუთითებს, რომ დემოკრატიული პოლიტიკური ცხოვრების გამოცდილების არმქონე საზოგადოებებში, ადამიანთა ბუნებრივი მიდრეკილება, - გაერთიანდნენ სხვადასხვა სახის პრობლემის წინააღმდეგ, რეალიზდება არადემოკრატიული მეთოდით. მათი მაკონსოლიდირებელი ფაქტორი ხდება ბუნებრივი მოცემულობა, რასა, ეთნოსი, რელიგია და ა.შ.

ასევე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სახელმწიფოებში, რომლებსაც ხანგრძლივად ან მეოცე საუკუნის მეორე ნახევრამდე არ ჰქონდათ დამოუკიდებლობის პირობებში განვითარების შესაძლებლობა, მეტ წილად არ არსებობდა გამოცდილება ერთ საზოგადოებაში სხვადასხვა ინტერესების მქონე ჯგუფების კონსტრუქციულ პირობებში თანაარსებობისა. მსგავსი საზოგადოების წარმოდგენასა და პრაქტიკაში

უმთავრესად იმ ჯგუფის ინტერესებია რეალიზებული, რომელიც აბსოლუტურ ძალაუფლებას ფლობს. შესაბამისად, მსგავსი ისტორიული მეხსიერების მქონე ჯგუფებისთვის თავდაცვა და საკუთარი ინტერესების რეალიზება ნიშნავს სრული ძალაუფლების მოპოვებას.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ მრავალეთნიკურ არადემოკრატიულ საზოგადოებაში სოციალური სტატუსი ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია ეთნიკურ იდენტობასთან. შესაბამისად, მსგავს ქვეყნებში სოციალური სტატუსისთვის ბრძოლა პირდაპირ არის დაკავშირებული ეთნიკურობის გარშემო კონსოლიდაციასთან, რაც კონფლიქტის მიზეზების ანალიზს კიდევ უფრო ართულებს.

შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტების მაპროვოცირებელი ეკონომიკური ფაქტორებიდან სიღარიბე შემთხვევათა დიდი უმრავლესობისთვის საერთოა, რაც მიუთითებს მჭიდრო კორელაციაზე ეკონომიკური განვითარების დაბალ დონესა და სამოქალაქო კონფლიქტის დაწყებას შორის. რაც შეეხება მეორე პარამეტრს, - ეკონომიკური თანასწორობის დონეს, არსებული მონაცემები აჩვენებს უკიდურესად სუსტ მიმართებას ეკონომიკურ უთანასწორობასა და კონფლიქტის წარმოქმნას შორის.

უფრო ზუსტად, იმ სახელმწიფოებში სადაც წარმოიშვა კონფლიქტი, შეიარაღებული სამოქალაქო დაპირისპირების მომენტში საშუალო ან დაბალი ეკონომიკური უთანასწორობის დონე ფიქსირდება. მაგალითად, 1999-2000 წლებში, ინდონეზიაში მიმდინარე მოლუკასის სექტრიანული ომის პერიოდში, ქვეყანაში ჯინის კოეფიციენტი 0.31 იყო; ვაზირისტანის ომის დროს, 2004-2006 წლებში, პაკისტანში იგივე პარამეტრი 0.33-ს აღწევდა; 1999 წელს, ჩეჩნეთის მეორე ომის დაწყებისას რუსეთში უთანასწორობის მაჩვენებელი მსოფლიო ბანკმა 0.38-ით შეაფასა.

ერთი მხრივ სიღარიბე, ხოლო მეორეს მხრივ დაბალი ეკონომიკური უთანასწორობის დონე შესაძლოა რამდენიმე მომენტზე მიუთითებდეს:

1. კონფლიქტის პროვოცირებას ახდენს ეკონომიკური კრიზისები მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეკონომიკური უთანასწორობა ამ პრობლემის მთავარი მიზეზი;
2. აღნიშნული ნაწილობრივ ეჭვქვეშ აყენებს ზოგიერთი ეკონომიკის თეორეტიკოსის ხედვას (უმეტესად მარქსისტულ ტრადიციაში მოაზროვნე მეცნიერები), რომლის

თანახმადაც სამოქალაქო (და არა მხოლოდ) კონფლიქტის გამომწვევი უმთავრესი მიზეზი უსამართლო წარმოებითი ურთიერთობებია. თუმცა, ობიექტური ფაქტია, რომ დაბალი ეკონომიკური განვითარების საფუძველი შესაძლოა იყოს როგორც ეკონომიკური დოვლათის არათანაბარი და არასამართლიანი გადანაწილება, ისე სხვა მრავალი ფაქტორი.

კიდევ ერთი პარამეტრი, რომელიც დაბალი ეკონომიკური განვითარების დონის მსგავსად საერთოა, ეს დაბალი ადამიანური განვითარების ინდექსია (HDI). მას სამი კომპონენტის მიხედვით ადგენენ: მოსახლეობის ჯანდაცვის ხარისხი, განათლების ხარისხი და მოსახლეობის ცხოვრების დონე.

აღნიშნული ინდიკატორი 0-დან 1-მდე ფასდება. მაგალითად, 2005 წლისთვის ყველაზე მაღალი HDI-ის ინდექსი ფიქსირდება აშშ-სა და ფინეთში 0.904. ხოლო, ყველაზე დაბალი ნიგერში - 0.296.

შეარაღებული კონფლიქტის მქონე სახელმწიფოებიდან, დაპირისპირების წარმოქმნის პერიოდში, ყველაზე მაღალი ადამიანური განვითარების მაჩვენებლი ყოფილ იუგოსლავიაშია 1991 წელს - 0.703. ასევე, რუსეთის ფედერაციაში 1999 წელს - 0.722. მსგავსი მაჩვენებლის მქონე კონფლიქტის მქონე სახელმწიფოები გამონაკლისს წარმოადგენენ. უმეტეს შემთხვევაში ამ საზოგადოებებში ადამიანის განვითარების ინდექსის მაჩვენებელი 0.5-ს ქვევითაა. შეარაღებული დაპირისპირების წინა პერიოდი ყველაზე დაბალი კოეფიციენტი გვხვდება ეთიოპიაში 1999 წელს - 0.286; აფრიკის ცენტრლურ რესპუბლიკაში 1996 წელს - 0.311; იემენში 1994 წელს - 0.378. აღნიშნული შედეგი ადასტურებს, რომ მოსახლეობის საბაზისო სოციალურ მოთხოვნებისა და საჭიროებების დაუკმაყოფილებლობას მნიშვნელოვანი როლი აქვს კონფლიქტის წარმოქმნაში.

****

კვლევის შედეგად მიღებული პროცენტული შედეგის მიხედვით (40%), რომელიც აღნიშნავდა ეთნიკური კომპონენტის მქონე სამოქალაქო ომების მქონე სახელმწიფოებში ეთნიკური უმცირესობების საშუალო წილს, იდენტიფიცირებულ იქნა ყველა პროცენტულად მსგავსი ან უფრო მეტი პროცენტულ რაოდენობის

ეთნიკური ჯგუფების მქონე სახელმწიფო (37%-დან ზევით). მათი რაოდენობა 30-ზე მეტია.

აღნიშნული ეთნიკურად მრავალფეროვანი ქვეყნებიდან ცხრაში შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (ან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ) არ ყოფილა. რამდენადაც კონფლიქტის არ მქონე ცალკეულ სახელმწიფოთა შესახებ არსებული მონაცემების ანალიზის მიზანს მათი ხანგრძლივი სტაბილურობის მიზეზების დადგენა წარმოადგენდა, საკვლევ ობიექტთა შერჩევის ინდიკატორად უფრო დიდი დრო იქნა აღებული, ვიდრე 1975-2005 წლების პერიოდია. ზოგიერთ მათგანში მშვიდობა ასწლეულზე მეტია გრძელდება.

აღნიშნული სახელმწიფოების ეთნიკური უმცირესობათა რაოდენობა უტოლდებოდა ან აღემატება 1976-2005 წლებში ეთნიკურ ნიადაგზე წარმოქმნილი სამოქალაქო კონფლიქტების მქონე ქვეყნების ეთნიკური უმცირესობის საშუალო პროცენტულ რაოდენობას. კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ამ სახელმწიფოთა ხანგრძლივი პოლიტიკური სტაბილურობის განმსაზღვრელი ფაქტორების ძიება. ხოლო შემდგომ, მათ შორის საერთო ფაქტორების პოვნა.

პირველადი აღწერითი კვლევა ძირითადად იმეორებდა შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტის მქონე სახელმწიფოების აგრეგირებული მონაცემების ანალიზის ცვლადებს. აღმოჩნდა, რომ აღნიშნული ცხრა სახელმწიფოს გეოგრაფიული არეალი არ იყო საერთო. მეტიც, ამ სახელმწიფოებიდან ერთ რეგიონში ორზე მეტი საერთაშორისო სუბიექტი არსად გვხვდება. მათი გადანაწილება შემდეგნაირად გამოიყურება:

<u>ცხრილი #4</u>

რეგიონი	**სახელმწიფოები**
დასავლეთ ევროპა	შვეიცარია
აღმოსავლეთ ევროპა	ლატვია (1991 წლიდან)
სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია	ბუტანი

ახლო აღმოსავლეთი	ბაჰრეინი; ყატარი.
ცენტრალური ამერიკა	ბელიზი (1981 წლიდან); ტრინიდადი და ტობაგო.
ცენტრალური აფრიკა	მალავი
ჩრდილოეთ ამერიკა	კანადა

სავარაუდოდ, მოცემული სახელმწიფოების გეოგრაფიული გაფანტულობა დაკავშირებული უნდა იყოს სხვადასხვა რეგიონში განსხვავებული რაოდენობის მქონე მკვეთრად მრავალეთნიკური საზოგადოების მქონე სახელმწიფოების რაოდენობასთან. თუმცა, ცალსახაა ისიც, რომ მათი ამგვარი გადანაწილება რომელიმე რეგიონის უპირატესობას სხვებზე სამოქალაქო კონფლიქტების პრევენციასთან მიმართებაში გამორიცხავს.

შვეიცარიისა და კანადის პოლიტიკური ისტორია ვითარდებოდა სპეციფიკურ და უმეტესად უნიკალურ გარემოებებისა და ფაქტორთა კომპლექსის ზეგავლენით. ამიტომ, რთულია მათი სხვა შემთხვევებთან შედარება და განზოგადება აფრიკისა თუ ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებზე. შესაბამისად, ანალიზი დანარჩენ შვიდ სახელმწიფოზე ფოკუსირდა.

ამ სახელმწიფოთა დემოგრაფიული სურათი ეთნიკურ პრიზმაში შემდეგნაირად გამოიყურება: ლატვია (დამოუკიდებელი სახელმწიფო 1991 წლიდან. მონაცემები ასახავს 2014 წლის მდგომარეობას. ვინაიდან ქვეყანაში არ მომხდარა რადიკალური დემოგრაფიული ცვლილებები, პროცენტული გადანაწილება რელევანტურია ჩვენი საკვლევი დროისთვისაც): ლატვიელები 61,4 %; რუსები - 26 %; ბელარუსები - 3,4 %; უკრაინელები - 2,3 %; პოლონელები - 2,2 %; ლიეტუველები - 1,3 %; სხვა - 3,4 %.

ბუტანი (2005 წლის მონაცემები): ბუტიები (ნგალოპები) 50 %; ნეპალელები (გურუნგები) – 35 %; შარჩოფები - 15 %.

ბელიზი (2010 წლის მონაცემები): მეტისები (ესპანელი ინდიელები) – 49,7 %; კრეოლები (მათ შორის შავკანიანებიც) – 20,8 %; მაიელი ინდიელები - 9,9%; გარიფუნა

(შავ-კარიბეილი ინდიელები) – 4,6 %; თეთრები - 4,6 %; აღმოსავლეთ ინდოელები - 2,1 %; სხვა აზიელები - 0,9 %; სხვები - 7,4%.

ტრინიდადი და ტობაგო (2011 წლის მონაცემები): აღმოსავლეთ ინდოელები 37,8 %; აფრიკელები 36,5 %; შერეულები (აფრო-ინდოელები) – 8,2 %; შერეული სხვები - 16,2 %; თეთრები - 0,6 %; აბორიგენი მოსახელობა - 0,1 %; სხვები - 0,6 %.

ბაჰრეინი: ბაჰრეინელი არაბები - 46 %; სხვა აზიელები (უმეტესად პაკისტანელი, ინდოელი, სპარსული და ფილიპინური წარმომავლობით) – 45,5 %; სხვა არაბები - 5,4 %; აფრიკელები - 1,6 %; ევროპელები - 1 %; სხვები - 0,5 %.

ყატარი (2008 წლის მონაცემები): ყატარელი არაბები - 20 %; სხვა არაბები - 20 %; ინდოელები - 20 %; ნეპალელები - 13 %; ფილიპინელები - 10 %; პაკისტანელები - 7%; შრი ლანკელები 5%; ამერიკელები (აშშ) – 0,5 %; სხვები - 4,5 % (Britannica, 2023).

ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები. ძალიან მაღალი ეკონომიკური განვითარების დონით (მშპ ერთ სულ მოსახლეზე) ხასიათდება ბაჰრეინი და ყატარი. საშუალოდ მაღალი განვითარებით შეგვიძლია დავახასიათოთ ლატვიის და ტრინიდადი და ტობაგოს ეკონომიკები. დაბალი განვითარების დონით ხასიათდებიან ბელიზი და ბუტანი, ხოლო, ძალიან დაბალი ეკონომიკური განვითარებით - მალავი.

თვალშისაცემია, რომ მიუხედავად განვითარების განსხვავებისა, განხილულ პერიოდში, ამ სახელმწიფოების ეკონომიკა მსგავსი დინამიკით ხასიათდება. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ყველა მათგანი სხვადასხვა ინტენსივობით, მაგრამ სტაბილურად ვითარდებოდა და ზრდიდა საკუთარ ეკონომიკურ დონეს.

აღნიშნული სახელმწიფოები ეკონომიკური ვითარების მიხედვით იყოფიან ორ ნაწილად. იმ სუბიექტებში, სადაც დაბალი ეკონომიკური განვითარებაა, უთანასწორობის დონეც დაბალია, ხოლო იმ ქვეყნებში სადაც მაღალი ეკონომიკური განვითარებაა, უთანასწორობის შედარებით მაღალ ხარისხთან ერთად დაბალი

სოციალური ფენის საბაზისო მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, მათი შესაბამისი დასაქმებითა და სოციალური პროგრამებით უზრუნველყოფით.

აღსანიშნავია, რომ მოცემული სახელმწიფოებიდან საკვლევ პერიოდში საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი ერთს ჰქონდა - ბელიზს. ამ უკანასკნელის დამოუკიდებლობის მოპოვების თანავე, 1981 წელს, მეზობელ გვატემალას ჰქონდა ტერიტორიული პრეტენზიები. იყო მცირე მსხვრეპლი, თუმცა დიდი ბრიტანეთის აქტიური ჩართულობით სახელმწიფოებს შორის ტერიტორიული კონფლიქტი დეესკალირდა.

ადამიანური განვითარების ინდექსის (HDI) მაჩვენებლის მიხედვით, მოცემული სახელმწიფოები სხვადასხვაგვარად ხასიათდება. ძირითადი ტენდენცია არის მაღალი მაჩვენებელი რომელიც ლატვიაში (მიუხედავად საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რამდენიმე წლის მანძილზე კლების ტენდენციისა, 1990-იანი წლების მეორე ნახევარში მოხერხდა სტაბილური ზრდის უზრუნველყოფა), ტრინიდადსა და ტობაგოში, ბაჰრეინსა და კატარში გვხვდება. ადამიანური განვითარების ინდექსის საშუალო დონე აქვთ ბუტანს და ბელიზს. ორივე მათგანის განვითარება დინამიკაში იყო სტაბილური, მაგრამ ნელი. დაბალი და არასტაბილური (ზიგზაგური) განვითარების დინამიკით გამოირჩევა მალავის რესპუბლიკა.

მოცემული შვიდი სახელმწიფოს უმეტესობა მაღალი ან ძალიან მაღალი ადამიანური განვითარების ინდექსით ხასიათდება, რაც ხაზს უსვამს ამ ცვლადის მაღალ კორელაციას შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტის პრევენციასთან.

დემოკრატიულობასთან მიმართებაში, აღსანიშნავია, რომ ბალტიკურმა სახელმწიფომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში დააკმაყოფილა ის მაღალი დემოკრატიული სტანდარტი, რომელიც საჭირო იყო ევროკავშირში გაწევრიანებისთვის.

ბელიზი და ტრინიდადი/ტობაგო „Freedom House“-ის შეფასებით სრულად თავისუფალ სახელმწიფოებია. აღნიშნული ორი ცენტრალური ამერიკის

სახელმწიფოს დემოკრატიზაციის დონეზე დიდი გავლენა იქონია ბრიტანეთის მხარდაჭერამ და აქტიურმა ჩართულობამ დამოუკიდებლობის გზაზე.

„Freedom House“-ის შეფასებით ბუტანი დღეს ნაწილობრივ თავისუფალ სახელმწიფოდ ითვლება. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ის არასდროს გამოირჩეოდა დემოკრატიის მაღალი ხარისხით და სწრაფი ეკონომიკური განვითარებით. მიუხედავად ამისა, ბუტანის პოლიტიკური კლასის სპეციფიკურმა მმართველობამ, რომელიც ეკონომიკური თანასწორობას მაქსიმალურად უზრუნველყოფდა, დაბალი ეკონომიკური ზრდის პირობებშიც მოახერხა სტაბილურობის შენარჩუნება.

აღწერილი შვიდი სახელმწიფოს მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტის პრევენციასთან მიმართბაში არსებითი და ცალსახა უპირატესობა არცერთ მმართველობის სტილს არ გააჩნია. მთავარია არსებობდეს სტაბილურ ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება.

თუმცა, თუ მონაცემების მიღმა არსებული ცოდნის შესაბამისად გვაანალიზებთ, პოლიტიკური სისტემის მიმართებას სამოქალაქო კონფლიქტთან უფრო კომპლექსურია. ხანგრძლივი და მდგრადი მშვიდობას სახელმწიფოში გაცილებით დიდი ალბათობითაა მიღწევადი, თუკი ადამიანთა უფლებები და თავისუფლებები დაცულია, ხოლო საზოგადოება მათ თავისუფალ ინტერესთა თანხვედრით გამყარებულ ერთობას წარმოადგენს. განსხვავებით იმ შემთხვევისა, როდესაც სტაბილურობა და სოლიდარობა ძალისმიერი მეთოდებით მიიღწევა.

ამასთანავე, ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული აგრეგირებულ მონაცემთა ანალიზიც აჩვენებს, რომ სამოქალაქო ომების მქონე სახელმწიფოების აბსოლუტური უმრავლესობა, კონფლიქტის დაწყების მომენტში არ წარმოადგენდნენ შემდგარ დემოკრატიებს.

4.2 მონაცემთა ანალიზის შედეგების მიმართება კონფლიქტის თეორიებთან

აგრეგირებული მონაცემების ანალიზისას ცხადი გახდა, რომ რომელიმე ერთი თეორიით მათი ინტერპრეტირება შეუძლებელი იყო. შედეგები იმდენად ეწინააღმდეგება, მაგალითად, კონფლიქტის ეკონომიკურ თეორიას და სხვა, მსგავსად, მატერიალური დეტერმინიზმის პოსტულატის მქონე თეორიებს, რამდენადაც ამართლებთ მათ. ხოლო რამდენადაც კონფლიქტური მოდერნიზაციის ან კონფლიქტის ეკონომიკური თეორიასთან მოდის თანხვედრაში, იმდენად ეწინააღმდეგება სტიუარტ კაუფმანის, დონალდ ჰოროვიცის თუ სხვა ავტორების ფსიქო-სოციალური ფუნდამენტის მქონე კონცეფციებს, რომელთაც ეკონომიკური ფაქტორები უკანა პლანზე აქვთ განხილული ან სრულად უგულებელყოფენ მათ. მეტის სიცხადისთვის, მონაცემთა სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებული ანალიზის შედეგები თითოეული კონფლიქტის თეორიის პრიზმაში განვიხლოთ.

კვლევის წინააღმდეგობრივი და რთულად ინტერპრეტირებადი შედეგები შემდეგნაირად გამოიყურება:

- 83 შეიარაღებული <u>სამოქალაქო</u> შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევიდან 52%-ი ეთნიკური ან ეთნო-პოლიტიკური იყო.
- ქვეყნებში, სადაც <u>ეთნიკური</u> ომი წარმოიქმნა საშუალოდ ეთნიკური უმცირესობა 40%-ი იყო.

მოცემული შედეგები აჩვენებს, რომ ეთნიკურობის მნიშვნელობა სოლიდურია სამოქალაქო კონფლიქტის წარმოქმნის საკითხში და ის განსაკუთრებით საფრთხის შემცველი ხდება, როდესაც უმცირესობის პროცენტული რაოდენობა მოცემულ (40%) საშუალო პროცენტულ ნიშნულს უახლოვდება. შედეგები პირდაპირ ეხმიანება თეორიებს, რომელთაც პრიმორდიალისტური და ეთნო-სიმბოლური პოსტულატი გააჩნიათ და კულტურულ განსხვავებულობაში ხედავენ კონფლიქტის წარმოქმნის მიზეზს. თუმცა ამავდროულად აღმოჩნდა, რომ:

- ქვეყნებში, სადაც ნებისმიერი ტიპის სამოქალაქო ომი იყო (მათ შორის ეთნიკურიც) საშუალოდ ეთნიკური უმცირესობის პროცენტული წილი 41%-ია.

შესაბამისად, ჩნდება კითხვა: თუკი წინა შედეგებით დადგენილი ეთნიკური განსხვავება არის კონფლიქტის მიზეზი, რატომ გვხვდება იგივე რაოდენობის ეთნიკური უმცირესობა არაერთნიკური შეიარაღებული დაპირისპირების მქონე სახელმწიფოებში, სადაც კონფლიქტში მონაწილე მხარეები ეთნიკური ნიშნით არ გაერთიანებულან?

მოცემულ შედეგის ახსნა პირდაპირ შეიძლება ნაციონალიზმის ინსტრუმენტული თეორიით და ყველა იმ კონცეფციით, სადაც ლიდერების, საზოგადოების მცირე ჯგუფის, მიერ ეთნიკური იდენტობა სუბიექტური მიზნების მისაღწევ იარაღად გამოიყენება. საზოგადოების მობილიზება ხდება იმ საკითხის გარშემო, რომელიც აქტუალურია კონკრეტულ სოციალურ ნიადაგზე. რაკი სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებისთვის, მათი კულტურის, ისტორიის ან ახლანდელი მდგომარეობის გამო, აქტუალური საკითხები განსხვავებულია, ეს ხსნის თუ რატომ გამოიყურება მობილიზაციის მიზეზები არაერთგვაროვნად.

სხვა დაშვების მიხედვით, ეთნოსი ყველაზე უფრო მეტად წარმოადგენს ინდივიდუალური ასპირაციების დაკმაყოფილებისთვის შექმნილ რაციონალურ ერთობას (ინტერ-ეთნიკური ომის „საერთაშორისო“ თეორია; კონსტრუქტივიზმის თეორია; რაციონალური არჩევანის თეორია). ამის გამო, სწორედ საერთო ეთნიკური იდენტობა ხდება პოლიტკური თუ სოციალური პრობლემების (და არა ისტორიული სიძულვილის ან კულტურული შეუთავსებლობის) წინააღმდეგ კონსოლიდირებული ბრძოლის შესაძლებლობა. შესაბამისად, ამით შეიძლება აიხსნას შეიარაღებული კონფლიქტთა უმრავლესობაში ეთნიკურობის ნიშნით გაერთიანებები. თუმცა, განსხვავებული ცვლადების კვლევის შედეგებად მიღებული მონაცემები, ამ თეორიების უნარს ახსნას ემპირიული მოცემულობა ერთიანობაში, საგრძნობლად ამცირებს.

- შეიარაღებული კონფლიქტების საერთო რაოდენობის 70%-ზე მეტ შემთხვევებში მშპ ერთ სულ მოსახლეზე კონფლიქტის დაწყების მომენტში იყო 1000 $-ზე ნაკლები იყო (ცხრილი #2). ხოლო 2000 $-ზე მეტი მხოლოდ შვიდ შემთხვევაში დაფიქსირდა, რაც ეკონომიკის დაბალ განვითარების, როგორც კონფლიქტის მნიშვნელოვან ინსპირატორზე მიუთითებს.

ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მონაცემების ანალიზის შედეგები აჩვენებდა, რომ ეთნიკურ კომპონენტზე უფრო მეტ შემთხვევაში სწორედ ის შეიძლებოდა გამხდარიყო კონფლიქტის მაპროვოცირებელი. მსგავს მოცემულობაში ყველაზე რელევანტური იყო ეთნიკურობის საშუალო პროცენტული მონაცემების და ეკონომიკური სიტუაციის, როგორც ორი ურთიერთგადაჯაჭვული მიზეზის განხილვა და შედეგების ინტერპრეტირება რაციონალური არჩევანის თეორიით მომხდარიყო.

აღნიშნული მსჯელობას წაიყვანდა დასკვნისკენ, რომლის თანახმადაც, ეკონომიკური და, ზოგადად, მატერიალური რესურსებისთვის მწვავე კონკურენციის პირობებში ინდივიდები და ჯგუფები ერთიანდებიან ეთნიკური ნიშნით, რათა შეძლონ ბუნებითთან მიახლოებულ კონკურენციაში კეთილდღეობის მეტი პერსპექტივის შექმნა. აღნიშნული კონკურენცია კიდევ უფრო მწვავეა სახელმწიფო სისტემის უუნარობის შემთხვევაში. მსგავსი უნარის არმქონე სახელმწიფოები კი შიდასახელმწიფოებრივი შეარაღებული კონფლიქტის მქონე ქვეყნების ჩამონათვალში აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენდნენ.

მეორეს მხრივ, შესაძლებელი იყო ეთნიკური მრავალფეროვნების და ეკონომიკის დაბალი განვითარების ცვლადების ურთიერთკაუზალობის პრინციპის გადანცვლება და ისე განხილვა. შედეგად, მატერიალური დეტერმინიზმის განვიხილავდით არა ეთნიკური მობილიზაციის მიზეზად, არამედ პირიქით, ეთნიკური ეკლექტურობას მივიჩნევდით ზოგიერთი ჯგუფის ეკონომიკური მარგინალიზაციისა და დისკრიმინაციის საფუძვლად.

მსგავსი შევიწროების ფორმას უდავოდ აქვს უნარი საზოგადოებრივ ერთობებს სოციალური სამართლიანობის მისაღწევად ძალისმიერი მეთოდებით ბრძოლისკენ

უბიძგოს. აღნიშნული პირდაპირ ეხმაურება დონალდ ჰოროვიცის (1985) თეზას, რომლის თანახმადაც მოდერნიზაციის კონფლიქტურად გარდაქმნის ორი მთავარი მიზეზიდან ერთ-ერთი საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის არათანაბარი სოციო-ეკონომიკური განვითარებაა.

აღნიშნული, ორივე ტიპის მიზეზ-შედეგობრიობა გულისხმობს მნიშვნელოვან პირობას - ეკონომიკურ უთანასწორობას საზოგადოებაში, რომელიც GINI-ის ინდექსით განისაზღვრება. კვლევამ აჩვენა, რომ:

- კონფლიქტის წარმოქმნის წლებში ქვეყნების GINI-ის ინდექსი, მცირე გამონაკლისების გარდა, საშუალო ან დაბალია (საშუალოდ 37.5). რაც მეტყველებს, ეკონომიკური უთანასწორობის, როგორც შეიარაღებული კონფლიქტის სავარაუდო მიზეზის დაბალ მნიშვნელობაზე.

GINI-ის მონაცემებმა მნიშვნელოვანი არგუმენტი გამოაცვალა ყველა იმ მიდგომას, რომელიც ეკონომიკური უთანასწორობის პოსტულატზე იდგა. რადგან, თუკი კონფლიქტის მქონე სახელმწიფოებში უთანასწორობის პრობლემა არ აღწევს კრიტიკულ დონეს, დაპირისპირების საერთო მიზეზის ძიება (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სხვა ფაქტორებში უნდა ვეცადოთ. აგრეთვე, მიუხედავად მაღალი უთანასწორობის არ არსებობისა, დაბალი ეკონომიკური განვითარების პირობებშიც ვერ გამოირიცხებოდა რესურსებისთვის კონკურენციის ფაქტორი, რაც რაციონალური არჩევანის თეორიის უარყოფას მხოლოდ ამ ინდიკატორზე დაყრდნობით შეუძლებლად წარმოაჩენს.

ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული მონაცემთა ანალიზის შედეგებთან რაციონალური არჩევანის თეორიის სხვებზე მეტი რელევანტურობის მიუხედავად, მაინც დარჩა რიგი მნიშვნელოვანი კითხვები ამ მიდგომასთან. თუკი ეთნიკურ ჯგუფში ინდივიდთა გაერთიანება და მათი ბრძოლა არის პოლიტიკური თუ ეკონომიკური მიზნების მიღწევის რაციონალური გზა, მაშინ რა იწვევს იმას, რომ თანაბარი ეთნიკური უმცირესობის მქონე სახელმწიფოების 52%-ში ეთნიკურობის, ხოლო 48%-ში

არაეთნიკური, არამედ სხვა საერთო ნიშნის საფუძველზე მოხდა მასების მობილიზება?

ამას გარდა, რამდენად შეიძლება რაციონალურ არჩევანად ჩაითვალოს კონფლიქტების შემთხვევათა 52%-ის შემთხვევაში ეთნიკური უმცირესობების მიერ საკუთარი სიცოცხლის გაწირვა სოციალური თუ პოლიტიკური ინტერესების მიღწევის მიზნით. მაშინ, როდესაც მეტი კონფორმიზმის შემთხვევაში მშვიდობიანად შეეძლოთ ცხოვრება. რომ აღარაფერი ვთქვათ მოლაპარაკების ან სხვა, სიცოცხლის დაკარგვის ნაკლების რისკის მქონე, დიპლომატიური ხერხების გამოყენებაზე დაპირისპირებულ მხარესთან.

ცხადია, ჩვენი მსჯელობა არანაირ ჩრდილს არ აყენებს გმირული თავგანწირვის მრავალ სამაგალითო შემთხვევას კოლონიალიზმისა თუ სხვა ისტორიული დამყრობლის წინააღმდეგ. მაგრამ, ვინიადიან თავად გმირულ თავგანწირვასა და რაციონალიზმის კლასიკურ გაგებას შორის (მაქს ვებერის შემოტანილი კატეგორიებით თუ დავაზუსტებთ, მიზან-რაციონალურ, და არა ღირებულებით-რაციონალურ, ქმედებას შორის) არსებობს რთული ურთიერთკავშირი, რაციონალური არჩევანის თეორია მრავალ შემთხვევაში უძლურია ახნას ეთნიკურობის საფუძვლეზე მასების მობილიზაცია და ბრძოლა.

გმირობა და თავგანწირვა, ისევე როგორც ადამიანური ღირსების სხვა მნიშვნელოვანი ასპექტები (ალტრუიზმი, კეთილსინდისიერება და ა.შ.) უმეტეს შემთხვევაში მნიშვნელოვან არარაციონალურ ელემენტს გულისხმობს: კომფორტის შექმნის, წარმატების მიღწევის თუ მეტი ფინანსური მოგების მიღების არამორალურ შესაძლებლობაზე უარის თქმას. შესაბამისად, რაციონალური არჩევანის თეორია, რომელის პოსტულატს წარმოადგენს ადამიანის აპრიორულად რაციონალურ არსებად აღქმა, არ ან ბუნდოვნად მოიცავს საზოგადოების აფექტურ, იმპულსურ ან კულტურისა და რელიგიური რწმენით ნაკარნახევ ქმედებათა ახსნას.

4.3 ტენდენციის ანალიზი და პანელური კვლევა გარე ფაქტორების საკვლევად

აღრიცხული სამოქალაქო კონფლიქტების წარმოქმნა გეოგრაფიული არეალების მიხედვითაც განისაზღვრა. ამის მთავარ მიზანი იყო ისეთი რეგიონების გამოვლენა, რომლებიც სამოქალაქო კონფლიქტების წარმოქმნის მხრივ ყველაზე აქტიურ რეგიონებს წარმოადგენს.

ყველაზე მოწყვლადი რეგიონი აფრიკის კონტინენტი აღმოჩნდა, განსაკუთრებით მისი ცენტრალური ნაწილი. ნაშრომის საკვლევ პეიროდში აფრიკაში 34 სამოქალაქო შეიარაღებული კონფლიქტი დაფიქსირდა. აქედან 21 შემთხვევა წარმოადგენდა ეთნიკურ ნიადაგზე წარმოქმნილ დაპირისპირებას.

ინტენსივობით გამოირჩეოდა აზიის კონტინენტიც, სადაც კვლევის ფარგლებში გამოყოფილ რეგიონებში (ახლო აღმოსავლეთი, ცენტრალური აზია, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია) 30 კონფლიქტი დაფიქსირდა. აქედან 13 ეთნიკურ ნიადაგზე იყო წარმოქმნილი.

<u>ცხრილი #2</u>



აღრიცხული შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტების დაწყების თარიღების მიხედვით განლაგება ორი მიზნის - ტენდენციის ანალიზის და პანელური კვლევისთვის მოხდა. როგორც ანალიზით ირკვევა, სამოქალაქო კონფლიქტების

წარმოქმნა თითქმის იგივე ინტენსივობით ხდებოდა ცივი ომის უკანასკნელი 15 წლის და მისი დასრულების შემდგომი 15 წლის განმავლობაში. 1976-1990 წლებში წარმოიქმნა 40 შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტი, ხოლო 1991-2005 წლებში – 43.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1976-1990 წლებში წარმოქმნილი 40 სამოქალაქო კონფლიქტიდან ეთნიკურ საფუძვლეზე იყო 22. ხოლო, 1991-2005 წლებში წარმოქმნილი 43 კონფლიქტიდან - 24.

<u>ცხრილი #6</u>



მონაცემები აგრეთვე აჩვენებს, რომ 1976-1990 წლებში წარმოქმნილი სამოქალაქო ომების აქტიური ფაზების დასრულება ცივი ომის წლებში უფრო მეტ შემთხვევაში მოხდა, ვიდრე ცივი ომის დასრულებიდან მომდევნო ათწლეულში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1991-2005 წლებში წარმოქმნილი სამოქალაქო ომების დიდი ნაწილიც რამდენიმე წლის ინტერვალში დასრულდა (43-დან - 31). ამიტომ კონფლიქტთა აქტიური ფაზების დიდი რაოდენობით ამოწურვა ექსკლუზიურად ცივი ომის დასრულებას ვერ მიეწერება.

აგრეთვე, „დასრულებაში“ შეიარაღებული დაპირისპირების, აქტიური ომის, დამთავრება უნდა ვიგულისხმოთ. რადგან ხშირ შემთხვევაში იქ, სადაც სამოქალაქო ომის დასრულდა, რჩება გაყინული კონფლიქტის ზონები რაიმე სახის სამშვიდობო შეთანხმების საფუძველზე და სამშვიდობო მისიების ჩართულობით. შესაბამისად, ასეთი კონფლიქტი შესაძლოა ნებისმიერ დროს ესკალირდეს. ამის მაგალითია მთიანი

ყარაბაღი (1988-1994; 2020), იემენი (1986; 1994; 2014-დღემდე), მალი (1989-1994; 2012-დღემდე) და ა.შ.

- 1976-1990 წლებში წარმოქმნილ სამოქალაქო შეიარაღებულ კონფლიქტებში ცივი ომის მხარეებთან აფილაციის დადასტურებული შემთხვევები არსებობს 16 კონფლიქტის შემთხვევაში (40-დან) (CRS Report for Congress, 2000).
- აღნიშნული 16 შემთხვევიდან, 8 სამოქალაქო შეიარაღებული კონფლიქტი 1991 წლამდე, ცივი ომის პერიოდში, დასრულდა. დანარჩენ ქვეყნებში ვხვდებოდით პერიოდულ ესკალაციას. (CRS Report for Congress, 2000).

<u>ცხრილი #7</u>

	წელი	**შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღ კონფლიქტი**	**ქვეყანა**	**რეგიონი**
1.	1976	ანგოლას ომი 1976-1991	ანგოლა	ცენტრალური აფრიკა
2.	1976	ლაოსის მესამე ომი 1976-1979	ლაოსი	სამხრეთ-აღმოსავლეთ აზ
3.	1978	გვატემალას მესამე ომი 1978-1984	გვატემალა	ცენტრალური ამერიკა
4.	1978	ავღანეთის კონფლიქტი (საურის რევოლუციიდან) 1978	ავღანეთი	ახლო აღმოსავლეთი
5.	1978	ირანის რევოლუცია 1978-1979	ირანი	ახლო აღმოსავლეთი
6.	1978	სანდინისტების რევოლუცია 1978-1979	ნიკარაგუა	ცენტრალური ამერიკა
7.	1978	სამხრეთ აფრიკის სასაზღვრო ომი 1966-1	სამხრეთ აფრიკ	სამხრეთ აფრიკა
8.	1979	ანტი-ჰომეინი კოალიცია 1979-1984	ირანი	ახლო აღმოსავლეთი
9.	1979	ელ სალვადორის ომი 1979-1992	ელ სალვადორი	ცენტრალური ამერიკა
10.	1979	მოზამბიკის ომი 1979-1992	მოზამბიკი	აღმოსავლეთ აფრიკა
11.	1980	ბუშების ომი (Bush War) 1980-1986	უგანდა	ცენტრალური აფრიკა
12.	1982	მანათობელი გზის ომი (Shining Path) 198	პერუ	სამხრეთ ამერიკა
13.	1982	ტიგრაი-ერითრიის ომი 1982-1991	ეთიოპია	აღმოსავლეთ აფრიკა
14.	1986	სამხრეთ იემენის ომი 1986	იემენი	ახლო აღმოსავლეთი
15.	1987	შრი ლანკა- ჯვპ-ს (Janatha Vimukthi Per მეორე ომი 1987-1989	შრი ლანკა	სამხრეთ-აღმოსავლეთ აზ
16.	1989	კოლუმბიის მერვე ომი 1989	კოლუმბია	ცენტრალური ამერიკა

ცივი ომის პერიოდში დაპირისპირებულ ბანაკთა ჩართულობა შეიარაღებულ სამოქალაქო კონფლიქტებში ყველაზე მეტად ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური ამერიკის რეგიონებში აღინიშნებოდა. ეს ფაქტი, აღნიშნული გეოგრაფიული

არეალების სიახლოვით აიხსნება აშშ-სა და სსრკ-ს ტერიტორიებთან (შესაბამისად, სტრატეგიული ღირებულებით). მეორე მხრივ, ორივე რეგიონი საზღვაო სავაჭრო ტრანზიტის მნიშვნელოვან სივრცეებს წარმოადგენს (სუეცისა და პანამის სრუტეები) და ენერგოუსაფრთხოების (სპარსეთის ყურე, არაბეთის ნახ. კუნძული) თვალსაზრისითაც დიდი მნიშვნელობა აქვთ (აბაშიძე, 2009).

აფრიკის ქვეყნებშიც სოლიდურია იმ სახელმწიფოთა რიცხვი, რომლებსაც როგორც შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტის, ასევე, ცივი ომის პერიოდში ერთ-ერთ ბანაკთან (მეტად სსრკ-სთან) ურთიერთობის გამოცდილება აქვთ. ამას ორი ძირითად მიზეზი აქვს: 1. აფრიკული სახელმწიფოების უმეტესობის დასავლეთის სახელმწიფოებთან ანტაგონისტური დამოკიდებულება კოლონიური წარსულის გამო. 2. ამ კონტინენტზე შედარებით მარტივი აღმოჩნდა მარქსიზმის პრინციპების გავრცელება. ბუნებრივი რესურსებით მდიდარ აფრიკულ სახელმწიფოების მოკავშირეობა წარმოადგენდა ცივი ომის დროს ორივე დაპირისპირებული მხარის სტრატეგიულ მიზანს (აბაშიძე, 2009).

ცივი ომის დასრულებამ მცირედით შეცვალა აფრიკული სამოქალაქო ომების გეოგრაფიაც. რელიგიურ ნიადაგზე წარმოქმნილი კონფლიქტები გაჩნდა ჩრდილოეთით, ალჟირსა (1992) და ეგვიპტეში (1992), ხოლო მოგვიანებით შეიარაღებული დაპირისპირება განახლდა დასავლეთით - ნიგერიაში (1999). კრემლის კიდევ ერთ ყოფილ მნიშვნელოვან რეგიონულ პარტნიორს - ეთიოპიას, იგივე ტიპის პრობლემები უფრო ადრე, 80-იანი წლების დასაწყისში შეექმნა (აბაშიძე, 2012).

ცივი ომის პერიოდში დიდი დაპირისპირების კლასიკურ ნიმუშს ანგოლას სამოქალაქო ომი (1975-2002) წარმოადგენს, რომელიც თავისი შედეგებით ერთ-ერთი ყველაზე დამანგრეველი აღმოჩნდა და 800 ათასიდან მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

პორტუგალიაში 1974 წლის „მიხაკების რევოლუციის“ შემდეგ, ქვეყნის ახალმა ხელისუფლებამ ყველა კოლონიას დამოუკიდებლობა მიანიჭა, მათ შორის ანგოლას - ბუნებრივი რესურსებით აფრიკის ერთ-ერთ უმდიდრეს სუბიექტს. ანგოლას

სხვადასხვა ძალებს შორის უმალვე ძალაუფლებისათვის შეიარაღებული ბრძოლა დაიწყო, რაშიც მეზობელი ქვეყნებიც ჩაერთნენ. ანგოლის 3 მთავარი შეიარაღებული ჯგუფიდან მეზობელი ზაირი მხარს უჭერდა NLFA-ს (ანგოლის ეროვნული განთავისუფლების ფრონტი), სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა - UNITA-ს (ეროვნული კავშირი ანგოლის სრული დამოუკიდებლობისათვის), ხოლო ქვეყნის პირველმა პრეზიდენტმა და MPLA-ს (ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობა) ლიდერმა აგოსტინიო ნეტომ დახმარებისათვის მოსკოვს მიმართა. 1975 წლიდანვე საბჭოთა კავშირმა დაიწყო MPLA-ს სამხედრო დახმარება. ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო კუბის ლიდერმა ფიდელ კასტრომ. შეიარაღებული კონფლიქტის სხვადასხვა ეტაპზე ანგოლაში დაახლოებით 20 ათასიანი კუბური სამხედრო კონტინგენტი იბრძოდა.

1975 წლის 11 ნოემბერს აგოსტინიო ნეტომ ანგოლის დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რაც UNITA-მ არ აღიარა. მომდევნო 15 წლის განმავლობაში სწორედ UNITA გახდა MPLA-ს მთავარი შეიარაღებული მოწინააღმდეგე; მას ღიად უჭერდა მხარს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ხოლო კულუარულად - აშშ. MPLA-გან განსხვავებით, UNITA აშკარად ანტისაბჭოთა და ანტიკომუნისტურ პოზიციებს იზიარებდა, რასაც მოგვიანებით ჩინური მაოიზმის ელემენტებიც შეემატა (პეკინის მხარდაჭერის პარალელურად).

1979 წელს პრეზიდენტ ნეტოს გარდაცვალების შემდეგ, ქვეყნის სათავეში MPLA-ს ლიდერი ჟოზე ედუარდო დუშ სანტუში მოვიდა, რომელსაც საბჭოთა კავშირში კარგად იცნობდნენ, როგორც აზერბაიჯანის ნავთობქიმიური მრეწველობის ინსტიტუტის ყოფილ სტუდენტს, საბჭოთა კავშირის დიდ მხარდამჭერსა და გულმხურვალე მარქსისტ-ლენინისტს. იგი რამდენჯერმე სტუმრობდა სსრკ-ს და ხვდებოდა საბჭოთა ლიდერებს (Abashidze & Ananeishvili, 2023).

ცივი ომის მხარეთა ჩართულობა მოცემული მაგალითის მსგავს კონფლიქტებში ადასტურებს მათი გაცხადებული პოლიტიკის რელიზებას. სხვადასხვა რეგიონში გავლენების განსამტკიცებლად ხშირი იყო დაპირისპირებული ბანაკების მიერ

საკუთარი ფავორიტი პოლიტიკური ძალების მხარდაჭერა, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში საბრძოლო მასალითაც (Pearce, 1998, 587-615).

მსგავს პოლიტიკას ღიად დადასტურებულია ისეთ გამოსვლებში, როგორიცაა ლეონიდ ბრეჟნევის 1968 წლის 12 ნოემბრის მიმართვა პოლონეთის გაერთიანებულ მშრომელთა პარტიისადმი, შემდგომში „ბრეჟნევის დოქტრინად“ წოდებული; მაო ძედუნის 1964 წლის 23 ივნისის სიტყვა ჩილელ ჟურნალისტებთან ინტერვიუს დროს; ჰარი ს. ტრუმანის 1947 წლის 12 ნოემბრის გამოსვლა აშშ-ს კონგრესში, რომელსაც მოგვიანებით „ტრუმანის დოქტრინა“ ეწოდა (de Soysa, 2017,).

თუმცა, თუკი რაოდენობრივ მონაცემებს შევადარებთ, ნათლად გამოჩნდება, რომ ისეთი შიდა კონფლიქტები, რომლებში მონაწილეთა აფილაცია დადასტურებულია „ცივ ომში“ დაპირისპირებულ ერთ-ერთ ბანაკთან, ბევრად ჩამოუვარდება ყველა იმ შეარაღებულ შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტის რიცხვს, რომელიც 1975-1990 წლებში წარმოიქმნა (16 შემთხვევა 40-დან). აღნიშნული მოცემულობა მიანიშნებს, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მიუხედავად, ცივი ომის ბანაკების პირდაპირი ჩართულობა სრულად არ განსაზვრავდა ამ პერიოდის მსოფლიოში წარმოქმნილი ომების დინამიკას.

აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს მონაცემები ცივი ომის დასრულების შემდგომი ათწლეულიდანაც: მიუხედავად იმისა, რომ მრავალგზის დადასტურებულ ფაქტს წარმოადგენს დასავლეთის სამყაროსა და ე.წ სოციალისტური ბანაკის მთავარი როლი ცივი ომის ეპოქას საერთაშორისო პოლიტიკურ წესრიგში, როგორც ზემოთაც აღინიშნა, რადიკალური ცვლილებების მიუხედავად, 1990-იან წლებში შიეარაღებული კონფლიქტების წამროქმნის ინტენსივობა თითქმის იგივე დარჩა.

- 1991-2005 წლებში მსოფლიოში წარმოიქმნა 43 შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტი. აქედან 25 იყო ეთნიკურ ნიადაგზე წარმოქმნილი, ხოლო 17 სოციო-პოლიტიკური მიზეზით. 31 ომის შემთხვევაში ცეცხლის შეწყვეტა მოხერხდა 2005 წლამდე.

შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტების რაოდენობის მინიმალური ცვლილების მიუხედავად, ცივი ომის შემდეგ მნიშვნელოვანდ შეიცვალა კონფლიქტის მქონე სახელმწიფოთა გეოგრაფია. 1990 წლების შემდგომი თხუთმეტი წლის განმავლობაში მათი დიდი ნაწილი აღმოსავლეთ ევროპაში, ყოფილი სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოებში მიმდინარეობდა (CRS Report for Congress, 2000) (Uppsala DCP, 2021).

<u>ცხრილი #8</u>

	თარიღი	**შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტი**	**ქვეყანა**
1.	1991	სამხედრო კონფლიქტი ხორვატიაში 1991-1992	იუგოსლავია
2.	1991	სამხედრო კონფლიქტი სლოვენიაში 1991	იუგოსლავია
3.	1991	ყარაბაღის ომი (1988) 1991-1993	აზერბაიჯანი
4.	1991	დნესტრისპირეთის ომი მოლდოვაში 1991-1992	მოლდოვა
5.	1992	ბოსნიის ომი (1992) 1995	იუგოსლავია
6.	1993	შეიარაღებული კონფლიქტი აფხაზეთში 1993	საქართველო
7.	1994	ჩეჩნეთის პირველი ომი 1994-1996	რუსეთი
8.	1995	სამხედრო კონფლიქტი ხორვატიაში („კარინას 1995	ხორვატია
9.	1998	კოსოვოს სახედრო კონფლიქტი 1998-1999	სერბეთი
10.	1999	ჩეჩნეთის მეორე ომი 1999-2003	რუსეთი

ცივი ომის უკანასკნელ 15 წელთან შედარებით, ცენტრალურ ამერიკაში 1991-2005 წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა სამოქალაქო ომების რაოდენობა. ამის მიზეზად შეგვიძლია მივიჩნიოთ აშშ-ს მყარი საერთაშორისო პოლიტიკური პოზიციები. რეგიონის კომუნისტურ სახელმწიფოები კი სსრკ-ს დაშლის პირობებში დავდაცვით რეჟიმზე იყვნენ გადასული და აქტიურობას რეგიონულ პოლიტიკაში ნაკლებად ცდილობდნენ.

შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტების წარმოქმნის ინტენსივობამ მსოფლიოში მცირედით მოიმატა 1986-1995 წლებში. ხოლო 1996-2005 წლებში შემცირდა:

- 1976-1985 წწ - წარმოქმნა 27 კონფლიქტი
- 1986-1995 წწ - წარმოიქმნა 32 კონფლიქტი
- 1996-2005 წწ - წარმოიქმნა 24 კონფლიქტი

<u>ცხრილი #9</u>



თუ მონაცემებს სამწლიანი ინტერვალებით დავაჯგუფებთ, ყველაზე ინტენსიურ პერიოდად 1976-1978 წლები იკვეთება (სულ 12, ეთნიკური კომპონენტის მქონე 6 შემთხვევა) და 1991-1993 წლები (სულ 13, ეთნიკური კომპონენტის მქონე 8 შემთხვევა).

<u>ცხრილი #10</u>



თუკი აღნიშნულ მონაცემებს მსოფლიო პოლიტიკაში პარალელურად მიმდინარე მოვლენებს დავუკავშირებთ, შესაძლოა გამოითქვას რამდენიმე ვარაუდი. სიტყვა „ვარაუდს“ ვიყენებთ იმის გამო, რომ პანელური კვლევებისას (ისევე, როგორც პოლიტიკურ მოვლენათა ანალიზის მარავალ შემთხვევაში) რთულია დაზღვეული

ვიყოთ ერთგვარი კოვარიაციისგან. კოვარიაცია გულისხმობს შემთხვას, როდესაც ცვლადები (ფაქტორები) მსგავსი, პროპორციული (ან უკუპროპორციული), ტენდენციით ხასაითდებიან, თუმცა მათ შორის კორელაციის (ურთიერთზეგავლენის) დამადასტურებელი პირდაპირი მტკიცებულება არ გვაქვს. მიუხედავად ამისა, იდენტიფიცირებული მოვლენების მნიშვნელობიდან გამომდინარე, შესაძლებელია გარკვეული პარალელების აღმოჩენა.

1976-1978 წლები წარმოადგენს მნიშვნელოვან პერიოდს ამერიკის შეერთებულ შტატებში. დასახული მიზნების განუხორციელებლობამ ვიეტნამში (1964-1975 წ.წ.) აშშ-ის მოსახლეობის ნეგატიური დამოკიდებულება გაზარდა. შედარებით შესუსტდა ამერიკის საგარეო აქტივობა, მათ შორის, სხვა ქვეყნებში მიმდინარე სამხედრო დაპირისპირებებში ჩართულობა.

შტატების საზოგადოებაში მსგავსი ტიპის მზარდი განწყობები ტრანსფორმირდა ინსტიტუციურ კონფლიქტში პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და კონგრესს შორის, რომლის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა 1976 წელს კონგრესის მიერ მიღებული კანონი. აღნიშნული ნორმატიული აქტი მთავრობას უკრძალავდა პრო-ამერიკული ძალების პირდაპირ სამხედრო მხარდაჭერას სხვა ქვეყნებში, მათ შორის, კომუნისტურ სახელმწიფოებში (ჯენტელსონი, 2015).

მსგავსი შიდაპოლიტიკური ვითარება და საზოგადოებრივი განწყობები, აშშ-ს, როგორც დემოკრატიულ სახელმწიფოს აღმასრულებელ ხელისუფლებას კრიტიკულად უზღუდავდა მოქმედების არეალს საგარეო ასპარეზზე. მათი მატერიალური და სამხედრო მხარდაჭერის შემცირება კი პირდაპირპროპორციულად ისახებოდა იმ სახელმწიფო თუ არაფორმალური ჯგუფების რესურსებზე, რომელბსაც მანამდე აქტიურად უჭერდნენ მხარს. არსებული ბალანსის ცვლილება (აშშ-ის პარტნიორების შესუსტების ფონზე სსრკ-ს სატელიტთა გაძლიერება), სხვა ფაქტორებთან ერთად, ლოგიკურად გამოიწვევდა სამხედრო დაპირისპირებისთვის ახალი იმპულსის მიცემას, რაც აისახა კიდეც აღნიშნულ პერიოდში სამოქალაქო ომების წარმოქმნისა და განახლების შესახებ არსებულ რაოდენობრივ მონაცემებში.

1976-1978 წლებში შეიარაღებულ სამოქალაქო კონფლიქტთა რაოდენობის მატება კიდევ ერთ ფაქტორს შეგვიძლია დაუკავშიროთ. 1977 წელს აშშ-ის ხელისუფლების სათავეში მოსულმა ჯიმი კარტერმა (აშშ-ს პრეზიდენტი 1977-1981) საგარეო პოლიტიკის ძირითად მიზნად ადამიანის უფლებების დაცვა განსაზღვრა. დემოკრატ პრეზიდენტს მისი წინამორბედი რესპუბლიკელი მეთაურების მიერ წარმოებული საგარეო პოლიტიკის ხასიათის ცვლილებამ ურთიერთობა მნიშვნელოვნად გაუფუჭა ავტორიტარ, თუმცა ანტიკომუნისტურად განწყობილ ლიდერებთან. ავტორიტარული რეჟიმების წინააღმდეგ მებრძოლი ჯგუფები კი ჯ. კარტერის პრეზიდენტოების პერიოდში მნიშვნელოვნად გააქტიურდნენ მაგალითებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ელ სალვადორის მემარჯვენე დიქტატორის, რომეროს, წინააღმდეგ წარმატებით განხორციელებული გადატრიალება; გრენადაში ფიდელ კასტროს მოკავშირე კომუნისტური ძალების მოსვლა ხელისუფლებაში, 1978 წელს სანდინისტების აჯანყება ნიკარაგუაში და ა.შ. (Skidmore, 1994).

ნიკარაგუა იყო ქვეყანა, სადაც წარმოქმნილ კონფლიქტში ცივი ომისათვის დამახასიათებელი ნიშნები ყველაზე თვალსაჩინოდ გამოიკვეთა. 1980-იანი წლების სამხედრო კონფლიქტს ამ ქვეყანაში საკმაოდ დიდი წინა ისტორია აქვს, რაც დაკავშირებულია სომოსას ოჯახის თითქმის 50 წლიან რეპრესიულ მმართველობასთან და მის წინააღმდეგ სხვადასხვა შიდა ძალის ბრძოლასთან. ეს ბრძოლა წლების განმავლობაში გარკვეულწილად ანტიამერიკული ნიშნით მიმდინარეობდა და იგი 1920-1930 წლების რევოლუციონერ აუგუსტო სანდინოს სახელთან იყო დაკავშირებული (აქედან წამოვიდა მათი სახელწოდებაც - „სანდინისტები“).

დიქტატორი ანასტასიო სომოსა თავისი ანტიკომუნისტური განწყობებით გამოირჩეოდა, რის გამოც, ცივი ომის ლოგიკით, ვაშინგტონის მხარდაჭერით სარგებლობდა. ცნობილი ფრაზა, რომელსაც ფრანკლინ რუზველტს მიაწერენ, სწორედ სომოსას მისამართით ითქვა 1939 წელს: „სომოსა შეიძლება მართლაც ძაღლის შვილია, თუმცა ჩვენი ძაღლის შვილი“. ეს ფრაზა თავისებური კვინტესენციაა ცივი ომის

პერიოდში მოკავშირეთა შერჩევის კრიტერიუმისა. ამავე პრინციპით სარგებლობდა აშშ-ს მხარდაჭერით სომოსას ვაჟიშვილი და ნიკარაგუას დიქტატორი 1979 წლამდე ანასტასიო („ტაჩიტო“) სომოსა დებაილე. 1979 წელს, ფართო კოალიციამ „სანდინისტების“ მეთაურობით შეიარაღებული ამბოხის გზით, მათ დაამხეს სამოსას რეჟიმი (Galván, 2012).

მარქსისტული პოლიტიკური ჯგუფების აღზევებას, რომლებსაც მხარს უჭერდა მოსკოვი და კომუნისტური კუბა, ვაშინგტონი აღიქვამდა, როგორც ამერიკის კონტინენტზე მორიგი საბჭოთა სატელიტური რეჟიმის წარმოქმნას და უსაფრთხოების სერიოზულ გამოწვევას (ქილორი, 2015).

აშშ-ის მე-40 პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა თავისი მმართველობის პერიოდში (1981-1989) აქცენტი საბჭოთა კავშირისა და მისი „კლიენტების“ წინააღმდეგ ბრძოლაზე გააკეთა. ვაშინგტონის მიერ ანტისანდინისტური ძალების მხარდაჭერამ ნიკარაგუაში სამოქალაქო ომის სახე მიიღო, რომელსაც დაახლოებით 50 ათასი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა (Gaddis, 1994).

საბჭოთა კავშირში მიმდინარე “პერესტროიკამ” და კრემლის მხარდაჭერის შესუსტებამ, 1988 წელს აიძულა სანდინისტების ხელისუფლება ხელი მოეწერა ოპოზიციასთან შეთანხმებაზე, რომელიც შეიარაღებული დაპირისპირების დასრულებასა და ფართო პოლიტიკურ რეფორმებს ითვალისწინებდა. შეთანხმების შესაბამისად, 1990 წელს ნიკარაგუაში პრეზიდენტისა და ეროვნული ასამბლეის არჩევნები ჩატარდა, რომლებშიც ოპოზიციის ეროვნულმა კავშირმა გაიმარჯვა (Pearce, 1998).

1990-2006 წლებში ნიკარაგუას მართავდნენ მემარჯვენე ცენტრისტული ლიბერალური ძალები, ხოლო სანდინისტები ოპოზიციაში იყვნენ.

2006 წელს არჩევნებში კვლავ დანიელ ორტეგამ გაიმარჯვა, თუმცა ამჯერად არა მარქსისტული ლოზუნგებით, არამედ მემარცხენე ნაციონალისტური პროგრამით. ამ პროგრამისა და იდეოლოგიის მნიშვნელოვანი ნაწილია „ვაშინგტონის დიქტატის“

წინააღმდეგ მიმართული კამპანია, რასაც ცენტრალურ ამერიკაში ტრადიციულად ბევრი მომხრე ჰყავს.

დღეისათვის დანიელ ორტეგა კვლავ რჩება ქვეყნის სათავეში, მისი მეუღლე კი ვიცე-პრეზიდენტია. ქვეყნის შიგნით და გარეთ ორტეგას მკაცრად აკრიტიკებენ ხელისუფლების უზურპაციისა და ანტიდემოკრატიული მმართველობის მეთოდებისათვის. ნიკარაგუაში კვლავ გაჩნდა შეიარაღებული „კონტრას“ ჯგუფები. ალბათ ამიტომაც პოპულარული გახდა რეფრენი: „Ortega y Somoza son la misma cosa“ („ორტეგა და სამოსა - ორივე ერთია!“).

ოფიციალურმა მანაგუამ 2008 წელს აღიარა რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის „დამოუკიდებლობა“. მას გამორჩეული ურთიერთობა აქვს მოსკოვთან.

1991-1993 წლების ყველაზე მნიშვნელოვან საერთაშორისო პოლიტიკურ მოვლენას საბჭოთა კავშირის დაშლა წარმოადგენდა. ათეული წლების განმავლობაში ბიპოლარული სამყაროს ერთ-ერთი ცენტრის დეზინტეგრაციას როგორც საერთაშორისო მასშტაბით, ისე სსრკ-ში შემავალ ყოფილ რესპუბლიკებში, რადიკალური ცვლილებები მოჰყვა.

პროსაბჭოთა ძალებს სამხედრო და ფინანსური რესურსი კრიტიკულად შეუმცირდათ, რამაც მათ მოწინააღმდეგეებს უპირატესობა მისცა. პოსტკომუნისტურ სახელმწიფოებში თავისუფლების ხარისხის მატებამ, ახლადშექმნილი სახელმწიფო ინსტიტუტების სისუსტემ და კრემლის უარყოფითმა ჩართულობამ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში საზოგადოებრივი და პოლიტიკური დეზორგანიზაციისთვის ნოყიერი ნიადაგი შექმნა. აღნიშნული მეოცე საუკუნის ბოლოს აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე წარმოქმნილი კონფლიქტების რაოდენობაზე აისახა (აბაშიძე, 2012).

ტენდენციის ანალიზმა და პანელურმა კვლევის საფუძველზე საგარეო ფაქტორის თვალსაზრისით გამოვლინდა შემდეგ ტენდენციები: 1. შეიარაღებული სამოქალაქო

კონფლიქტების წარმოქმნის ყველაზე ინტენსიური პერიოდებში მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო საერთაშორისო პოლიტიკური ვითარებით (ცხრილი #10 – 1976-1978 წ.წ; 1988-1993 წ.წ.) 2. წარმოქმნილი კონფლიქტების თითქმის ნახევარი არ იყო ეთნიკურ ნიადაგზე წარმოქმნილი. 3. აღნიშნული მონაცემები საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ნეგატიური გარე გავლენები თანაბრად საფრთხის შემცველია როგორც ეთნიკური, ისე პოლიტიკური თუ სოციალური მახასიათებლის კონფლიქტის წარმოსაქმნელად.

მსგავს სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, ისეთმა ავტორებმა, როგორებიც არიან ფერონი და ლეიტინი (2003) გამოთქვეს მოსაზრება, რომ ცივი ომის დასრულებას და საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაში ცვლილებებს არ მოუხდენიათ კრიტიკულ გავლენას სამოქალაქო ომების წარმოქმნაზე. ავტორების აზრით, სამოქალაქო ომის საფრთხე წარმოიქმნება არასტაბილურ პოლიტიკურ გარემოს, ეთნიკურ მრავალფეროვნებისა და ეკონომიკური კრიზისის პირობებში, მიუხედავად გარე გავლენისა.

ანალოგიურად, კოლიერი და მისი თანაავტორები (2003) არ მიუთითებენ რაიმე მნიშვნელოვან კავშირზე ცივი ომის დასრულებასა და 1990-იან წლებში სამოქალაქო ომების წარმოქმნის ტენდენციას შორის. ასევე, სამბანისი (2004) თავისი გამოკვლევიდან ასკვნის, რომ ცივი ომის დასრულება არ იყო სახელმწიფოების შიდა შეიარაღებული კონფლიქტების წარმოქმნის პირდაპირი მიზეზი. რაკი ისეთი ტოტალური მოვლენა, როგორიც ცივი ომია, გამოირიცხება სამოქალაქო ომების ინტენსივობის განმსაზღვრელი ფაქტორებიდან, მოცემული ავტორები კონცენტრაციას უფრო მეტად ეროვნულ დონეზე არსებულ პროცესებზე ახდენენ.

კალივასი და ბალსელსი (2010) თვლიან, რომ ცივი ომის დასრულებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სამოქალაქო ომების გაჩენაზე. ავტორთა აზრით მიუხედავად იმისა, რომ შეიარაღებული კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები და წარმოქმნისთვის აუცილებელი გარემოებები როგორც ცივი ომის პერიოდში, ისე მის შემდგომ შემთხვევებში იდენტურია, საერთშორისო პოლიტიკაში ძალთა ბალანსის

რადიკალური ცვლის ფენომენი კონკრეტულ შემთხვევებზე დიდი ზეგავლენის მომხდენი გახდა. რადგან დიდი ხნის მანძილზე არსებული სტატუს კოს რღვევამ პირდაპირი გავლენა მოახდინა ცალკეულ სახელმწიფოებში შიდა პოლიტიკურ პროცესებზე და ეროვნულ პოლიტიკაში დიდ ტურბულენტური ძვრები გამოიწვია.

ცვლილებათა გამო გამოწვეულ არასტაბილურობას უსვამენ ხაზს ჯონსი და სტიდმანი (2017). აღნიშნულ მდგომარეობაში სსრკ-ს დაშლის შედეგად დამოუკიდებლობა მოპოვებული სახელმწიფოები აღმოჩნდნენ. მათმა დიდმა ნაწილმა თანამედროვე ტიპის სახელმწიფოების, როგორც წარმატების საუკეთესო მაგალითის, მშენებლობა დასავლური მოდელის შესაბამისად დაიწყო. თუმცა, ამას მსგავსი პროექტის განსახორციელებლად საჭირო გამოცდილებისა და სოციალური წინაპირობების არეშე აკეთებდნენ.

შესაბამისი პოლიტიკური კულტურის და სოციალური წინაპირობების არ არსებობა, როგორც დემოკრატიული, თანამედროვე სახელმწიფოების ჩამოყალიბების ერთ-ერთი მთავარი ხელის შემშლელი ფაქტორი, სხვა მკვლევართა ინტერესის საგანიც გახდა. მაგალითად, მანსფილდი და სნაიდერი (1995), საკუთარ კვლევაზე დაყრდნობით აღნიშნავდნენ, რომ ავტორიტარული რეჟიმების სწრაფი დემოკრატიზაცია ზრდიდა ომის წარმოქმნის საფრთხეს, როგორც საერთაშორისო, ისე შიდაპოლიტიკურ პერსპექტივაში. სხვა მხრივ, ამ პერიოდის შესახებ ტონი სმიტი (2012) აღნიშნავს, რომ მიუხედავად დემოკრატიის მიმზიდველობისა, მის მისაღწევად მხოლოდ ენთუზიაზმით განხორციელებული პოლიტიკური ცვლილებები გარდამავალ დემოკრატიებში ვერ უზრუნველყოფდნენ ისეთი კულტურული, ეკონომიკური და საზოგადოებრივი გარემოს შექმნას, რომელიც დემოკრატიული წესრიგის შესანარჩუნებლად და მომავალი პროგრესული რეფორმებისთვის გადამწყვეტი იყო.

როგორც არსებულ კვლევებზე დაკვირვებით ირკვევა, არ არსებობს გაზიარებული მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რამ გამოიწვია სამოქალაქო ომების წარმოქმნის რაოდენობის აწინდელი მაჩვენებლის უცვლელობა. ასევე, არ არის ერთსულოვნება ამ

მონაცემების გამომწვევი მიზეზის გენეზისთან დაკავშირებით - ეს იყო საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების შედეგი, თუ კონკრეტულ სახელმწიფოთა საზოგადოებებში არსებული მდგომარეობათა გამოვლინება.

ცივი ომის, როგორც გავლენის მომხდენი ფაქტორის განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ მისი დასრულების შემდგომი საერთაშორისო ურთიერთობის სისტემური ტრანსფორმაცია, არ უკავშირდება ცალკე აღებული სოციუმის მორფოლოგიურ თავისებურებებს. აღნიშნულმა ცვლილებამ მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონზე იქონია მნიშვნელოვანი გავლენა. ცალკეული, მათ შორის, იმ დროს სსრკ-ში შემავალი ქვეყნები, აქტიურად მონაწილეობდნენ აღნიშნული პროცესის დასრულებაში (მაგ. ეროვნული მოძრაობები საქართველოსა და ბალტიკურ ქვეყნებში). მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო პოლიტიკური გარდაქმნა ცალკეული სახელმწიფოს მოსახლეობისთვის, ამ შემთხვევაში, გარეგანი და დამოუკიდებელი ზეგავლენის მომხდენი ფაქტორი იყო (აშშ-ს გამარჯვებაზე ცივი ომის დაპირისპირებაში). და არა თვისებრივი ცვლილება, რომელიც ერთ ან ორ წელში, მრავალწლიანი ოკუპაციისა და ტოტალიტარული მმართველობის პირობებში ჩამოყალიბებულ საზოგადოებში სრულფასოვანი დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებას უზრუნველყოფდა.

ცივი ომის შემდგომ იგივე ინტენსივობით წარმოქმნილი შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტების რაოდენობის მონაცემების ახსნა რომელიმე შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტის თეორიის კონტექსტში რთულია. კონფლიქტთა წარმოქმნის რაოდენობის უცვლელობა, ირიბად, მაინც ეწინააღმდეგება კონფლიქტური მოდერნიზაციის თეზას, რომლის თანახმადაც მოდერნიზაცია და მზარდი გლობალიზაციის პროცესი ხელს უწყობს მეტი კონფლიქტების წარმოქმნას. შესწავლილი 30 წლის ინტერვალში ტექნოლოგიური და მოდერნიზაციული პროგრესი წარმოუდგენლად სწრაფი და რთულად განჭვრეტადი იყო, თუმცა იგივე რაოდენობის სამოქალაქო კონფლიქტები წარმოიშვა 1970-იანი წლების შუა პერიოდში, რამდენიც 2000-ინი წლების დასაწყისში.

განსხვავებით კონფლიქტური მოდერნიზაციის თეორიისგან, კონფლიქტთა რაოდენობის უცვლელობა პრიმორდიალიზმის საფუძველზე შექმნილი თეორიებით უკეთ განიმარტება. მსგავსი კონცეპტები ადამიანების კულტურული და ეთნიკური განსხვავებებს და შესაბამისად, მათ დაპირისპირებას მარადიულ მოცემულობად მიიჩნევენ. მაგრამ მოცემულ წლებში წარმოქმნილი კონფლიქტებში სხვადასხვა სავარაუდო ფაქტორების ზემოთ მოცემულმა თვისობრივმა ანალიზმა ცხადყო, რომ განსხვავებით დროის სერიის დიზაინით განხორციელებული ტენდენციის ანალიზისგან (რომელიც მხოლოდ რაოდენობის ცვლილებას/უცვლელობას ასახავს), შეიარაღებული კონფლიქტების მიზეზების ახსნაში პრიმორდილაიზმის თეორიას, სხვა თეორიებთან შედარებით, უპირატესობა არ აქვს.

V. კვლევის შედეგების ანალიზი ალტერნატიული პერსპექტივიდან

განხილული ზოგიერთი მეცნიერის თანახმად ცივი ომის დასრულებას, შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტების წარმოქმნის დინამიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია. თუკი ამ მოსაზრებას მართებულად მივიჩევნთ, შესაძლოა, ლეგიტიმურად გაჩნდეს ვარაუდი, რომ შეიარაღებულ სამოქალაქო კონფლიქტებს წარმოქმნისა და განვითარების გარე სამყაროსგან დამოუკიდებელი ლოგიკა გააჩნიათ.

მეორე მხრივ, სახეზე გვაქვს ეთნიკური მრავალფეროვნების, როგორც ფაქტორის, დამადასტურებელი როგორც საერთო რაოდენობრივი მონაცემები, ისე მრავალი კონკრეტული შემთხვევა. ისინი, ცივი ომის დასრულების შემდეგ წარმოქმნილი სამოქალაქო ომების რაოდენობრივ უცვლელობასთან ერთად, სოლიდურ არგუმენტს ქმნის გარე გავლენის საწინააღმდეგოდ.

საგარეო ფაქტორების და სახელმწიფოთა შიგნით წარმოქმნილი შეიარაღებული დაპირისპირებების კორელაციის უარყოფის შემთხვევაში, გამოდის, რომ მათი გამომწვევი მიზეზები მხოლოდ ლოკალურ დონეზე უნდა ვეძებოთ. მსგავსი რადიკალური მიდგომის პირობებში, იძულებული ვიქნებით სხვადასხვა ქვეყანაში კონფლიქტების შემთხვევების დროში თანმიმდევრობა შემთხვევითობად მივიჩნიოთ, შიდასახელმწიფოებრივ კონფლიქტში გეოგრაფიული მდებარეობა (რეგიონი), როგორც ფაქტორი, უგულებელვყოთ. ამასთანავე, სამოქალაქო კონფლიქტებში გარე ძალების პირდაპირი თუ ირიბი ჩარევის შესაძლებლობა გამოვრიცხოთ. თუმცა, სახეზე გვაქვს წლების მანძილზე სხვადასხვა კონფლიქტურ შემთხვევებში არსებული ემპირიულად დადასტურებული ფაქტები, რომლებიც გარეშე ფაქტორების კრიტიკული გავლენის შესახებ მიუთითებენ.

აღნიშნული მოცემულობის გათვალისწინებით მოხდა ისეთი კონცეპტუალური ჩარჩოს ძიება და კვლევა, რომელში მოცემული ფაქტორთა ერთობლიობა როგორც აგრეგირებულ მონაცემთა ანალიზში გამოკვეთილ ფაქტორთა კრებულს

(მრავალეთნიკურობა, სოციო-ეკონომიკური საკითხები), ისე გარე გავლენებს გააერთიანებდა.

ერთი მხრივ, კონცეფციას ეროვნულ დონეებზე ის გავლენის მომხდენი ცვლადები უნდა განესაზღვრა, რომლებიც ცივი ომის დასრულების, როგორც ყველაზე მასშტაბური საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენის, ზემოქმედების მიუხედავად შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტების წარმოქმნის რაოდენობის უცვლელობას იწვევდნენ. მეორე მხრივ, უნდა გაეეერთიანებინა გარე ზეგავლენის ფაქტორიც.

მოცემული ამოცანისთვის კონცეპტუალური ჩარჩოს განსაზღვრა დაეყრდნო აგრეგირებულ მონაცემთა ანალიზისა და დროის სერიის დიზაინის კვლევის შედეგებში გამოკვეთილ ტენდენციას:

1976-2005 წლებში იდენტიფიცირებული შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტების მქონე სახელმწიფოების უმრავლესობაში დაპირისპირება ესკალირდა სახელმწიფოს რადიკალური რეფორმაციის (ინსტიტუციური, პოლიტიკური, ტერიტორიული, ეკონომიკური) კვალდაკვალ. ეს ეხება როგორც პოსტ-კომუნისტურ სამყაროს 1990-იან წლებში, ისე სახელმწიფოებს, რომლებმაც დამოუკიდებლობა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ან უფრო ადრე გამოაცხადეს. ამ უკანასკნელთა შემთხვევაში, ჩვენს საკვლევ პერიოდში, ვხვდებით სამოქალაქო ომების მეორე და შემდგომ ფაზებს (აცეხის მესამე ომი ინდონეზიაში; ლიბანის მესამე ომი; ჩადის მეოთხე ომი; კოლუმბიის მერვე ომი და ა.შ.).

აღსანიშნავია, რომ ეთნიკურობასთან და სოციო-ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები, რიგ შემთხვევებში, შეიარაღებულ კონფლიქტამდეც არსებობდა. თუმცა, მარეპრესირებელი ტოტალიტარული რეჟიმის ან მონარქიის პირობებში არსებულ ნორმატიულ წესრიგი ურთიერთდაპირისპირების შეიარაღებულ კონფლიქტამდე ესკალაციას არ იწვევდა. ამავდროულად, ამ ქვეყნების უმეტესობისთვის არსებობდა გარეშე მოწინააღმდეგე, რომლისგან გათავისუფლება იმ პერიოდისთვის პირველადი ამოცანა იყო და აღნიშნული პრობლემები მას მიეწერებოდა (ხშირ შემთხვევაში ლეგიტიმურად). ახალ საერთაშორისო წესრიგში

მოპოვებული თავისუფლების პირობებში კი მემკვიდრეობით მიღებული თუ შემდგომ წარმოქმნილი პრობლემები, იმ დროს გაზიარებული ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის სტანდარტების თანახმად, სხვაგვარ გადაწყვეტას ითხოვდა.

აღნიშნული თავისებურების პარალელურად, მოცემული ნაშრომის საკვლევ პერიოდში, 1976-2005 წლებში, ყველაზე ინტენსიური მატება შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტების რაოდენობისა ფიქსირდებოდა ისეთ პერიოდებში (1976-1980; 1988-1993), როდესაც საერთაშორისო პოლიტიკაში (ან მისი დომინანტი აქტორების მოქმედებაში), მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდებოდა. ამ ასპექტების გათვალისწინებით ახალი კონცეპტუალური ჩარჩოს განსაზღვრისთვის ამოსავალ წერტილად <u>რადიკალური და სწრაფი ცვლილებები</u> იქნა მიჩნეული.

5.1 საზოგადოება სწრაფი და რადიკალური ცვლილებების პერიოდში

გასული საუკუნის დასაწყისში ფრანგმა სოციოლოგმა ემილ დიურკემმა (1897/2005) ადამიანთა თვითმკვლელობის მიზეზთა კვლევის საფუძველზე შექმნა თეორია, რომელსაც სოციალური ანომია უწოდა. ამ ტერმინის ქვეშ მოიაზრებოდა საზოგადოების მდგომარეობას მყისიერი ცვლილებების პერიოდში, როდესაც ძველი ნორმების დისფუნქციური ხდება, ხოლო ახალი ჯერ არ ჩამოყალიბებულა. დიურკემს მიაჩნდა, რომ საზოგადოებრივი ნორმები მის წევრებს ქაოსურ სოციალურ სამყაროში ორიენტირებაში, საკუთარ ადგილის პოვნაში ეხმარებიან. შესაძლებლობების რეალიზება განახორციელონ და გააჩნდეთ მიზანი. ნორმების არ არსებობა კი ადამიანთა ცხოვრებას ართულებს, რაც გამოიხატება სუიციდური შემთხვევების რაოდენობის ზრდაში. დიურკემი შენიშნავს, რომ ნორმატიული მარეგულირებელი მექანიზმები ინგრევა როგორც პოზიტიური განვითარებების დროს (მაგ. ეკონომიკური ბუმი), ისე ნეგატიური პროცესების პირობებში (მაგ. ეკონომიკური დეპრესია).

დურკემი, მისი უმეტესად კონსერვატიული პათოსის და საზოგადოების ცხოვრებაში სახელმწიფოს დიდი როლის არგუმენტირების გამო, არაერთხელ გახდა კრიტიკული განსჯის საგანი. თუმცა, მისი გამოყენება საზოგადოებრივი დინამიკის ანალიზისთვის მაინც ხდება. თანამედროვე მკვლევართა ობიექტივში სოციალური ანომიის პოლიტიკური ასპექტების ანალიზიც მოექცა (Heydari et al. 2012) (Sprong et al. 2019) (Ionescu, Tavani & Collange, 2021). დღეს პოლიტიკურ ანომიას უკავშირებენ ისეთ მოვლენებს, როგორებიცაა დემოკრატიული ნორმების რღვევა, პოლიტიკური გაუცხოება გამოწვეული საზოგადოების უუნარობის განცდითა და შედეგად, უკმაყოფილების ზრდით. რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს საზოგადოებებში რადიკალიზმის, ავტორიტარიზმის და პოლიტიკური ექსტრემიზმის კულტივირებას. ისინი უმეტესად სოციალური პრობლემების აქტუალობის ზრდის გვერდით შედეგად მიიჩნევა. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თანამედროვე დემოკრატიის ისეთი პრობლემური გვერდითი გამოვლინებები, როგორებიცაა პოპულიზმი ან უმუშევრობა და სიმდიდრის გადანაწილების უთანაბრობა, არ დამდგარა რევოლუციური ცვლილებების შედეგად. ისინი ეტაპობრივად სულ უფრო მეტი სიმწვავით იჩენდა თავს უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე.

მეორეს მხრივ, ისეთი რისკები, როგორებიცაა რიგითი მოქალაქეების პოლიტიკური გაუცხოება და უუნარობის შეგრძნება, მათით მანიპულირება, არ გაჩენილა ამ მმართველობის ფორმის მყისიერი გარდაქმნის ან რეფორმაციის შედეგად. მოსახლეობის მანიპულაციის და ძალაუფლების მიტაცების საფრთხეს იმპლიციტურად დემოკრატია მუდმივად შეიცავდა, რაზეც ჯერ კიდევ პლატონი მიანიშნებდა. ამის გამო, დღეს არსებული ნეგატიური პროცესები რთულია განვსაზღვროთ, როგორც პოლიტიკური უნორმობა, მით უმეტეს მყისიერი ცვლილებების შედეგი.

გარდა ამისა, პოლიტიკურ ანომიაზე თანამედროვე მსჯელობისას ძირითადად უგულებელყოფილია საერთაშორისო განზომილება, რაც არასამართლიანად გამოიყურება. რადგან ყველა ის დიდი ეკონომიკური თუ პოლიტიკური პოზიტიური

და ნეგატიური გარდაქმნა, რომელიც უკანასკნელ საუკუნეში მოხდა და ხელი შეუწყო ცალკეული სახელმწიფოების დონეზე რადიკალურ ცვლილებებს, იშვიათად წარმოადგენდა ლოკალურ მოვლენას და როგორც წესი, მთელს რეგიონზე ვრცელდებოდა. ამის მაგალითები უხვად შეგვიძლია მოვიყვანოთ პირველი მსოფლიო ომიდან „ოთხი აზიური ვეფხვის“ ეკონომიკურ სასწაულამდე, აფრიკული განმათავისუფლებელი მოძრაობიდან 2008 წლის ეკონომიკურ კრიზისამდე. ეს ლოგიკურიცაა, რადგან ნებისმიერი კატალიზატორი, რომლითაც შიდასახელმწიფოებრივი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ცვლილებები (ისევე როგორც სტაბილურობა) წარმოიქმნება, მჭიდროდაა გადაჯაჭვული რეგიონულ და გლობალურ საერთაშორისო ურთიერთობებზე.

ეკონომიკური აქტივობის, კეთილდღეობის და სოციალური უსაფრთხოების საკითხები სოციალური ანომიის კონცეფციის ფუნდამენტშივე იყო მოაზრებული. პირველად ამ კონცეფციის კონტურები დიურკემმა ნაშრომში „შრომის დანაწილება საზოგადოებაში“ გამოკვეთა (1893/1960). თანამედროვე პრობლემების ანომიის პარადიგმაში განმარტებაც ძირითადად ეკონომიკური საკითხებიდან გამომდინარე ხდება. იქნება ეს უმუშევრობით გამოწვეული დეზორგანიზაცია და დეზორიენტაცია (Stankunas et al., 2013) თუ რადიკალური თავისუფალი საბაზრო პრინციპების ინსტიტუციონალიზაციის პირობებში, მოსახლეობაში კონკურენციის ზრდის კვალდაკვალ, სოციალური უსაფრთხოების მიმართ გაზრდილი მგრძნობელობა. რომელიც ხშირ შემთხვევებში ტრანსფორმირდება იმიგრანტების მიმართ აგრესიით და ქსენოფობიური ნარატივების გამავრცელებელი პოპულისტური პოლიტიკური ძალების პოპულარობით (Burgi, 2014).

მოსახლეობის ანომიური კონდიციის კლასიკურ გაგების მნიშვნელოვანი იმპლიკაციები შეგვიძლია ვიპოვოთ თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების არაერთ პრობლემაში. თუმცა, აღნიშნული ფენომენის თვისებები: რადიკალიზმი, პოლარიზაცია, პოლიტიკური პროცესის არაინკლუზიურობა, ეკონომიკური უთანასწორობა და ა.შ. რომლებიც აკუმულაციურად საზოგადოების კონსოლიდაციის

ხელის შემშლელ ფაქტორებს წარმოადგენენ, განსაკუთრებულ მსგავსებას ავლენს მეტად დესტრუქციული პროცესების წინაპირობებთან. უკვე შესწავლილ მრავალ შემთხვევაში სამოქალაქო ომის წინარე პერიოდისთვის დამახასიათებელ გარემოებებზე მსჯელობისას არაერთი მკვლევრის მიერ იდენტიფიცირებული ფაქტორები პოლიტიკური ანომიის კონდიციის მახასიათებლებთან მნიშვნელოვან მსგავსებებს ავლენს (Bader & Ianchovichina, 2017) (Collier et al, 2003) (De Figueiredo & Weingast, 1999).

5.1.1 პოლიტიკური ანომია და სამოქალაქო კონფლიქტი

სამოქალაქო კონფლიქტთა არაერთი მკვლევარი წლების მანძილზე მიანიშნებდა, რომ შეიარაღებული სამოქალაქო დაპირისპირებების მიზეზთა კომპლექსი საკუთარ თავში აერთიანებს როგორც ეროვნულ დონეზე არსებულ ფაქტორებს, ისე საერთაშორისო ვითარების ზეგავლენას (სხვადასხვა მეცნიერულ ხედვაში გამოთქმული სამოქალაქო ომების წარმოქმნის უმთავრესი მიზეზები ეკონომიკური ვითარება, ხელისუფლების ლეგიტიმაცია, პოლიტიკური მომენტუმი და სხვა, პირდაპირ თუ ირიბად, დაკავშირებულნი არიან საერთაშორისო პოლიტიკასთან (Collier & Hoeffler, 1998) (Kaufman, 2006) (Toft, 2003)).

პოლიტიკური ანომიისა და სამოქალაქო კონფლიქტის მიმართების კონცეპტუალური ჩარჩოს განსასაზღვრად ასევე მნიშვნელოვანია შევეხოთ რობერტ მერტონს, რომლისთვისაც ემილ დიურკემის სოციალური ანომია გახდა ძირითადი იდეური წყარო მისი სტრუქტურულ რღვევის თეორიისთვის (1968). სოციუმში დევიაციურ ქმედებათა მიზეზების ახსნისას ამერიკელი სოციოლოგი აღნიშნავდა, რომ ყველა ადამიანი მიდრეკილია გაითავისოს კულტურის ნორმები, რომელშიც ცხოვრობს (რითაც ახდენს ორიენტირებას დიურკემის მიერ აღნიშნულ კომპლექსურ სოციალურ გარემოში).

ნორმები მოიცავენ იმ მიზნებსაც, რომელთა მიღწევა ადამიანის კეთილდღეობის და თვითრეალიზების ერთ-ერთი მთავარი გზაა. სოციუმში კულტურულად სასურველად მიჩნეული პერსონალური თუ ჯგუფური მიზნების მისაღწევად ჩამოყალიბებულია ნორმატიული და კანონიერი საშუალებები, ერთგვარი საგზაო რუკა, ნორმატიული მექანიზმების სახით. როდესაც ეს მექანიზმები (ან მათი ქმედითობა) შეზღუდულია ან აღარ არსებობს, ინდივიდები მიზნების მისაღწევად ალტერნატიული გზების ძიებას იწყებენ ან საერთოდ უგულებელყოფენ მათ. შედეგად, სახეზეა სოციალური სტრუქტურის რღვევა და მისით გამოწვეული დევიაცია.

დიურკემისა და მერტონის ნააზრევის ურთიერთთავსებადობის საფუძველზე შეგვიძლია შევნიშნოთ, რომ სოციალური სისტემის გაუმართაობა და უფუნქციობა ადამიანს უბიძგებს დევიაციისკენ. მათ შორის იმითაც, თუ არ (აღარ) არსებობს რელევანტური ნორმატიული მექანიზმები, რომლებიც ქმედითნი იქნებიან კულტურაში გაზიარებული და პიროვნების მიერ ინტერნალიზებული მიზნების მისაღწევად. მსგავსი ნორმების არ არსებობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი საზოგადოებაში (ან მის გარშემო) რადიკალური გარდაქმნებით გამოწვეული სოციალური ანომიის კონდიციაა.

როგორც ცნობილია, სტერილური საზოგადოება არ არსებობს. შესაბამისად, მერტონის მიერ განხილული დევიაციის გარკვეული დონე (ისევე როგორც სისტემის მხრიდან მისკენ ადამიანთა ბიძგება) ყველა სოციუმისთვისაა დამახასიათებელი. ის არ არის ერთმნიშვნელოვნად ნეგატიური მოვლენა განსაზღვრულ მასშტაბამდე და სხვა რამდენიმე დადებით თვისებასთან ერთად, მათ შორის, შესაძლოა ხელს უწყობს საზოგადოების კონსოლიდაციას (Thorlindsson & Bernburg, 2004). მაგრამ სოციალური ანომიის დროს, რადგან ძველი ნორმები უფუნქციოა, დევიაციის განსაზღვრება რელატიური ხდება, რითიც კარგავს საზოგადოების გამაერთიანებელ ფუნქციასაც. მეტიც, ნორმების არაერთმნიშვნელოვნება შეუძლებელს ხდის მათ გარშემო სოციუმის

კონსოლიდაციას. აგრეთვე, მოსახლეობის დეზინტეგრაციის და ფრაგმენტაციის პერსპექტივებს ქმნის.

საზოგადოებრივი ჯგუფები და ინდივიდები ანომიის პირობებში ინდივიდუალურად წყვეტენ რა გზებით უნდა იყოს მიღწეული ესა თუ ის მიზანი. როგორც წესი, ამას მხოლოდ საკუთარი ვიწრო ინტერესების შესაბამისად აკეთებენ, რადგან სხვა რაციონალური ინდიკატორი საჭირო მოქმედების ნორმის განსასაზღვრად, ისევე როგორც მაიძულებელი ფაქტორი, არ არსებობს. ნორმების რელევანტურობის დაკარგვასთან ერთად, მოსალოდნელი ხდება საზოგადოების დიდი ნაწილის მაკონსოლიდირებელი სისტემების, მათ შორის, იმ სოციალური ინსტიტუციების დელეგიტიმაცია და დეკონსტრუქცია, რომლებიც აღნიშნული ნორმატიული მექანიზმების შესაბამისად დაფუძნდნენ.

მეორე მხრივ, ვინაიდან ადამიანები, განსაკუთრებით კრიზისების დროს გადარჩენის მიზნით, გაერთიანების აუცილებლობას გრძნობენ, მოსალოდნელია მობილიზაცია მოახდინონ ნაკლებად კომპლექსურ და ჰომოგენურობის მეტი პოტენციის მქონე საწყისებზე: რასა, ეთნიკურობა, რელიგია, გვარი და ა.შ. რადგან მსგავს საწყისებზე დაფუძნებული ინსტიტუციები, ისე როგორც ამ განმეორებად სოციალურ პრაქტიკებში მონაწილე ინდივიდები, შინაარსის თვალსაზრისით მინიმალურად ატარებენ ამბივალენტურ მახასიათებლებს (ან ხარ რომელიმე გვარის/რასის ან არა. შუალედური მდგომარეობა თითქმის არ არსებობს. ამასთან ერთად, ბევრად რთულია პიროვნებამ აღნიშნული საწყისები უარყოს ან შეიცვალოს, განსხვავებით პოლიტიკური შეხედულების ან რაიმე სახის ინტერესისას). მსგავსი განსაზღვრულობა ადამიანებს სიმშვიდის და უსაფრთხოების განცდას უქმნის, რაც კრიზისულ ვითარებაში, გადამწყვეტია.

აქედან გამომდინარე, საზოგადოების განგრძობადი ანომიური მდგომარეობა, სამართლიანად შეგვიძლია მივიჩნიოთ, როგორც დეზინტეგრაციის მაღალი რისკის შემცველი. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სადაც გაზიარებული ნორმები არ მნიშვნელობს, კონსოლიდაცია რთულდება. ხოლო ადამიანთა თანაცხოვრებისთვის

დამახასიათებელი კონკურენციის ინსტიტუციური და კონსტრუქციული ჩარჩოდან გამოსვლას და კონფლიქტის (მათ შორის ჯგუფურის) ესკალაციას მხოლოდ შესაბამისი გარემოპირობები განსაზღვრავს.

5.1.2 კონფლიქტის ესკალაციისთვის საჭირო სხვა გარემოებები

რადიკალური ცვლილებებით გამოწვეული პოლიტიკური ანომია და სოციუმის სტრუქტურული რღვევა ყველა კომპონენტს შეიცავს იმ პოლიტიკური მომენტუმის შექმნისთვის, რომელსაც კაუფმანი (2006) შეიარაღებული დაპირისპირების დასაწყებად აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევს. თუმცა, საზოგადოების დეზორგანიზაციისა და ფრაგმენტაციის გარდა, კონფლიქტის შეიარაღებულ დაპირისპირებამდე ესკალაციას სხვა აუცილებელი წინაპირობებიც სჭირდება:

დაპირისპირებული მხარის წევრთა ტერიტორიული კონცენტრაციის შესაძლებლობა - მუდმივი საცხოვრებელი ერთ რეგიონში ან ერთმანეთის მოსაზღვრე არეალებში, საიდანაც მყისიერი მიგრაცია მარტივი იქნება. აღნიშნული გარემოება სტუარტ კაუფმანმა განიხილა სიმბოლური პოლიტიკის თეორიაში ეთნიკური კონფლიქტის შესახებ (2006) და აღსანიშნავია, რომ მობილიზაციისა და განგრძობადი წინააღმდეგობისთვის აუცილებელ ამ კომპონენტს თითქმის ყველა ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში ვხვდებით.

კონფლიქტის ესკალაცია შეიარაღებულ დაპირისპირებამდე და მისი განგრძობითობა რესურსებზე ხელმისაწვდომობის გარეშე შეუძლებელია. რესურსად შეგვიძლია განვიხილოთ როგორც საარსებო, მაგალითად სურსათი, წყალი ან ზამთარში გათბობის საშუალება, ასევე, საბრძოლო მასალით მომარაგება, საწვავი საბრძოლო ტექნიკისთვის და სხვა. ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის ობიექტ სახელმწიფოებში თითქმის არ გვხვდება მაგალითი, რომელშიც ხელისუფლებასთან ან სხვა ჯგუფთან დაპირისპირებულ მხარეს ხელშესახები და მნიშვნელოვანი გარე

დახმარების გარეშე განხორციელებინა განგრძობითი წინააღმდეგობა. გამონაკლისად შეგვიძლია მივიჩნიოთ ისეთი ქვეყნები, სადაც კონფლიქტის მხარის გეოგრაფიული მობილიზაციის ცენტრი მდიდარი ბუნებრივი რესურსებით გამოირჩეოდა (ნავთობი ჩრდილოეთ ნიგერიაში, კოკას პლანტაციები კოლუმბიაში და ა.შ.). მიუხედავად საკუთარი შესაძლებლობებისა, მსგავს შემთხვევებშიც დიდ როლს თამაშობდა გარე მხარდაჭერა იარაღის და სხვა საბრძოლო მასალის მიწოდების თვალსაზრისით.

მესამე მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს კონფლიქტში ჩართული ჯგუფის კონცენტრაციის რეგიონის სახელმწიფო საზღვრის პირას არსებობა. ხოლო, კუნძულოვანი ან საზღვაო სახელმწიფოს პირობებში, კონფლიქტური რეგიონის ზღვაზე გასასვლელისც. აღნიშნული გარემოება ჯგუფის იზოლაციაში მოქცევის და მხოლოდ ადგილობრივ რესურსებზე დამოკიდებულების ალბათობას ამცირებს. აღნიშნული ფაქტორი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს შეიარაღებული კონფლიქტის როგორც დაწყებას, ისე განგრძობითობას. ჩვენს საკვლევ პერიოდში წარმოქმნილ შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტთა აბსოლუტურ უმრავლესობაში აღნიშნული გეოგრაფიული ასპექტი ერთნაირია. მიუხედავად კონტინენტისა, ისტორიული პერიოდისა თუ კონფლიქტის ხასიათისა. აღნიშნულ კომპონენტს ვხვდებით ინდონეზიის ჯავას კუნძულიდან ეთიოპიამდე, მოლდოვის დესტრიპირეთიდან სუდანამდე.

აღნიშნული ჩარჩოს საფუძველზე განვიხილოთ მოცემული ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული მონაცემთა ანალიზის შედეგები და ცალკეული ორი მრავალეთნიკური სახელმწიფოს შემთხვევა, რომლებშიც კონფლიქტების განსხვავებულ დროსა და სოციო-კულტურულ ნიადაგზე წარმოიქმნა.

5.2 კვიპროსისა და ბოსნია-ჰერცეგოვინას შემთხვევები

შემდგომ მსჯელობაში, ნაშრომის შეზღუდული ფორმატიდან გამომდინარე, აღნიშნული ქვეყნების შემთხვევათა ანალიზი არ წარმოადგენს სტანდარტული

შემთხვევის შესწავლის მეთოდის ფორმატს, რომელიც გულისხმობს დიდი რაოდენობისა და მრავალმხრივი ინფორმაციის თავმოყრას, ხოლო შემდგომ მათში სიტუაციური ლოგიკის ძიებას. აღნიშნული მიდგომით, ინფორმაციის კომპლექსურობისა და საკითხის სიღრმის გამო, თითოეული სახელმწიფოს შესახებ ცალკე სადისერტაციო ნაშრომების შექმნაა შესაძლებელი. მოცემული კვლევის ფორმატში ჩვენი მსჯელობა შემოიფარგლება მხოლოდ მცირე ისტორიული ექსკურსით და იმ საგულისხმო ასპექტებს აღნშვნით, რომელიც კონფლიქტის წარმოქმნის წინა პერიოდს ეხება. ანალიზი წარმოადგენს მცდელობას, ზემოთ მოცემული თეორიული ჩარჩოს შესაბამისად, გადააზრებულ იქნას შეიარაღებული დაპირისპირების ფაქტორთა ერთობლიობა, რომელიც აერთიანებს მოცემულ, სხვადასხვა რეგიონსა და ისტორიულ პერიოდში წარმოქმნილ კონფლიქტებს. გაანალიზდეს პოლიტიკური ანომიის ნიშნები და ის კატალიზატორები, რომლებიც ქვეყანათა საზოგადოებებსა და პოლიტიკურ ელიტებში იწვევდნენ დეზორიენტაციას.

5.2.1 შეიარაღებული კონფლიქტი კვიპროსზე

რადიკალური და სწრაფი ცვლილებები. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ოსმალეთის იმპერიაში შემავალი კვიპროსი 1978 წელს ფორმალურად დიდ ბრიტანეთს გადაეცა სამართავად. მიუხედავად ამისა, კუნძულის დე ფაქტო მმართველად კვლავ სულთანი რჩებოდა. პირველ მსოფლიო ომში ოტომანთა მიერ გერმანიის მხარდაჭერის კვალდაკვალ, 1914 წელს, ბრიტანულმა არმიამ კვიპროსი დაიკავა (Dodd, 2010).

1923 წელს ლოზანას ხელშეკრულებით აღიარებულ იქნა ბრიტანეთის სუვერენიტეტი და 1925 წელს კვიპროსი სამეფო კოლონიად გამოცხადდა. ბრიტანელების მმართველობის პერიოდი შეუძლებელია ერთმნიშვნელოვნად შეფასდეს. მათ მრავალი ნაყოფიერი რეფორმა გაატარეს ეკონომიკაში და პოლიტიკურ ადმინისტრაციაში. კუნძულზე იმ დროის წარმატებული მართვის პრაქტიკები დანერგეს. არსებობდა პრესის თავისუფლება და განათლების საკუთარ ენაზე მიღების

შესაძლებლობა, რასაც აქტიურად იყენებდა როგორც ბერძნული, ისე თურქული საზოგადოება. მასწავლებლებს თურქეთიდან და საბერძნეთიდან იწვევდნენ. სიტყვის თავისუფლება ადგილობრივებს თანაეთნოსელებს შორის ნაციონალისტური იდეოლოგიის თავისუფლად გავრცელების საშუალებას აძლევდათ. რაც შეეხება პოლიტიკას, ბრიტანეთის აქტივობის კარგ მაგალითს იძლევა კვიპროსის საკანონმდებლო საბჭოს შემთხვევა.

ნორმატიულ მექანიზმთა უუნარობა. 1882 წელს შექმნილ წარმომადგენელთა საბჭო შედგებოდა ცხრა ბერძენი, სამი თურქი (მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისი კვოტები) და ექვსი ბრიტანელი წევრისგან. 1925 წლისთვის ბრიტანელებმა სამეფო წარმომადგენლობა 12-მდე გაზარდეს. სხვა წარმომადგენელთა რაოდენობა იგივე დარჩა. ბრიტანელი იყო საბჭოს უმაღლესი კომისარი, რომელსაც თანაბარი ხმების პირობებში საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პრეროგატივა ჰქონდა. თურქ მოსახლეობას ბერძნული დომინაციის პერსპექტივა აშფოთებდა. ამიტომ, როგორც წესი, ბრიტანელებთან ინტენსიურად თანამშრომლობდნენ, რომლებიც, თავის მხრივ, შესაძლებლობის შესაბამისად, უფასებდნენ თანადგომას რიგ საკითხებში თურქების ინტერესების დაცვით (Stergiou, 2017).

დეზორიენტაცია და პარტკულარიზმი. ბრიტანელების მმართველობით უკმაყოფილო ბერძნული მოსახლეობის ნაწილმა 1950-იანი წლების დასაწყისში ნახევრად გასამხედროებული ორგანიზაცია - EOKA დააარსა. დაჯგუფების დეკლარირებულ მიზანს ბრიტანელების წინააღმდეგ ბრძოლა და საბერძნეთთან შეერთება წარმოადგენდა. მათ სამხედრო ფრთას, კვიპროსელი, მაგრამ საბერძნეთის შეიარაღებული ძალების ოფიცერი, გეორგიუს გრივასი მეთაურობდა. იდეოლოგიურ ლიდერად კი მთავარეპისკოპოსი მაკარიოს III ითვლებოდა. იმავე პერიოდში, ბრიტანელებით უკმაყოფილო ბერძენმა საჯარო მოხელეებმა მასიურად დაიწყეს კვიპროსის ადმინისტრაციული თანამდებობების დატოვება. ისინი უმეტესად თურქული თემის წარმომადგენლებით ჩანაცვლდა. აღნიშნულმა პროცესმა კიდევ უფრო გაზარდა ანტაგონისტური განწყობები, ხოლო EOKA-ს საქმიანობა მეტად

ანტისისტემური გახადა. მათ ცალკეულ აქტივობებს პერიოდულად თან სდევდა თურქი კიპრიოტების ჯანმრთელობის დაზიანება ან საკუთრების ხელყოფა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბრიტანეთის დასუსტებასა და ბერძნების ირედენტისტულმა განწყობებზე რეაქციის სახით კუნძულის თურქ მოსახლეობაში შექმნა თურქული წინააღმდეგობის მოძრაობა - TMT. მათი ფორმირება ერთი მთავარი ამოცანის გარშემო მოხდა - ბერძნული უმრავლესობის მქონეს კუნძული გაყოფილიყო ორად, რაც თურქებით დასახლებული ჩრდილოეთ რეგიონებს საშუალებას მისცემდა საკუთარი თავი თავად ემართათ. არსებობს სხვადასხვა არგუმენტი, რომლის თანახმადაც, TMT-ის მეთაური რაუფ დენკტაში, ოფიციალური ანკარას გარდა, მჭიდრო კოორდინაციაში იყო ბრიტანულ პოლიტიკურ ელიტასთანაც (Stavrou, 2009).

1960 წელს ლონდონ-ციურიხის შეთანხმების შედეგად კვიპროსმა დამოუკიდებლობა მოიპოვა. თუმცა, წინასწარი შეთანხმების პირობების თანახმად, ბრიტანული ჯარები კუნძულზე დარჩნენ. მცირე ტერიტორიაზე, სადაც ბაზები იყო განთავსებული, კვლავ ლონდონის მმართველობა შენარჩუნდა. კვიპროსს საგარეო ასპარეზზე მიუმხრობლობის დეკლარირებული პოლიტიკა ჰქონდა და 1961 წელს ბელგრადის კონფერენციაზე ჩამოყალიბებული მიუმხრობელთა მოძრაობის ერთ-ერთი თანადამფუძნებელიც იყო.

კომპრომისული მარეგულირებელი პრაქტიკების და თანამონაწილეობის მცდელობა. დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდში კვიპროსის მოსახლეობის გადანაწილება ეთნიკური იდენტობის მიხედვით, პროცენტულად, შემდეგნაირად გამოიყურებოდა: 78% - ბერძენი კვიპროსელები, 18% - თურქი კვიპროსელები, 4% - ლათინები, მარონიტები და სომხები. ახალი კონსტიტუციის შესაბამისად, კვიპროსის პარლამენტის ქვედა პალატის 30% და ზედა პალატის 50% თურქებით უნდა დაკომპლექტებულიყო (Cyprus Constitution 1960, Article 60). კვიპროსის მთავრობის 10 მინისტრიდან 3 პორტფელი ეთნიკურად თურქს უნდა დაეკავებინა. აღნიშნული სამი სამინისტროდან ერთ-ერთი აუცილებლად უნდა ყოფილიყო თავდაცვის, საგარეო საქმეთა ან შინაგან საქმეთა სამინისტრო (Cyprus Constitution 1960, Article 46).

სექტარიანული პრინციპი აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა პოსტებსა და სასამართლო სისტემაზეც ვრცელდებოდა. კვიპროსის პრეზიდენტს ირჩევდა კუნძულის ბერძნული მოსახლეობა, ხოლო ვიცე-პრეზიდენტს, რომელიც ასევე არჩევითი პოსტი იყო, - თურქული საზოგადოება. როგორც პრეზიდენტს, ისე ვიცე-პრეზიდენტს ჰქონდათ ვეტოს უფლება (Cyprus Constitution 1960, Article 1).

კომპლექსურმა და მანამდე არსადგანხორციელებულმა კონტროლისა და ბალანსის კვიპროსულმა მოდელმა დამოუკიდებლობიდან დაახლოების სამ წელს დიდი სირთულეებით იფუნქციონირა. როგორც თურქული, ისე ბერძნული პოლიტიკური ელიტის ხელში არსებულმა საკანონმდებლო ბერკეტმა, ვეტო დაედოთ მათთვის არასასურველი გადაწყვეტილებისთვის, კუნძულის ხელისუფლება ფაქტობრივად ქმედუუნარო გახადა. შექმნილმა ვითარებამ პრეზიდენტ მაკარიოსს ცალმხრივად მოქმედებისკენ უბიძგა. 1963 წელს მან შეიმუშავა კონსტიტუციის მე-13 დამატება, რომელიც ვეტოს უფლებას ართმევდა როგორც პრეზიდენტს, ისე ვიცე-პრეზიდენტს. საკონსტიტუციო დამატება სხვა შინაარსის რეგულაციებსაც მოიაზრებდა. მე-13 დამატება თურქული საზოგადოებისა და პოლიტიკური ელიტის უკმაყოფილების საგანი გახდა. იმავე წელს თურქმა პოლიტიკოსებმა და საჯარო პირებმა მასიურად დატოვეს კვიპროსის ადმინისტრაცია (Stergiou, 2017).

იარაღზე წვდომა, ტერიტორიული კონცენტრაცია და გეოგრაფიული ფაქტორი. იმავე წელს ნიქოზიაში თურქული და ბერძნული თემის წარმომადგენლებს შორის შეიარაღებული დაპირისპირება მოხდა, რომელსაც რამდენიმე ადამიანი ემსხვერპლა. ინციდენტიდან დროის მცირე მონაკვეთში თურქულმა წინააღმდეგობის მოძრაობამ კუნძულის ჩრდილოეთში სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პოზიციები დაიკავა ნიქოზიადან კირენიამდე. ოფიციალურმა ნიქოზიამ ამ რეგიონებზე კონტროლი დიდი ხნით დაკარგა.

1967-1974 წლები კვიპროსის პოლიტიკაში ტურბულენტური იყო. 1967 წლიდან ხელისუფლების ეფექტური კონტროლი სამხედრო ძალების ხელში იყო. მათთან კონფლიქტის გამო პრეზიდენტმა მაკარიოსმა კუნძული 1974 წელს დატოვა. მის

ადგილი კი უფრო რადიკალმა პოლიტიკოსმა და ანტი-თურქული განწყობებით გამორჩეულმა ნიკოს სამფსონმა დროებით დაიკავა.

ანკარას რეაქცია მაკარიოსის გადაყენებასა და საბერძნეთთან გაერთიანების მეტად მომხრე სამფსონის ხელისუფლებაში მოსვლაზე, მწვავე იყო. თურქეთმა კვიპროსის ხელისუფლებას სხვადასხვა სახის ულტიმატუმი წაუყენა, რომლებიც მოიცავდა როგორც საკანონმდებლო, ისე უსაფრთხოების საკითხებს.

მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის მიღების შემდეგ 1974 წლის 20 ივლისს თურქეთმა კვიპროსზე სამხედრო ინტერვენცია, ოპერაცია სახელად „ატილა“, დაიწყო. აგვისტოში თურქული შენაერთები კუნძულის 40% აკონტროლებდნენ. კვიპროსული არმიის წინააღმდეგობას რამდენიმე ასეული ადამიანი შეეწირა. ოკუპირებული ჩრდილოეთ რეგიონებიდან 160 000-მდე ბერძენი მოსახლეობა დევნილად იქცა. ჩრდილოეთში გადასახლდა მანამდე კუნძულის სამხრეთით მცხოვრები 60 000-მდე ეთნიკურად თურქი კვიპროსელი (Assmussen, 2008).

5.2.2 შეიარაღებული კონფლიქტი ბოსნია-ჰერცეგოვინაში

ბოსნიისა და ჰერცეგოვინას დღეს არსებული დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორია იუგოსლავიის სამეფოს შემადგენლობაში 1929 წლიდან შედიოდა. ამ საერთაშორისო სუბიექტმა არსებობა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში შეწყვიტა. 1946 წელს, ყოფილი სამეფოს საზღვრებში, ჩამოყალიბდა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერალური რესპუბლიკა, რომელსაც სათავეში იოსიფ ბროზ ტიტო ჩაუდგა. ტიტო მანამდე, როგორც პარტიზანული მოძრაობის ლიდერი, ნაცისტური გერმანიის ოკუპაციის წინააღმდეგ იბრძოდა (Allcock & Lampe, 2023).

ტიტომ იუგოსლავია 6 ფედერალურ ერთეულად და 2 ავტონომიურ რეგიონად დაყო. ცივი ომის პერიოდში, ბალკანური ფედერაცია საერთაშორისო პოლიტიკაში მეტწილად მიუმხრობლობის პოლიტიკას ატარებდა. ეთნიკური მრავალფეროვნების

მიუხედავად, ტიტოს ავტორიტარული მმართველობის სტილი 35 წლის განმავლობაში ძალის, მკაცრი მენეჯმენტისა და კომუნიზმისთვის იმ დროს არასტანდარტული ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებული ფუნქციონირების საშუალებით, შესაძლო დაძაბულობების აღმოფხვრას ახერხებდა. აღნიშნული მიზნის მიღწევა 1980 წელს მისი სიკვდილის შემდეგ, მომავალი მმართველების პირობებში საგრძნობლად გართულდა (ჯენტელსონი, 2015).

სწრაფი და რადიკალური ცვლილებები. იუგოსლავიაში პრობლემები ცივი ომის დასრულების შემდეგ, 1991 წელს, დაიწყო. პირველ ეტაპზე ფედერაციის ყველაზე ძლიერმა და განვითარებულმა ერთეულებმა სლოვენიამ და ხორვატიამ, ფედერაციის შეიარაღებულ ძალებთან მცირემასშტაბიანი დაპირისპირების კვალდაკვალ, საერთაშორისო საზოგადოებას დამოუკიდებლობის აღიარების მოთხოვნით მიმართეს. მათი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ, 1992 წელს იგივე სურვილი ბოსნია-ჰერცეგოვინამაც გამოთქვა.

დეზორიენტაცია და სეპარაცია. ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაციული ერთეული იუგოსლავიაში ეთნიკურად ყველაზე ეკლექტური იყო (44% - მუსლიმი ბოსნიაკი, 33% - სერბი, 17% - ხორვატი). ბოსნიელ სერბებს არ ხიბლავდათ პერსპექტივა, ისეთ დამოუკიდებელ სახელმწიფოში ეცხოვრათ, რომელიც ოფიციალური ბელგრადიდან დისტანცირებული იქნებოდა. აგრეთვე, არ სურდათ დამოუკიდებელი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა ბოსნიელ მუსლიმებს შეექმნათ. შესაბამისად, სერბებმა ბოიკოტი გამოუცხადეს 1992 წელს დანიშნულ რეფერენდუმს, რომელსაც საბოლოოდ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სუვერენიტეტის გამოცხადება მაინც მოჰყვა.

იმავე წელს შეიარაღებული დაპირისპირება დაიწყო. იუგოსლავიის ფედერაციული ჯარების ბოსნიიდან გასვლის შემდეგ, სერბი სამხედროების ნაწილი თანაეთნოსელებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში დარჩა. ისინი უმეტესად მუსლიმებით დაკომპლექტებული ბოსნიის მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში ჩაერთნენ. სულ მალე სერბებმა სარაევო ალყაში მოაქციეს,

რასაც ხანგრძლივი ჰუმანიტარული კრიზისი და დიდი ადამიანური მსხვერპლი მოჰყვა.

1993 წელს ნატომ გაეროს ნებართვით ბოსნიის თავზე ფრენა აკრძალა. 1994 წელს საჰაერო სივრცის დარღვევისთვის აშშ-ის მოიერიშეებმა სერბული სამხედრო თვითმფრინავები ჩამოაგდეს. სომალის მძიმე გამოცდილების და ხელისუფლებაში ახლადმოსული ვაშინგტონის დემოკრატებით დაკომპლექტებული მთავრობა მაქსიმალურად ცდილობდა თავიდან აერიდებინა სახმელეთო ჯარების ჩართვა კონფლიქტში და აქცენტს სამხედრო-საჰაერო ძალების ოპტიმალურ გამოყენებაზე აკეთებდა (ჯენტელსონი, 2015).

ნორმატიული მექანიზმების უუნარობა. შეიარაღებული დაპირისპირების სხვადასხვა ეტაპზე არსებობდა სამშვიდობო ინიციატივები, რომლებიც, როგორც წესი, რომელიმე მხარის მიერ უარიყოფოდა. საწყის პერიოდში, იმ დრო უკვე ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკების წარმომადგენლები ბოსნიელებისა და სერბების ერთ მაგიდასთან დასმას შეეცადნენ, რაც უშედეგოდ დასრულდა. 1992 წელს დაარსებული გაეროს სამხედრო დაცვის ძალების (UNPROFOR) „ცისფერჩაფხუტიანები“ ხორვატიის სასაზღვრო ზონასა და ბოსნიის მხოლოდ მცირე ტერიტორიაზე უზრუნველყოფდნენ მშვიდობას, რადგან დაპირისპირებულთაგან არცერთ მხარეს არ სურდა მსოფლიო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან თანამშრომლობა.

1993 წელს გაეროს წარმომადგენელ საირუს ვენსისა და ევროგაერთიანების წარმომადგენელ ლორდ ოუენის მიერ სამშვიდობო გეგმა შეიქმნა, რომელიც ბოსნიის ათ ნაწილად დაყოფას ითვალისწინებდა. ბოსნიელი სერბების მიერ მისი უარყოფის შემდეგ, 1994 წელს, საკონტაქტო ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი და გერმანია, ალტერნატიული გეგმა შეიმუშავა. გეგმა ქვეყნის ტერიტორიის ორად გაყოფას და ერთი ნაწილის ბოსნიელი სერბების მმართველობაში გადაცემას ითვალისწინებდა. აღნიშნული ძალისხმევაც უშედეგო აღმოჩნდა.

ბოსნიელი სერბების სამშვიდობო პროცესიდან გამიჯვნის მიზეზს მათი შინაარსი წარმოადგენდა, რომელიც ორივე შემთხვევაში გულისხმობდა სერბების მიერ ბრძოლით დაკავებული ტერიტორიის ნაწილის დათმობას. კარაჯიჩისა და მლადიჩის, ისევე როგორც დანარჩენი ადგილობრივი სერბული პოლიტიკური ელიტის ანტაგონისტურმა პოზიციამ გარკვეულ ეტაპზე ოფიციალური ბელგრადიც გაანაწყენა, რაც გამოიხატა სერბიისა და ბოსნიის საზღვრის ჩაკეტვასა და პოლიტიკური დაეკონომიკური მხარდაჭერის შეწყვეტაში. განგრძობითი დაძაბულობის შედეგად სამხედრო მოქმედებებში ნატო-ს სამხედრო ძალების ჩართვის შანსების ზრდა ეწინააღმდეგებოდა სერბეთის პრეზიდენტის, სლობოდან მილოშევიჩის, გეგმებსაც (ქილორი, 2015).

1995 წლისთვის, მზარდი მსხვერპლი და სამშვიდობო შეთანხმების პერსპექტივის არ არსებობა ნატოს სულ უფრო მეტად უბიძგებდა, პროცესზე ზეწოლა დიდი ძალებით განეხორციელებინა. ვითარებას ამძაფრებდა საერთაშორისო მისიის მიერ დაცულ ზონებში დაბომბვების გახშირება და ბოსნიელი სერბების მიერ ასეულობით მშვიდობისმყოფელი სამხედროს მძევლად აყვანა. ნატოს ინტენსიურმა საჰაერო იერიშმა ბოსნიელი სერბები აიძულა სარაევოდან არტილერია გამოეყვანათ და მოლაპარაკების ჯგუფს შეერთებოდნენ. 1995 წლის 12 ოქტომბერს დეიტონში მიღწეულ იქნა ცეცხლის შეწყვეტის დროებითი შეთანხმება. 21 ნოემბერს შეთანხმების პარაფირება მოახდინეს იუგოსლავიის პრეზიდენტმა სლობოდან მილოშევიჩმა, ხორვატიის პრეზიდენტმა ფრანიო ტუჯმანმა და ბოსნიის პრეზიდენტმა ალია იზეტბეგოვიჩმა (United States Central Intelligence Agency, 1995).

5.3 ბოსნია ჰერცოგოვინისა და კვიპროსის საზოგადოებების „ანომიური“ მდგომარეობის გამომწვევი საერთაშორისო ფაქტორები კონფლიქტისწინა პერიოდში

უკვე აღინიშნა, რომ შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტების მქონე ქვეყნების აბსოლუტურ უმრვალესობას დამოუკიდებლობა მეორე ომის შემდგომ პერიოდში აქვს მოპოვებული. ამ მხრივ გამონაკლისს არც კვიპროსი (1960 წ.) და

ბოსნია ჰერცოგოვინა წარმოადგენენ (1992 წ.). მოცემულ სახელმწიფოებში სოციო-პოლიტიკურ ვითარებათა განხილვისთვის მნიშვნელოვანია, აღვწეროთ იმ საერთაშორისო სისტემის ძირითადი ასპექტები, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ არსებულ გლობალურ პოლიტიკაში არსებობდა. რადგან მიუხედავად 1960-იანი წლებსა და ცივი ომის შემდგომ პერიოდს შორის გლობალურ პოლიტიკაში არსებული განსხვავებული პოლიტიკური კონტექსტისა, სტრუქტურა, რომელშიც დამოუკიდებლობამოპოვებულ სუბიექტებს უნდა მიეღწიათ საკუთარი მიზნები, ფუნდამენტურად მსგავსი იყო. ამასთანავე, აღნიშნული სისტემის ხასიათი სახელმწიფოთა შიგნით არსებულ სოციო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებს მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა.

როგორც ცნობილია, მცირე, ახლად დამოუკიდებლობამოპოვებული თუ განვითარებადი სახელმწიფოებისთვის კრიტიკული მნიშვნელობის მატარებელი იყო და არის როგორც საერთაშორისო პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობა ისე, ზოგადი კეთილგანწყობა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან. ეს არის გზა, რომლითაც არადომინანტ ქვეყნებს შეუძლიათ წვდომა საერთაშორისო ფონდების ფინანსურ რესურსზე საკუთარი სუსტი ეკონომიკების გასაძლიერებლად, გაწევრიანდნენ საერთაშორისო ორგანიზაციებში და უზრუნველყონ საკუთარი უსაფრთხოება ყველა მიმართულებით. შესაბამისად, კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო და არის სახელმწიფოებმა ის საერთაშორისო ნორმები დაიცვან, რომლებიც გაზიარებულია და მაქსიმალურად მიჰყვნენ განვითარების იმ ჩარჩოს, რომელიც საერთაშორისო პრაქტიკაში სასურველადაა მიჩნეული.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საერთაშორისო პოლიტიკაში გაზრდილი ინსტიტუციონალიზმის მიზანს წესებზე დამყარებული წესრიგის ფორმირება წარმოადგენდა, რომელსაც ხელი უნდა შეეშალა მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში განვითარებული დამანგრეველი პროცესების მსგავსი მოვლენებისთვის. საერთაშორისო ინსტიტუტების ფორმირებას მნიშვნელოვნად განაპირობებდა მოდერნული იდეები ზეგავლენა.

მოდერნული აზროვნების ფორმამ სხვადასხვა დოზით შეაღწია განსხვავებული კულტურის მქონე საზოგადოებებში (როგორც აზროვნებისა და ცხოვრების სტილმა), თუმცა უცილობლად შეეხო აბსოლუტური უმრავლესობის მართვისა და მმართველობის ფორმას. წარმატებული სახელმწიფოს მაგალითებიც და საერთაშორისო ნორმებიც მსგავს ტენდენციებს აძლევდნენ სტიმულს. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ყველაზე ძლევამოსილი ქვეყნები, მიუხედავად მათი განსხვავებისა, როგორც იდეოლოგიურ, ისე სხვა, მრავალ ასპექტში, იზიარებდნენ წესრიგის აუცილებლობის, ისტორიციზმიდან/ტრადიციიდან დისტანცირების, სეკულარიზმის (ან ათეიზმის. რელიგიის მმართველობიდან დისტანცირების) და ადამიანური გონის უზენაესობის პრინციპებს.

აღნიშნულ საერთაშორისო ტენდენციებს ჩვენი საკვლევი შემთხვევების და ზოგადად, ცივი ომის პერიოდსა და მის შემდგომ ეპოქაში დამოუკიდებლობა მოპოვებული ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობისთვის კრიტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. რადგან მმართველობის ფორმა იმ პრინციპებს უნდა დაქვემდებარებოდა, რომლებიც მანამდე კონკრეტული სოციო-კულტურულ ნიადაგისთვის არაორგანული იყო.

უფრო ხანგრძლივი დამოუკიდებლობის ისტორიის მქონე დასავლური ქვეყნებისგან ბოსნიისა და კვიპროსის მსგავს სახელმწიფოებს რადიკალურად განასხვავებდათ ის ტექნოლოგიური თუ მეცნიერული მიღწევების (და თავისუფლების პირობებში საზოგადოების მათზე რეფლექსია) არ ქონა, რომლითაც ნასაზრდოები იყო საზოგადოების მოდერნული ტრანსფორმაცია.

აღნიშნული პროგრესი დასავლური სახელმწიფოების შემთხვევაში წარმოადგენდა ადგილობრივ, ეროვნულ დონეზე წარმოქმნილ ინტელექტუალურ მიღწევებს, რაც მათი საზოგადოებებისთვის სიახლეების მიმართ გაუცხოების განცდას ამცირებდა. სხვაგან, მოდერნული ცვლილებები, მათ შორის საზოგადოების ჰომოგენიზაცია, ავტორიტარიზმისა თუ ტოტალიტარიზმის საშალებით, ძალისმიერ მეთოდებით იყო მიღწეული. აგრეთვე, ახლად წარმოქმნილი რეალობა და მისი სავარაუდო შედეგები მოსახლეობაზე ბევრად დიდი პროცენტით გათვლადი იყო იმ ქვეყნებში, სადაც

სიახლეების მაპროვოცირებელი ფაქტორები იქმნებოდა. განსხვავებით მცირე ზომის, ნაკლებად მოდერნიზებული ქვეყნებისა, რომლებიც ხანგრძლივად იყვნენ რომელიმე დიდი სახელმწიფოს ერთგვარი კოლონია.

თანამედროვე პოლიტიკური სისტემისთვის ერთ-ერთი ფუნდამენტური საკითხი ტრადიციულისგან და ისტორიულისგან დისტანცირება იყო. ისტორია და მის განვითარების კვალდაკვალ ჩამოყალიბებული განმეორებადი პრაქტიკები თუ ღირებულებები თანამედროვე პერსპექტივიდან აღქმული იყო არა როგორც რაციონალურ საწყისით განსაზღვრული ადამიანური გონების ნაყოფი, არამედ რელიგიის და სხვა ტრანსცენდენტური წარმოდგენების საზოგადოებაზე ზემოქმედების შედეგი. მომავალი აღარ განისაზღვრებოდა წარსული გამოცდილების პარამეტრებით. აწმყო ან მომავალი გადასადგმელი ნაბიჯების ლეგიტიმურობა წარსულზე მინიმალურად იყო დამოკიდებული (Devetak, 1995).

ტრადიციულისგან დისტანცირების ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენდა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და მისი წესდება (1945). გაეროს წევრი სახელმწიფოების მიერ ერთმანეთის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის აღიარება, არსებულ და არა ისტორიულ საზღვრებში. აღნიშნულნი აუცილებელ პირობებს წარმოადგენდნენ როგორც ახალ წევრთათვის მათი გაწევრიანების უზრუნველსაყოფად, ისე უკვე არსებული წევრების მხრიდან მათი მიღების თანხმობისთვის (ქილორი, 2015).

მიუხედავად იმისა, რომ მრავალ ქვეყანას ერთმანეთთან მრავალსაუკუნოვანი ტერიტორიული პრეტენზიები გააჩნდა, გაეროს დაარსება და მისის წესდების შექმნა იყო მცდელობა ურთიერთობები დაწყებულიყო ერთგვარი სუფთა ფურცლიდან და მეტი სივრცე გაჩენილიყო პრაგმატული და რაციონალური ურთიერთობისთვის.

გაეროს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოდერნული მახასიათებელი გააჩნდა. ის უნდა ყოფილიყო გარანტი წესრიგისა. დისციპლინარული საკითხების გადასაწყვეტად შეიქმნა უშიშროების საბჭო (ხუთი მუდმივი და ათი დროებით წევრი სახელმწიფოს შემადგენლობით), რომელსაც უნდა უზრუნველეყო სტაბილურობა და გადაეწყვიტა,

მათ შორის, საერთაშორისო სუბიექტებს შორის ომის საკითხები წესდების შესაბამისად (გაჩეჩილაძე, 2017).

გიდენსის (1990) მიერ გამოყოფილი მოდერნულობის ოთხი კრიტერიუმიდან ერთ-ერთის - ზედამხედველობის შესაძლებლობაც პირდაპირ შედიოდა გაეროს ფუნქციაში. როგორც რაციონალიზმის საფუძველზე მართული პროცესის შეუქცევადობის უზრუნველყოფა. იგივე ფუნქციის მატარებლები იყვნენ საერთაშორისო სასამართლოები, რომლებიც სხვადასხვა ფორმით გავლენას ახდენდნენ ეროვნული კანონმდებლობების შინაარსსა და მათი დაცვის უზრუნველყოფაზე. შესაბამისად, საერთაშორისო სისტემაში ახლადწარმოქმნილ სახელმწიფოს (ან ხანგრძლივად დაკარგული თავისუფლების კვლავ მომპოვებელ სახელმწიფოებს), არსებული რეალობა, რომელიც მისგან დამოუკიდებლად ყალიბდებოდა, უნდა გაეთავისებინა და ეროვნულ დონეზე დაენერგა.

მეოცე საუკუნის თანამედროვეობისთვის კიდევ ერთი დამახასიათებელი ობიექტური ცოდნის შექმნაზე პრეტენზიაა. ასეთი ცოდნა უნდა არსებულიყო იმიტომ, რომ უზრუნველეყო სოციალური პროგრესი. ის უნდა ყოფილიყო აუცილებელი და საყოველთაო, რომელიც ინდივიდზე არ დაიყვანებოდა (ლიოტარი, 1979).

ობიექტური ცოდნის იმპლემენტაციის მაგალითი საერთაშორისო ურთიერთობებში იმ ნორმებისა და საერთაშორისო სტანდარტების ჩამოყალიბებაში გამოიხატება, რომელთა წინაპირობა მართალია არსებობდა მეცხრამეტე საუკუნეშიც, თუმცა ინსტიტუციური და სავალდებულო ხასიათი სწორედ გაეროს შექმნის შემდეგ მიიღო. ის ეფუძნებოდა ადამიანთა ლოგიკურ მსჯელობასა და შეთანხმებას, რომელსაც უნდა უზრუნველეყო ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა ომისა და მშვიდობის პირობებში. მაგალითად, ჟენევისა და ჰააგის სამართალი წარმოადგენენ იმ ხანგრძლივი კანონშემოქმედებითი პროცესს, რომელიც ჯერ კიდევ 1864 წელს ჟენევის პირველი კონვენციიდან დაიწყო (ძამაშვილი, 2015) და დღემდე გააჩნია უნივერსალური ნორმატიული ტრაექტორია, რაც მის მოდერნულ ხასიათს უსვამს ხაზს.

კონკრეტული ტიპის წესრიგის პრინციპები ახლად დამოუკიდებლობა მოპოვებული ქვეყნების ჩართულობის გარეშე ჩამოყალიბდა. ისევე, როგორც, ობიექტური ცოდნა, საერთაშორისო სამართლის ნორმები ცალკეული საზოგადოებების, მაგალითად ბოსნიისა და კვიპროსის სამეცნიერო თუ ინტელექტუალური წრეები კონტრიბუციის გარეშე შეიქმნა. შესაბამისად, აღნიშნული პარადიგმები წარმოადგენდნენ მოცემულობას, რომელიც არ იყო ამ ქვეყნის მოსახლეობის წიაღში წარმოქმნილი, არ იყო ორგანული. განსაკუთრებით ის კომპონენტები, რომლებიც შესაძლოა წინააღმდეგობაში მოსულიყვნენ ტრადიციებთან ან მანამდე ხანგრძლივად არსებულ პრაქტიკებთან.

ნორმების ეროვნულ დონეზე დანერგვის პროცესს ართულებდა სახელმწიფოთა საზოგადოებების მრავალეთნიკურობა, რადგან საერთაშორისო ნორმებთან თავსებადობის საკითხის არგუმენტირება კულტურულ მრავალფეროვნების პირობებში მოითხოვდა თითოეული ჯგუფთან ინკლუზიური მიდგომას, შესაბამისად, პოლიტიკის დივერსიფიცირებას. იმ დროის საერთაშორისო და ეროვნული მმართველობის პრინციპების კონკრეტულ ქვეყნებში სწრაფი და აუცილებელი რეალიზების პროცესი საზოგადოებისა და პოლიტიკური ელიტის დეზორიენტაციას უწყობდა ხელს.

როგორც მაქს ვებერი განმარტავს, კონკრეტულ საზოგადოებაში ისტორიციზმიდან დისტანცირება ფორმალურ-რაციონალური აზროვნების ზრდასთანაა დაკავშირებული. აღნიშნული კი, თავის მხრივ, ყველაზე მეტად უკავშირდება ქვეყანაში გავრცელებულ კერძო ეკონომიკური წარმოების მოდელს, რომელსაც სჭირდება დაგეგმვა, გამოთვლა, რესურსებისა და წარმოების ოპტიმიზაცია და სხვა (ბერძენიშვილი, 2013).

თუკი სხვადასხვა პერიოდში მოპოვებული დამოუკიდებლობის მქონე სახელმწიფოების, ბოსნიის და კვიპროსის, შემთხვევას განვიხილავთ, შევნიშნავთ, რომ სუვერენიტეტის მოპოვების მომენტში კერძო საკუთრება ეკონომიკურ წარმოებაში ამ საზოგადოებების წევრებში მინიმალურ დონეზეა. ბრიტანეთისგან

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, კვიპროსის რესურსის ძირითადი ნაწილი ერთეული კომპანიების ხელში იყო (Hadjipavlou, 2007). იუგოსლავიის სპეციფიკური სოციალიზმის მიუხედავად, სადაც საკუთრება კოოპერატივების დონეზე დაშვებული იყო, კერძო წარმოების პრაქტიკა არც ბოსნიაში არსებობდა (Sancactar, 2018). აღნიშნული ეკონომიკური თავისებურებებს, ვებერის კონცეფციის მიხედვით, კრიტიკული წინაღობა უნდა შეექმნა საზოგადოებაში რაციონალური აზროვნების ზრდისთვის.

გარდა ეკონომიკური საკითხისა, ტრადიციულიდან დისტანცირებას ართულებდა იმ ბრძოლის პროცესი, რომლითაც აღნიშნული სახელმწიფოები დამოუკიდებელნი გახდნენ და რომელიც დიდი დოზით ატარებდა ისტორიული სამართლიანობის აღდგენის პათოსს. ერთ შემთხვევაში საზოგადოების მთავარი მაკონსოლიდირებელი ფაქტორი, რომელიც გულისხმობდა მოსახლეობის საერთო წარსულს და კულტურულ მეხსიერებას, თანამედროვე პირობებში უნდა გადააზრებულიყო რაციონალურ პრიზმაში. ეს უნდა მომხდარიყო ჯგუფურად, ამავდროულად, საზოგადოებაში შემავალი ყველა ეთნოსის მიერ, რომელთა თანაცხოვრებას, განსხვავებით ბრიტანეთის იმპერიის ან იუგოსლავიის შემადგენლობაში ყოფნისგან, აღარ აწესრიგებდა ძალაზე დამყარებული ნორმატიული წესრიგი.

იგივე ტიპის პრობლემას ქმნიდა საერთაშორისო ზედამხედველობის საკითხი, რომელსაც უნივერსალური სამართლებრივი ნორმებით უნდა მოეწესრიგებინა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობები. მანამდე სხვადასხვა იმპერიასა თუ კავშირში შემავალი ბოსნიისა და კვიპროსის საზოგადოების ცალკეული ჯგუფებისთვის აღნიშნული მზა და უნივერსალური პრინციპის დაცვის აუცილებლობა შეიცავდა მნიშვნელოვან რისკს, გაჩენილიყო ასოციაციები მეტროპოლიების მხრიდან მათთვის დირექტივების მიცემისა. დამოუკიდებლობის თანმდევ მსგავს სიახლეებზე სათანადო რეფლექსია, ისტორიციზმიდან დისტანცირების სირთულესთან ერთად, წარმოადგენდნენ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობდა გაურკვევლობას, პოლიტიკურ ანომიას.

შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევათა შესახებ არსებული რაოდენობრივი მონაცემების ანალიზმა, ისევე, როგორც კვიპროსსა და ბოსნიაში არსებულმა დაპირისპირების წინა ვითარების შესწავლამ, გამოავლინა საერთაშორისო ზეგავლენის ისეთი ასპექტებიც, რომლებიც ერთგვარად „პრემოდერნულია“. სხვაგვარი განსაზღვრებით მათ შეგვიძლია ისეთი ფაქტორები ვუწოდოთ, რომლებიც არ დაიყვანება რომელიმე კონკრეტულ ისტორიულ პერიოდზე. მიუხედავად ამისა, განსაკუთრებით დამოუკიდებლობის შემდგომ პერიოდში, ისინი ხელს უწყობდნენ მმართველ წრეებისა და პოლიტიკური ელიტაში დეზორიენტაციას და პოლიტიკური ანომიის კონდიციის ჩამოყალიბებას. განვიხილოთ აღნიშნული ფაქტორები:

რეგიონებში, სადაც ყველაზე ხშირად და დიდი რაოდენობით ხდებოდა შეიარაღებული დაპირისპირებები 1976-2005 წლებში, გამორჩეული ვითარებაა აფრიკის ქვეყნებში. მიღებული შედეგების ინტერპრეტირებისა და მათ გამომწვევ მიზეზთა ძებნისას რამდენიმე ასპექტი იდენტიფიცირდა.

პირველი მათგანი რეგიონის ეთნიკური რუკაა, რომელიც სხვა ყველა გეოგრაფიულ არეალთან შედარებით მეტად მრავალფეროვანია (სხვადასხვა მონაცემებით აფრიკის კონტინენტზე 2000-ზე მეტ განსხვავებულ ენაზე მოლაპარაკე 3000-მდე ეთნიკური ჯგუფია).

მეტი სიზუსტისთვის, მაგალითის სახით ავიღოთ ჰაუსას ეთნიკური ჯგუფი ჩრდილოეთ ნიგერიაში, რომელსაც გააჩნია საკუთარი ენა და ტრადიციათა სისტემა. ამ სპეციფიკით ისინი ნიგერიაში მეორე ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნიკური ჯგუფის - იორუბასგან , ან მესამე ყველაზე დიდი ჯგუფის - იგბოს, ენისა და ტრადიციებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. სეპარაციას ამძაფრებს კოლონიად ყოფნის პერიოდში უცხოელთა მხრიდან მათი დიფერენცირება. რამაც პოსტკოლონიურ ეპოქაში ამ ეთნოსების მიერ საერთო ეროვნული, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების გზაზე კიდევ ერთი ბარიერი შექმნა. ერთმანეთის შესახებ ნეგატიური ისტორიულ მეხსიერება, თავის მხრივ, კვებავს მტრული მითებისა და არქეტიპული

წარმოდგენების ჩამოყალიბებასა და გავრცელებას. ამ გარემოებათა გამო ადამიანთა ეთნიკური თვითიდენტიფიკაცია მეტად არის მიდრეკილი პარტიკულარიზმისკენ.

გარდა ისტორიისა და ბუნებრივი ეთნიკური მრავალფეროვნებისა, იგივე ეთნიკური ჯგუფების გეოგრაფიული განსახლების მაგალითზე ვხედავთ, რომ ნიგერიის ტერიტორიაზე ერთად მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს რამდენიმე მეზობელ სახელმწიფოში ჰყავთ თანაეთნოსელები. მაგალითად, ჰაუსას მოსახლეობა დიდი რაოდენობით გვხვდება მეზობელ ნიგერში, ჩადში, კამერუნსა და სპილოს ძვლის ნაპირზე. ასევე, ნიგერიის ტერიტორიის მსგავსად იორუბას ეთნიკური ჯგუფი გვხვდება ტოგოში, ბენინსა და განაში.

აღნიშნული მოცემულობა ერთის მხრივ მიუთითებს, რომ სახელმწიფოთა საზღვრების დადგენისას არასათანადო ყურადღება მიექცა მოსახლეობის ეთნიკურობის ფაქტორს, რაც შემდგომში მსგავსი ქვეყნების ერ-სახელმწიფოებად ფორმირების გზაზე მნიშვნელოვანი ბარიერი აღმოჩნდა. მეორე მხრივ, მსგავსი დემოგრაფიული ეკლექტურობა სახელმწიფოთა შიდა საქმეებში უცხო, მეზობელი ქვეყნების ღია თუ ფარული ჩარევის რისკებს ზრდის. ეს, როგორც წესი, თანაეთნოსელების მხარდაჭერის მიზნით ხდება ისეთი ასპირაციების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც შესაძლოა მეორე სახელმწიფოს ინტერესებში ყოველთვის არ შედიოდეს.

მსგავსი ვითარებაა ბოსნიასა და ჰერცეგოვინას შემთხვევაში. ქვეყნის მოსახლეობის ორი უმსხვილეს ეთნიკურ ჯგუფს, სერბებსა და ხორვატებს, მეზობელ სახელმწიფოებში უფრო დიდი რაოდენობით ჰყავთ თანაეთნოსელები. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ იუგოსლავიაში ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ და სამხედრო ელიტას სერბები წარმოადგენდნენ, რომელთა სათავეში ეროვნებით ხორვატი იოსიფ ბროს ტიტო (1945-1980 წ.წ.) იყო. თუმცა, ნიგერიაში მცხოვრები ჯგუფების თანაეთნოსელებისგან გასახვევებით, სერბეთი და ხორვატია ცალკე სახელმწიფოებია, რაც საგარეო გავლენის თვალსაზრისით, შესაძლო რისკებს კიდევ უფრო ზრდის.

ანალოგიურ მოცემულობას ვხვდებით კვიპროსის შემთხვევაშიც. კუნძულზე მცხოვრებ ორ ყველაზე დიდ ეთნიკურ ჯგუფიდან თითოეულს (ბერძნებსა და თურქებს) რეგიონში ცალკე სახელმწიფო აქვთ. საბერძნეთსა და თურქეთს შორის წლების მანძილზე არსებული არაერთგვაროვანი ურთიერთობა, რომელიც, მათ შორის, კვიპროსზე გავლენის საკითხებსაც უკავშირდებოდა, ახალგაზრდა სახელმწიფოს მმართველი წრეებისთვის საგარეო პოლიტიკაში ბალანსის შეენარჩუნებისთვის კრიტიკულ წინაღობას ქმნიდა.

კონფლიქტური ქვეყნის აღნიშნული მახასიათებელი, რომელიც ჩვენს საკვლევ ობიექტთა უმრავლესობაში გამოიკვეთა, დიდწილად ჯდება „მონათესავე სახელმწიფოს“ (Kin-State) ნაციონალიზმის კონცეფციაში. ტერმინში იგულისხმება სუვერენული სახელმწიფო, რომლის მოსახლეობის უმრავლესობა იგივე ეთნიკური იდენტობისაა, როგორიც მეზობელ ქვეყანაში (ხშირად სახელმწიფო საზღვრის მიმდებარედ მცხოვრები) არსებული ეთნიკური უმცირესობა. მონათესავე სახელმწიფოს პოლიტიკის მკვლევრები გამოყოფენ რამდენიმე ასპექტს, რომელიც კონფლიქტური ვითარების წარმომქმნელი მნიშვნელოვანი გარე ფაქტორებია: მონათესავე სახელმწიფოს ურთიერთობები სხვა ქვეყნის თანაეთნოსელებთან ხშირად სეცესიონისტური განწყობების გავრცელებას და სეპარატისტული მოძრაობებისთვის რესურსებზე წვდომის ხელშეწყობას უკავშირდება (Heraclides, 1990); ლობირებენ უცხო სახელმწიფოში მათი (შესაბამისად, ეთნიკური უმცირესობის) მშობლიური ენის სწავლებას და შესაძლებლობის შემთხვევაში, ენისთვის პოლიტიკური სტატუსის მინიჭებას (Csergő, 2007); აგრეთვე, ცდილობენ უცხო ქვეყნის მოქალაქე თანაეთნოსელებში მათი პასპორტების, მოქალაქეობისა და ზოგადად, იდენტობის გავრცელებას (Knott, 2019) (Waterbury, 2020).

შესაბამისად, სახელმწიფოში არსებული ეთნიკური მრავალფეროვნება შესაძლოა ქმნიდეს ქვეყნის შიდა საქმეებში გარე ჩართულობის დამატებით რისკებს. პოლიტიკური სისტემის შესუსტების ან სხვა სახის გამოწვევების, მაგალითად რადიკალური ცვლილებების პირობებში. თუკი სახელმწიფოს მოსახლეობის

ცალკეულ ჯგუფებს საკუთარი და განსხვავებული მოკავშირეები ჰყავთ საერთაშორისო პოლიტიკაში, როგორც მთელი საზოგადოების საერთო მიზნისთვის კონსოლიდაცია, ისე საგარეო ორიენტირების განსაზღვრა ბუნებრივად რთულდება.

მსგავს პრობლემებს ვხვდებით კვიპროსისა და ბოსნიის დამოუკიდებლობის პირველ წლებში. ბალკანური სახელმწიფოს სამ ყველაზე დიდ ეთნიკურ ერთობას დიამეტრულად განსხვავებული შეხედულებები ჰქონდა საგარეო პოლიტიკაზე, რაც ართულებდა ქმედითი და სწრაფი ნაბიჯების გადადგმას ხელისუფლებისთვის, ასევე, ფრაგმენტირებული იყო რეგიონების მიხედვით. კვიპროსის შემთხვევაში არსებული „ენოსისისა“ და „ტაკსიმის“ პოლიტიკური სტრატეგიები კი, რომელთაგან პირველს საბერძნეთი, ხოლო მეორეს, თურქეთი უჭერდა მხარს, წარმოადგენდა კუნძულზე შემდგომში განვითარებული დესტრუქციული მოვლენების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს.

5.4 „ანომიური“ მდგომარეობის გამომწვევი შიდა ფაქტორები კონფლიქტის წინა პერიდოში კვიპროსისა და ბოსნია-ჰერცეგოვინას მაგალითზე

ობიექტური მოცემულობის სახით უნდა აღინიშნოს, რომ მოდერნულობისთვის დამახასიათებელი ზოგადი საზოგადოებრივი ტენდენციები, რომლებსაც მოცემულ მსჯელობაში ახლად რეფორმირებული და უმეტესად მრავალეთნიკური სახელმწიფოთათვის პოლიტიკური ანომიის მთავარ განმაპირობებლად განვიხილავთ, ისტორიის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთში (და არც ახლა) არ არის უნიკალური ან ექსკლუზიური ერთი ქვეყნისა თუ საზოგადოებისთვის. ამის არგუმენტად შეგვიძლია მოვიყვანოთ როგორც ზემოთ განხილული მეოცე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკური ტენდენციები, ისე ნიკლას ლუმანის მსჯელობაც ფუნქციურ დიფერენციაციასა და მსოფლიო საზოგადოებაზე, რომელშიც ავტორი ერთ კონტექსტში განიხილავს გერმანიისა და ბრაზილიის მოსახლეობას. ამის მიზეზად კი იმგვარ მაკონსტრუირებელ ოპერაციას მიიჩნევს, როგორიც თანამედროვე (1990 წლისთვის) კომუნიკაციის ინტენსივობა და ფორმაა (ზედანია, 2010).

შესაბამისად, მოდერნულობა, როგორც პოლიტიკური აზროვნების, და აქედან გამომდინარე, მართვისა და ურთიერთობის სტილი, სახელმწიფოსთან მიმართებით წარმოადგენს გარეგან ფაქტორს (საერთაშორისო ინსტიტუტებს, სამართლის ნორმებს და ა.შ.), მაგრამ ამავდროულად შიდასაც. კერძოდ, გლობალურ პოლიტიკაში პოზიციონირებისთვისა და იმ საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში საკუთარი მიზნების მიღწევისთვის, როგორიც ის ჩვენი კვლევის შემთხვევაში მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში იყო, თანამედროვეობისთვის დამახასიათებელი საბაზისო პრინციპების ეროვნულ დონეზე დანერგვა აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. აღნიშნული ყველა შემთხვევაში არ ნიშნავდა დემოკრატიულ მმართველობის განხორციელებას (მოდერნულობის ყველაზე მასშტაბური და აბსოლუტური რეალიზება ხომ ზუსტად არადემოკრატიულ სახელმწიფოებში მოხდა). თუმცა, უდავოდ გულისხმობდა იმგვარ ტრანსფორმაციებს, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ.

როგორც ცნობილია, დასავლურ სამყაროში თანამედროვე საზოგადოების ჩამოყალიბება ერი-სახელმწიფოს ფორმატში მოხდა, რომელიც თავისი არსით სრულიად მოდერნული ფენომენია (Giddens, 1990). მისი მთავარი დამახასიათებელი - ჰომოგენური საზოგადოებაა, რომლის მიღწევა, აუცილებელ პირობას და ამასთანავე თანმდევ შედეგს წარმოადგენს უსაფრთხოებისა და ეკონომიკური განვითარების მიღწევის გზაზე. ერი-სახელმწიფოს ფორმირება დასავლურ დემოკრატიებში სამოქალაქო ფუნდამენტზე კონსოლიდირებულ (სხვა მახასიათებლებთან ერთად) მოსახლეობას გულისხმობდა, რომელსაც შესაბამისი და კომპლექსური სოციო-ეკონომიკური წინაპირობები გააჩნდა. მსგავსი წინაპირობების არ არსებობის მიუხედავად მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, ჰომოგენიზაციის საჭიროება ყველგან ერთნაირად აქტუალური იყო.

სახელმწიფო მიდრეკილია კონსოლიდაცია და ჰომოგენიზაცია წარმართოს ძალის მეშვეობით იქ, სადაც ის ნებით არ ხდება ან ბუნებრივად არ არსებობს (Bauman, 2002). შესაბამისად, თანამედროვე სახელმწიფოს ფორმირების გზაზე ნებისმიერი სახის

ჰეტეროგენულობა წარმოადგენს წინაღობას, მაგრამ არა გადაულახავს ან აუცილებლობით შეიარაღებული კონფლიქტით გადალახვადს.

ნებისმიერ ფუნდამენტზე განხორციელებული ჰომოგენიზაციის არსებით კომპონენტს წარმოადგენს წესრიგი - როგორც ზიგმუნდ ბაუმანი „მოდერნულობასა და ჰოლოკოსტში“ (2002) აღნიშნავს ის მოდერნულობის განხორციელების ფუნდამენტია, რომელიც იქცევა საზოგადოების გაცნობიერებულ თუ გაუცნობიერებელ თვითმიზნად. გაუცნობიერებელი, რადგან თანამედროვე სახელმწიფოს წინაშე მდგარი სხვა ამოცანების შესრულება წესრიგის გარეშე შეუძლებელია.

ბაუმანის აზრით, წესრიგის ალტერნატივა მხოლოდ ქაოსია. შესაბამისად, მისი მიღწევა არ უკავშირდება რეალობის შესახებ წარმოდგენის ერთი საშუალების ბრძოლას მეორესთან. არამედ, მხოლოდ ქაოსის ელიმინაციას, ამბივალენტურის განსაზღვრას და მისთვის სემიოტიკური სიზუსტის მინიჭებას. წესრიგი თავისი არსით ხელოვნური ფენომენია და უპირისპირდება სამყაროს ბუნებით მდგომარეობასაც, რომელიც ქაოსის ერთგვარ ფორმად არის აღქმული.

სახელმწიფოში წესრიგის მიღწევის ორ მთავარ ინსტრუმენტთაგან პირველი მომწესრიგებელი/დისციპლინარული პრაქტიკებია. მექანიზმები, რომლითაც ქაოსი და განუსაზღვრელობა რეგულირდება და განისაზღვრება. ბაუმანი (1996) აღიარებს, რომ მომწესრიგებელი პრაქტიკები მოდერნულობამდეც არსებობდა, მაგრამ ვინაიდან პრემოდერნული სამყარო წესრიგსა და ქაოსს შორის ალტერნატივას ვერ აცნობიერებდა, გადამწყვეტი როლი მათ თანამედროვეობაში შეიძინეს. ისინი ერთგვარი სახელმწიფოებრივი პრაქტიკებია, რომლებსაც ადამიანური კანონმდებელი გონება ქმნიდა. ხოლო ამ გონების შემოქმედება, აუცილებლობით იყო განსაზღვრული რაციონალიზმით. შესაბამისად, ის მანამდე არსებულ ბუნებით ან ტრადიციასა და ტრანსცენდენტური ხასიათის პოსტულატებზე წარმოქმნილ პრაქტიკებთან წინააღმდეგობაში იყო.

წესრიგის მიღწევის მეორე აუცილებელი პირობა, სუვერენული სააგენტოების არსებობა და გამართული ფუნქციონირებაა. რომლებიც ცოდნის, ადმინისტრირების

და ტექნოლოგიების საშუალებით ქაოსის ელიმინირებას ეკონომიკური განვითარების თუ სხვა სახის დეკლარირებული რაციონალური მიზნისთვის უზრუნველყოფენ. სააგენტო იმ შემთხვევაშია სუვერენული, როდესაც მას გააჩნია შესაბამისი რესურსი, მართვის უნარი და უფლება. მისი ძირითადი მიზანია წესრიგის შენარჩუნება და იმ ამბივალენტურობის აღმოფხვრა, რომელსაც შესაძლოა შეიცავდეს საზოგადოების რომელიმე ელემენტი.

თანამედროვე სახელმწიფოს ჰომოგენიზაციის პროცესში თავს იჩენს ერთი მნიშვნელოვანი ფენომენი, რომელსაც განზოგადებულად შეგვიძლია „უცხო“ ვუწოდოთ. ამ კრებსით სახელში მოისაზრება ყველა ის ინდივიდი ან ინდივიდთა ჯგუფი, რომელიც თავისი შინაარსით საზოგადოებისთვის როგორც კულტურის, ისე სხვა საკითხებში ამბივალენტური და არა ჰომოგენურია. შინაარსით განუსაზღვრელია, რადგან არც მტერია და არც ერთ-ერთი ყველათაგანი. თავისი არსით ის პრობლემაა. რადგან ზიმელის მიხედვით, თანამედროვე სულისკვეთებით საზოგადოებად ქცევის ორი გზა არსებობს მტრობა ან მეგობრობა. „უცხო“ კი ამ დიქოტომიიდან ამოვარდნილია (ანდრონიკაშვილი, 2010).

მოცემული თეორიულ საკითხები განვიხილოთ ბოსნიისა და კვიპროსის მაგალითების მიხედვით და ამავდროულად, შევადაროთ იქ მიმდინარე მოვლენები დასავლურ ქვეყნებში მშვიდობიანი გზით და ეტაპობრივად წარმართულ ჰომოგენიზაციის პროცესს.

მეოცე საუკუნის თანამედროვე სახელმწიფოსათვის აუცილებელი აღნიშნულ ასპექტების ფორმირება, როგორც ყველგან, ისე ბოსნიისა და კვიპროსის დამოუკიდებლობის პირველი ეტაპიდან მიმდინარეობდა. გარდა სუვერენიტეტის მოპოვებისა, რომელიც თავისთავად რადიკალურ, მაგრამ აუცილებელ სოციო-პოლიტიკურ ცვლილებას გულისხმობდა, თანამედროვე სახელმწიფოსთვის ორგანული კომპონენტების ჩამოყალიბების პროცესი მანამდე არსებული საზოგადოებრივი და პოლიტიკური სტრუქტურის რღვევასთან ბუნებრივად იყო დაკავშირებული.

დასავლურ დემოკრატიებში საზოგადოების ჰომოგენიზაცია სოციალურ და ეკონომიკურ ფუნდამენტზე მოხდა. ეკონომიკური წარმოების გავრცელებულმა ფორმამ, რომელიც ხელს უწყობდა შრომის დანაწილებას და შესაბამისად, ურთიერთდამოკიდებულებას პროფესიულ და არა კულტურულ საფუძველზე, ეთნიკური ხაზები მინიმუმამდე წაშალა. სწორედ ამ მოცემულობაზე დაყრდნობით ვარაუდობდა სხვადასხვა ზემოთ განხილული მეცნიერი, რომ მოდერნიზაციის გლობალური პროგრესი ეთნიკურობა, როგორც ფაქტორი კონფლიქტებში, უახლოეს მომავალში უნდა გამქრალიყო. ამას დაემატა მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ნაცისტური პოლიტიკის ებრაელების წინააღმდეგ რეალიზების მცდელობის დანაშაულებრივი გამოცდილება, რომელმაც ეთნიკურობისა და ეროვნების საფუძველზე მოსახლეობის შერჩევა მორალურ საკითხად აქცია.

მიუხედავად ამისა, საზოგადოების მოდერნულ ტრანსფორმაციებს არც დასავლეთ ევროპასა თუ აშშ-ში ჩაუვლია უმტკივნეულოდ. თუმცა, მიუხედავად ინდივიდუალურ თუ ეროვნულ დონეზე მანამდე არნახული გამოწვევების და პრობლემებისა, არსებული სოციალური და პოლიტიკური სისტემები საშუალებას იძლეოდა, ადამიანებს იმ პერიოდში არსებული სოციალურად სასურველი მიზნები არსებული ქცევის ნორმებისა და მექანიზმების საშუალებით მიეღწიათ. სხვაგვარად, არსებული დისციპლინური პრაქტიკები პასუხობდნენ მოსახლეობის ინტერესებს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოთა სუვერენულ სააგენტოებს, რომლებიც აღნიშნულ პრაქტიკებს ახორციელებდნენ უმრავლესობის ლეგიტიმაცია გააჩნდათ. ამის გამო, აღნიშნული სირთულეები არ გარდაქმნილა უფრო რთულ, დესტრუქციულ და ჯგუფურ დევიაციად ან დაპირისპირებად.

აღსანიშნავია ისიც, რომ XX საუკუნის პირველ ნახევარში დასავლურ საზოგადოებაში (პერიოდში, როდესაც უმეტესობა მათგანის ჰომოგენიზაცია მოხდა) სასურველად მიჩნეულ მიზნები რადიკალურად განსხვავდებოდა საუკუნის ბოლოს ან თანამედროვეობაში არსებული იმ მოთხოვნებისგან, რომელიც მოსახლეობას აქვს. საუკუნის წინა საზოგადოების საჭიროებები შემოიფარგლებოდა საბაზისო

მოთხოვნების დაკმაყოფილებით, როგორებიცაა დასაქმება, ჯანდაცვის შესაძლებლობა, განათლების მიღება და ა.შ. განსხვავდებოდა ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტიც, რაც საშუალებას აძლევდა ხელისუფლებებს მიემართათ მეტად რადიკალური ზომებისთვის, როდესაც საფრთხე შესაძლო დესტაბილიზაციას უკავშირდებოდა. შესაბამისად, სახელმწიფოთა ინსტიტუციურმა სიმყარემ და მოსახლეობის შემოსავლების მუდმივმა და მანამდე არნახულმა ზრდამ, ხელი შეუშალა აღნიშნულ ინდივიდუალურ ან მცირე ჯგუფების დონეზე არსებული ანომიური კონდიციის იმ დონენის დეზინტეგრაციად გარდაქმნას, რომელიც შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზრდებოდა (Huntington, 1966).

დასავლურ თანამედროვე სახელმწიფოთა ფორმირების კიდევ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს ჰომოგენიზაციისკენ ლტოლვის კონსტრუქციული შეზღუდვის მექანიზმი წარმოადგენს. ესაა მარეგულირებელი პრაქტიკების პლურალისტური ხასიათი, რომელიც ქვეყანაში მცხოვრებ საზოგადოებრივ ჯგუფთა მაქსიმალურად დიდი რაოდენობის ინტერესთა გათვალისწინებას გულისხმობს. თუმცა, მარეგულირებელ პრაქტიკათა პლურალურობა წინააღმდეგობათა სრულად და საბოლოოდ დაძლევას არ ნიშნავს. ამიტომ სახელმწიფო უსაფრთხოების, საზოგადოების კონსოლიდაციის და ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფას შორის აუცილებელი ბალანსის უზრუნველსაყოფად მუდმივ რეფლექსურობას, რევიზიასა და მოდიფიკაციას, საჭიროებს.

კვიპროსისა და ბოსნიის შემთხვევაში საკითხი სხვაგვარად იდგა. ჰომოგენიზაციის სამოქალაქო ფუნდამენტზე განსახორციელებლად შესაბამისი სოციო-ეკონომიკური საფუძველი არ არსებობდა. მათი გამოცდილებით ეკონომიკური აქტივობა არ უკავშირდებოდა, მაგალითად, სამუშაო ძალის სიმრავლის საჭიროებას. ბოსნიის შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ მართული წარმოება გულისხმობდა არა ეკონომიკის სამუშაო ძალაზე, ხოლო სამუშაო ძალის - ურთიერთის მიმართ, დამოკიდებულებას, არამედ საზოგადოების დამოკიდებულებას მმართველ ცენტრზე, რომელიც გეგმავდა და კონტროლს უწევდა ეკონომიკურ აქტივობას (Demény, 2011). შესაბამისად,

საზოგადოების ფუნქციური ინტეგრაციის ან დიურკემის მიერ აღწერილი ორგანული სოლიდარობის ფენომენი მსგავს საზოგადოებებში არ მნიშვნელობდა. აქედან გამომდინარე, კრიტიკულად იზრდებოდა ძალაუფლების ფლობის ფასი.

კვიპროსის დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდში მთელს ეროვნულ წარმოებას რამდენიმე ოჯახი აკონტროლებდა, რომელთათვის საჭირო შრომის ბაზრის მასშტაბი არ ვრცელდებოდა მოსახლეობის უმრავლესობაზე. დანარჩენი კერძო წარმოების მნიშვნელოვანი წილი კი მიწათმოქმედებაზე მოდიოდა, რომელიც ცალკე აღებული ვერ შეძლებდა ბერძენ და თურქ მოსახლეობას შორის ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების გაზრდას. ამის მოზეზი კუნძულის რეგიონებში მსგავსი ჰავა, ერთგვაროვანი მოსავლიანობა და აგრარულის ნაწარმის ერთგვაროვნება იყო (Hadjipavlou, 2007).

ჰომოგენიზაციის სოციო-ეკონომიკურ წინაპირობების არ არსებობის გამო, როგორც ბოსნიასა და კვიპროსში, ის მსგავს სხვა ქვეყნებში, აღნიშნული პროცესი ეთნიკურ საფუძველზე მოხდა. ვიინაიდან სხვა უფრო ფართო მაკონსოლიდირებელი და მყარი მდგენელი არ არსებობდა. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ანომიურ კონდიციაში მყოფი საზოგადოება (რომელშიც მანამდე გაზიარებული საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ნორმები აღარაა ქმედითი) მიდრეკილია გაერთიანდეს უფრო მყარი, ფარდობითობის ნაკლები თვისების მქონე იდენტობების გარშემო. კვიპროსის შემთხვევაში აღნიშნული როლი, ეთნიკურობასთან ერთად, რელიგიამ ითამაშა. დამოუკიდებლობის შემდგომ პირველ არჩევნებში ხელისუფლებაში მოვიდა ბერძენი სასულიერო პირი მაკარიოს III, რომელიც 1977 წლამდე ინარჩუნებდა პრეზიდენტის პოსტს და სარგებლობდა კუნძულზე უმრავლესობაში მყოფი ბერძენი მოსახლეობის მხარდაჭერით (გაიმარჯვა როგორც 1968, ისე 1973 წლის არჩევნებში).

ბოსნიის შემთხვევაშიც მსგავსი მოვლენები განვითარდა. 1980-იან წლებში ეკონომიკური პრობლემებით ფრუსტრირებული საზოგადოების მხარდაჭერა 1990 წლის არჩევნებში ეროვნულობის შესაბამისად ფორმირებულ სამ პარტიაზე გადანაწილდა. მსგავსი პარტიკულარიზმი რამდენიმე წელში შეიარაღებული

დაპირისპირების წინაპირობა გახდა (Britannica, 2023). მიუხედავად იმისა, რომ იუგოსლავია მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში მოდერნიზებულ სახელმწიფოს წარმოადგენდა, ეკონომიკური კრიზისითა და ბალკანეთის რეგიონში მიმდინარე სხვა პროცესებით გამოწვეული სტრუქტურული დეზორგანიზაცია ვერ დაარეგულირა მანამდე არსებულმა დისციპლინურმა პრაქტიკებმა, რომლის დაცვასაც ლეგიტიმაცია დაკარგული სახელმწიფო ორგანოები ვეღარ ახერხებდნენ. საერთო იუგოსლავიური ინსტიტუტების, როგორც მაკონსოლიდირებელი მექანიზმის, ლეგიტიმაციის კრიზისზე არჩევნების შედეგების ვიწრო ეთნიკური ხასიათიც მიუთითებს.

საკითხის ნათელსაყოფად მნიშვნელოვანია აღინიშნოს კიდევ ერთი ასპექტი. კონფლიქტის შემთხვევათა სოციო-ეკონომიკური წინაპირობების განხილვისას არ უგულებელიყოფა საგარეო ზემოქმედება, რომელსაც ესა თუ ის ქვეყანა ორივე შემთხვევაში ახორციელებდა. ჩვენი მსჯელობა მიემართება იმ სოციო-პოლიტიკური ნიადაგის ანალიზს, რომელზე ზეგავლენაც მარტივდებოდა სხვა სახელმწიფოსთვის ბოსნიასა და კვიპროსში მიმდინარე პროცესზე.

მოდერნიზაციის პროცესი, როგორც მეცნიერების, ტექნოლოგიის განვითარება და მაქსიმალური ეკონომიკური სარგებლის მიღების გზათა მუდმივი ოპტიმიზაცია, საზოგადოებრივ და შესაბამისად, სახელმწიფო სისტემას მუდმივად ახალი მიმართულებით უბიძგებს. გიდენსის მიხედვით (1990) ეს მიმართულება გაურკვეველია და ამ სვლას „ჯაგერნაუტს“ - უმიზნო რბოლას უწოდებს. რომელიც, თავის მხრივ, ლოგიკურად მოიაზრებს ისეთი შედეგის დადგომას, რომელიც არ იყო სრულად განჭვრეტადი და შესაბამისად, პირდაპირი დამნაშავეც არავინაა. აღნიშნული ხშირად ძნელად დასაჯერებელია საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებისთვის, რაც უბიძგებს მათ დაიწყონ „განტევების ვაცის“ ძებნა. ამას, როგორც წესი არა საკუთარ ჯგუფში, არამედ საზოგადოების სხვა ნაწილში აკეთებენ. მით უმეტეს იმ პირობებში, როცა არსებობს მათი ზოგადი წარმოდგენით საფრთხის შემცველი (განსხვავებული) სოციალური ჯგუფები. ბოსნიისა და კვიპროსის შემთხვევაში აღნიშნულ ჯგუფებს სხვა ეთნოსის წევრები წარმოადგენენ. ასეთ

ელემენტებს, როგორც წესი, უმცირესობის აზრით უმრავლესობა წარმოადგენს, როგორც მათი კულტურული ასიმილაციის პოტენციური საფრთხე, ხოლო უმრავლესობისთვის - უმცირესობა, როგორც „უცხო“ ერთობა.

ბოსნიასა და კვიპროსის მსგავს სახელმწიფოებში ჰომოგენიზაციის პირველი ეტაპების თანმდევ პროცესს წარმოადგენდა იმ დისციპლინური პრაქტიკებისა და მარეგულირებელი ორგანოების ფორმირება, რომლებმაც აღნიშნული ერთგვაროვნება (წესრიგი) უნდა შეინარჩუნოს. მსგავსი ინსტიტუტების, რომლებსაც ხშირად ხანგრძლივი ისტორიის მქონე პოლიტიკურ პლურალიზმის პირობებშიც ლეგიტიმაციის მნიშვნელოვანი წინაღობები აქვს, მით უფრო უჭირდა საზოგადოების ნდობის მოპოვება ახლად წარმოქმნილ მრავალეთნიკურ სახელმწიფოებში.

პრობლემები, რომლებსაც ჩვენი მსჯელობის შემთხვევაში კონფლიქტის წინაპირობები წარმოადგენს, არ სრულდება ჰომოგენიზაციის განხორციელებით სოციო-ეკონომიკური შესაბამისი წინაპირობების გარეშე ან თანამედროვეობისთვის დამახასიათებელი „ჯაგერნაუტით“. კონსოლიდაციის ამ ფორმას, ეთნიკურ იდენტობაზე იქნება ის დაფუძნებული თუ სამოქალაქოზე, სჭირდება წესრიგის უზრუნველყოფა, რომლებიც შესაბამისმა ინსტიტუტებმა - სუვერენულმა სააგენტოებმა უნდა განახორციელონ. ამისათვის ინსტიტუტებისთვის აუცილებელია როგორც ლეგიტიმაცია, ისე რესურსი და უნარი.

დასავლურ საზოგადოებაში ინსტიტუტები და სოციალური პრაქტიკები იმდენად არიან მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ჯგუფებისთვის, რამდენადაც ისინი თავად არიან ჩართული ან იღებენ ხელშესახებ სიკეთეს მათგან (Merton, 1968). ხოლო სხვა სოციალური ინსტიტუტების ლეგიტიმაცია სრულად გაზიარებული არ არის. მეტიც, შესაძლოა კონკურენტად იყოს აღქმული. რამდენადაც არიან ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ, ხშირად ურთიერთგამომრიცხავ (მაგ. ფსიქოლოგი ინსტიტუტი მოძღვრის ინსტიტუტის წინააღმდეგ) სოციალურ პრაქტიკათა სისტემაში ჩართულნი. ცოდნაც არასრული აქვთ ერთმანეთის შესახებ, რადგან მოდერნული საზოგადოება ხასიათდება ფუნქციური მრავალფეროვნებით - ერთი ფუნქციის

შესრულება შესაძლოა მრავალ (მაგრამ სასრული რაოდენობის) სუბიექტს (ამ შემთხვევაში ინსტიტუციებს) შეეძლოს, ხოლო რიგითი ინდივიდი მოკლებულია იმის დროს და კოგნიტიურ შესაძლებლობას, რომ ერთი სოციალური ფუნქციის ყველა შესაძლო ვარიანტი სიღრმისეულად შეისწავლოს. ამის გამო, თან სდევს უცხოს და განსხვავებულის შინაარსობრივი გაუგებრობა და იძულებულია იაზროვნოს სტერეოტიპებით.

შესაბამისად, იქმნება სოციალური ნიადაგი მათი ბუნდოვანი წარმოდგენებში სიცხადე ისტორიული მეხსიერებისა და პოლიტიკური მითების საშუალებით შეიტანონ, რაც მნიშვნელოვან რისკებს ატარებს კონფლიქტის წარმოშობისთვის.

აღნიშნული გაურკვევლობა უცხოს მიმართ კიდევ უფრო მძაფრდება ბოსნიისა და კვიპროსის მსგავს საზოგადოებებში, სადაც ჰომოგენიზაცია ეთნიკურობის საფუძველზე მიმდინარეობდა. პოლიტიკური სისტემა უხვად შეიცავდა ზოგად სოციალურ პრაქტიკებს (ინსტიტუტები), რომლებიც აერთიანებდა მრავალ ეთნიკურ კომპონენტს და კონკრეტული ჯგუფისთვის იყო სასარგებლო. მისი პრომორდიალისტური ხასიათიდან გამომდინარე, აღნიშნული კიდევ უფრო გაუგებარი იყო სხვა, მსგავს საფუძველზე, ფორმირებული ჯგუფისთვის, რომელსაც საკუთარი, იგივე პრინციპით ფორმირებული ალტერნატივები გააჩნდა.

თანამედროვე სახელმწიფოს წესრიგისთვის კრიტიკული მნიშვნელობის დისციპლინური პრაქტიკების და სუვერენული სააგენტოების ფორმირება წარმატებულ დასავლურ შემთხვევებში მაქსიმალურად დიდი რაოდენობის ინტერეს-ჯგუფთა შეხედულებების გათვალისწინება და ჩართულობას გულისხმობდა. ამ გზით პრაქტიკები (პოლიტიკური თვალსაზრისით მას საკანონმდებლო ნორმები შეგვიძლია ვუწოდოთ) ფართო მასშტაბიანი დევიაციისადმი მედეგობას ინარჩუნებდნენ. ხოლო სააგენტოები (სახელმწიფო ორგანოები), - ლეგიტიმაციას. ეთნიკურ მდგენელზე ფორმირებულ აღნიშნული მექანიზმები მეტად მოუქნელი იყო ამ თვალსაზრისით, რაც ართულებდა მათ გარშემო საერთო ეროვნულ (სახელმწიფოს მთელი

მოსახლეობის) კონსოლიდაციას. ხოლო პროცესს მიაქანებდა მეტი დაპირისპირებისკენ.

მიუხედავად 30 წლიანი განსხვავებისა დამოუკიდებლობის მოპოვების თარიღებს შორის, როგორც ბოსნიის, ისე კვიპროსის შემთხვევაში, პოლიტიკური ინსტიტუტების ფორმირება ორივე სახელმწიფოში ეთნიკური კონსოლიდაციის საფუძველზე მოხდა. 1990 წლის ბოსნიის საპარლამენტო არჩევნებში ხმების აბსოლუტური უმრავლესობა სამ, ეთნიკურ ბაზისზე დაფუძნებულ, პარტიაზე გადანაწილდა. შეხედულებები ბოსნიის სახელმწიფოს შესახებ რადიკალურად განსხვავებული იყო. სერბული დემოკრატიული პარტია (SDS) და მათ მიერ დე ფაქტო კონტროლირებადი ბონია ჰერცეგოვინაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკა „კრაინა“ იუგოსლავიის შემადგენლობაში დარჩენის და ოფიციალურ ბელგრადთან მჭიდრო კოორდინაციის მომხრე იყო.

ბოსნიელი ხორვატების პარტია (HDZ) საწყის ეტაპზე უმეტესად ხორვატებით დასახლებულ ჩრდილოეთ რეგიონების ბოსნიიდან სეცესიას და ხორვატიასთან შეერთებას უჭერდა მხარს (ომის შემდეგ მათი შეხედულება კონფედერაციული რესპუბლიკის სასარგებლოდ შეიცვალა).

ბოსნიაკების პარტია (SDA), რომელთა წინასაარჩევნო კამპანია ანტი-სერბულ პათოსს და მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ეთნიკურად სერბი მოსახლეობის მხრიდან ბოსნიელების შევიწროების ფაქტებზე აპელირებით მიმდინარეობდა, სახელმწიფოს სუვერენიტეტის და იუგოსლავიიდან სრული გამოყოფის მომხრე იყო. მსგავსი ანტაგონიზმის პირობებში შეუძლებელი ხდებოდა სახელმწიფოსთვის კრიტიკული საჭიროების ორგანოებისა რეფორმირება ან ჩამოყალიბება. არსებული ინსტიტუტები, პოლიტიკური გაურკვევლობის გამო, ვერ ახერხებდნენ გამართულ ფუნქციონირებას (Karčić, 2022).

კვიპროსის შემთხვევაში საზოგადოების გაყოფას ბრიტანეთის ფორმალური მმართველობა უსწრებდა წინ, რომელმაც კუნძული ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ დაიკავა. 1950 წელს, დამოუკიდებლობამდე ათი წლით ადრე კუნძულზე

ჩატარებული რეფერენდუმის შედეგებით მოსახლეობის უმრავლესობამ საბერძნეთთან შეერთებას, „ენოსისით“ ცნობილ პოლიტიკას დაუჭირა მხარი. აღნიშნული არ ემთხვეოდა ბრიტანეთისა და თურქი კიპრიოტების ინტერესებს. ეთნიკურად ბერძნულმა საზოგადოებამ არსებული რეჟიმის წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა. ბერძნული სოციუმის ანტაგონიზმმა ბრიტანეთის მიმართ ხელი შეუწყო არსებულ ინსტიტუტებში (ძალოვანი სტურქტურები; საშუალო რგოლის მმართველობა) ეთნიკურად თურქი მოსახლეობის ჩართულობის სწრაფ ზრდას, რომლებიც „ენოსისის“ საპირისპიროდ საკუთარი პოლიტიკა „ტაქსიმი“ გააჩნდათ. აღნიშნული მიდგომა გულისხმობდა კუნძულის გაყოფას ორ, ბერძნულ და თურქულ მხარეებად. 1960 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ წარმოიქმნა ვითარება, სადაც ბერძული საზოგადოებით დასახლებულ ტერიტორიებს მაკარიოსის ხელისუფლება მართავდა, ხოლო თურქებით დასახლებულ რეგიონებში ძირითადად დამოუკიდებლობამდელი სახით არსებული და ეთნიკურად თურქებით დაკომპლექტებული ინსტიტუტები აგრძელებდნენ ფუნქციონირებას (Lovell et al., 2016)

ბოსნიის შემთხვევაში, ათწლეულების მანძილზე გეგმური ეკონომიკის პირობებში მცხოვრები მოსახლეობისთვის დამოუკიდებლობის პირველ წლებში თავისუფალ საბაზრო პრინციპებთან ადაპტირება გაჭირდა. შესაბამისად, მნიშვნელოვნად დაეცა ეკონომიკური აქტივობის ინტენსივობა და გაიზარდა უმუშევრობა. პრობლემები გამოიწვია დასაქმების ბაზარზე კონკურენციის გაჩენამაც. მაშინ, როდესაც წლების მანძილზე სოციალიზმის პირობებში მცხოვრები მოსახლეობა შეგუებული იყო სამუშაო ადგილებზე განაწილებას ხელისუფლების ორგანოების მიერ (Magyar & Madlovics, 2020).

კვიპროსის ეკონომიკური სისტემა დამოუკიდებლობის პირველ ათწლეულში გეგმურ მოდელზე გადავიდა. ხელისუფლების მიერ გაწერილ ხუთწლედებში დასახული იყო წარმოებისა და ვაჭრობის მიზნები, რომლებიც მეტ-ნაკლები წარმატებით მუშაობდა

(Britanica, 2023). თუმცა, თავს იჩენდა პრობლემები, რომლებიც მხოლოდ კეთილდღეობის ზრდის დონეს არ უკავშირდებოდა.

მოდერნული საზოგადოება, ყველაფერ ზემოთ ხსენებულთან ერთად, რისკის საზოგადოებაცაა (გიდენსი, 1990). უკიდურესი შრომის დანაწილების შედეგად წარმოქმნილი სპეციალიზაცია და შრომის ბაზარზე მწვავე კონკურენციით ნაკარნახევი მუდმივი პროფესიული განვითარება სხვა საკითხების სიღრმისეული ცოდნის დროს არ ტოვებს. ამის გამო, ინდივიდს მისთვის არაპროფილური/არაპროფესიულ საკითხებზე არჩევანის გაკეთება ან მათი შესრულების პრეროგატივა საექსპერტო სისტემებზე აქვს დელეგირებული (არ ვიცით თვითმფრინავის მართვა, ამიტომ ვენდობით პილოტს და იმ სისტემას, რომელმაც პილოტს ნება დართო პილოტი გამხდარიყო).

აღნიშნული ნდობა არ არის სრულად არჩევითი (არჩევა მხოლოდ იმის შეგვიძლია, თუ ვის ვენდოთ, მაგრამ ვინმეს აუცილებლად უნდა ვენდოთ). ინდივიდებს იმ ადამიანების ან ინსტიტუტებისადმი ნდობა უწევთ, რომელთა მუშაობის შინაარსსა და სპეციფიკაზე, მათ სამუშაო განზომილებაზე, მხოლოდ ზედაპირული წარმოდგენა აქვთ. მიუხედავად ამისა, ეს სფეროები ორგანულად არის დაკავშირებული და დიდ წილად განსაზღვრავს მათ ყოველდღიურ ცხოვრებას.

შესაბამისად, ინდივიდი იმყოფება სიტუაციაში, როდესაც უწევს ბრმად ნდობა. „იძულებით“ ნდობაგადაცემული პოლიტიკური ინსტიტუციების ხანგრძლივი წარუმატებლობის შემთხვევაში (პირადად მის ან მის სოციალურ თუ ეთნიკურ ჯგუფთან მიმართებაში. რაც „ჯაგერნაუტის“ პირობებში ადვილად შესაძლებელია), სულ უფრო რთული და მისთვის უშინაარსო ხდება მსგავსი ინსტიტუტ(ებ)ისთვის ლეგიტიმურობის მინიჭება (წარუმატებლობა არ არის აუცილებელი ეკონომიკური იყოს, შეიძლება კულტურულ ან სამართლიანობის აღქმის საკითხებსაც ეხებოდეს). და ვინაიდან ხშირად სიღრმისეულად არ ესმის (რაც ნორმალურია თანამედროვე საზოგადოებისთვის) წარუმატებლობის შინაარსი, მარტივად გადასცემს ნდობის პოლიტიკურ მანდატს სხვას, ვინც შესაძლოა მისით პროვოცირებდეს. მსგავს

ვითარებაში ახლად აღმოჩენილი საზოგადოება დგას დეზორიენტაციის რისკის წინაშე.

ინსტიტუციები და დისციპლინური პრაქტიკები, რომლებიც ექსკლუზიურად ერთი ეთნიკური ნიშნით კონსოლიდირებული საზოგადოების ჩართულობით ფორმირდება, მნიშვნელოვან რისკს ატარებს სხვა ეთნოსების მხრიდან (შესაძლოა უსამართლოდაც. ამის მიზეზებს „ჯაგერნაუტის“ განმარტებისას შევეხეთ) მტრულად იყოს აღქმული. შრომის დანაწილებისა და მოდერნიზაციის კვალდაკვალ რისკებიც იზრდება. ის საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც აღნიშნულ პროცესის წარმართვის შინაარსს უზრუნველყოფენ, თუკი მხოლოდ ერთი ჯგუფის ინტერესს ითვალისწინებს (ეს პრობლემა არ წარმოადგენს მხოლოდ ეთნიკურობის საფუძველზე ფორმირებულ მარეგულირებელ პრაქტიკებს) საზოგადოების დანარჩენი წევრები არათანაბარ პირობებში ვარდებიან, რაც დაპირისპირების რისკის ობიექტური საფუძველი ხდება.

მოდერნული გარდაქმნის მუდმივი, შეუქცევადი და ბუნებრივი პროცესის პირობებში საზოგადოებას სოციუმის იმ ნაწილის შეითვისება უჭირს, რომელიც იგივე ტემპით ვერ ან არ გადის გარდაქმნას. სოციალური დინამიკის შესაბამისი მომწესრიგებელი პრაქტიკები, სულ უფრო მიუღებელი ხდება საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომელთა სოციალური რეფლექსია სხვა ჯგუფებში არსებულ განწყობების მსგავსი არ არის.

შესაბამისად, იმატებს ამ ჯგუფების გაუცხოების ალბათობა დანარჩენი საზოგადოების მიმართ და მომწესრიგებელ პრაქტიკებს აღიქვამენ, როგორც მაიძულებელს, რომლებშიც მათი ინტერესები გათვალისწინებული არ არის. შედეგად, პროცესის დინამიკა ორიენტირდება მდგომარეობისკენ, სადაც უმრავლესობას უმცირესობა მიაჩნია უცხო და განვითარების შემაფერხებელ ელემენტად, ხოლო უმცირესობას უმრავლესობა, - მარეპრესირებელი და მათი შთანთქმის მსურველ ძალად.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, მოდერნული საზოგადოება წარმოადგენდა მოდერნიზაციის პროცესზე და მის კომპონენტებზე (ინდუსტრიალიზაცია, შრომის დანაწილება, სეკულარიზაცია, მეცნიერების სოციალური როლის ზრდა,

რაციონალიზმის მნიშვნელობის ზრდა და სხვ.) პოზიტიურ რეფლექსიას, რომელიც მასში ჩართულ საზოგადოებებში სოციალური პრაქტიკების გარდაქმნით განხორციელდა. გარდაქმნა განიცადა მოდერნიზაციის პროცესში მყოფი სოციუმის ყველა ჯგუფმა, მათ შორის ეთნიკურმა ერთობებმა, რადგან ეს აუცილებელი წინაპირობა იყო კეთილდღეობის მუდმივი ზრდის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ვინაიდან მეცნიერების სოციალური როლის ზრდისა და შრომის დანაწილების მაღალი დონის გამო ცხადი იყო ურთიერთდამოკიდებულების რაციონალური სიკეთე, ყოფით დონეზე ეთნიკური თუ რელიგიური დიფერენციაცია უკანა პლანზე გადადიოდა. ამ ჯგუფების ინტერესები, რომლებიც იმპლემენტირებული იყო მომწესრიგებელ პრაქტიკებში, უპირველესად მიემართებოდა მთელი ქვეყნის საერთო ინტერესს - განვითარების და გაძლიერების უზრუნველყოფას. თუმცა, ის არ გამორიცხავდა ეთნიკური იდენტობის ქონას. აგრძელებდა რა ეკონომიკა განვითარებას და კეთილდღეობა ინკლუზიურად აისახებოდა საზოგადოების ყველა ფენაზე. ხოლო წარმატების შენარჩუნებისთვის აუცილებელი გარდაქმნები სოციალურ პრაქტიკებში ყველა ეთნიკური ჯგუფისთვის სასურველი და აუცილებელი ხდებოდა. შესაბამისად, ამ პროცესის უზრუნველმყოფელი დისციპლინარული პრაქტიკები წარმოადგენდნენ სოციუმის ყველა წევრის ინტერესთა ერთობლიობას და მათი რეკონსტრუირებაც ყველასთვის საერთო განვითარების ტენდენციის შესანარჩუნებლად ხდებოდა.

მსგავსი მიმართულების დინამიკაში მყოფი საზოგადოებებისთვის უცხო ჯგუფებად იდენტიფიცირდებოდა არა შესაბამის ეთნიკური კუთვნილების ერთობები, არამედ არამიანები, რომლებიც ეთნიკურობის მიუხედავად, საერთო პროცესში არ მონაწილეობდნენ. ისინი ნომინალურად წარმოადგენდნენ არა მტრებს, არამედ ინტეგრაციის სამიზნე ჯგუფს. მათი ინტეგრაცია საერთო სოციალურ სივრცეში პრიორიტეტული იყო როგორც საჭირო სამუშაო ძალის მობილიზებისთვის, ისე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

იქ, სადაც არ არსებობდა მოდერნიზაციის პირობებში წარმოქმნილი გარდაქმნის შესაბამისი სოციალური დინამიკა, საზოგადოების მოდერნული მოწყობის პრაქტიკა იძენდა ხელოვნურ ფორმას. შრომის მინიმალური დანაწილების პირობებში წარმოქმნილი არაორგანული სოლიდარობა ხელს უწყობდა მოსახლეობის ნაკლებ ურთიერთდამოკიდებულებას და კონკურენციის არაჯანსაღ ხასიათს, რომელიც გამოიხატება ნებისმიერი ფორმით ერთმანეთის დისკრიმინაციის მცდელობაში.

მიუხედავად იმისა, რომ ბოსნიასა და კვიპროსში (ისევე როგორც სხვა მსგავს, კონფლიქტის მქონე, სახელმწიფოთა აბსოლუტურ უმრავლესობაში) შრომის დანაწილებისა და მოდერნიზაციის თანამედროვე ტენდენციები დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდში არ არსებობდა, რისკის საზოგადოებისათვის დამახასიათებელი კრიზისი აქ სხვა ფორმით გამოვლინდა.

დამოუკიდებლობის მოპოვებამდე არსებული პოლიტიკური მმართველობის სტილი ამ ქვეყნებში თითქმის არ ითვალისწინებდა მოსახლეობის არჩევანს. შესაბამისად, როგორც ბოსნიაში - იუგოსლავიის, ისე კვიპროსში - ბრიტანული ხელისუფლების ლეგიტიმაცია მათ ძალასა და მართვის უნარს ემყარებოდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ თანამედროვე მმართველობის სტილის, მათ შორის, დემოკრატიული პრინციპების ეტაპობრივმა დანერგვამ, ამ სახელმწიფოთა მოსახლეობას მისცა არჩევანის უფლება, ხოლო სუვერენული სააგენტოების (პოლიტიკური ინსტიტუტების) ლეგიტიმაცია მათ ნდობას დაუკავშირდა (Ekiert, Kubik & Vachudova, 2007).

დემოკრატიული მმართველობის და მასში მონაწილეობის გამოცდილების არ მქონე საზოგადოებისათვის მსგავსი ტიპის რადიკალურმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა რისკისა და ნდობის საკითხი ახლად ჩამოყალიბებული პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ მანამდე არნახული სიმწვავით დააყენა. მათ მიენიჭათ არჩევანის შესაძლებლობა იმ სისტემების ფორმირების პროცესში, რომელთა ფუნქციონირების ხასიათისა და მიზნების შესახებ ნათელი წარმოდგენები არ ჰქონდათ. სრულიად განსხვავებულ პირობებში ჩამოყალიბებული საზოგადოება მიდრეკილი იყო

ეაზროვნა დიქოტომიურად (მტერი-მეგობრის პარადიგმაში). კარგი მმართველობის შესახებ მათი წარმოდგენა დაკავშირებული იყო ძალაზე დაფუძნებულ სუვერენულ სააგენტოებთან, რაც ართულებდა პოლიტიკური პლურალიზმის რეალიზებას და მარეგულირებელ პრაქტიკებში მაქსიმალური რაოდენობის ინტერესთა ჯგუფების შეხედულებათა ინტეგრაციას. ახლად წარმოქმნილი უცხო ვითარება ხელს უწყობდა საზოგადოების დეზორიენტირებას და პოლიტიკური ანომიის წარმოქმნას.

როდესაც თანამედროვე რეალობა გაურკვეველია, რაკი ადამიანი მიდრეკილია გაიგოს მის გარშემო არსებული ვითარება, ნებით თუ უნებლიედ, კომპლექსური რეალობის გააზრებას (თავად ან ჯგუფის ლიდერი საშუალებით) მისთვის უკვე ნაცნობ კატეგორიებში ცდილობს. მსგავს კატეგორიებს ნებისმიერ კულტურაში წარმოადგენს არქეტიპული წარმოდგენები, რომლებიც სოციუმის ისტორიული გამოცდილებას და მითო-სიმბოლურ ღირებულებათა კომპლექსს ეფუძნება. მრავალეთნიკურ საზოგადოებაში თანამცხოვრები ეთნოსების ისტორიული გამოცდილება რომელიმე, თუნდაც, შორეულ ეტაპზე, ერთმანეთის მიმართ, როგორც წესი, ნეგატიურ შემთხვევებსაც შეიცავდა. ისევე, როგორც ურთიერთგამომრიცხავ წარმოდგენებს ისტორიის შესახებ. პოლიტიკური გაურკვევლობის ფონზე, თანამედროვე მოვლენების კონცეპტუალიზაცია არქეტიპული წარმოდგენების მიხედვით ანტაგონისტური განწყობებისთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის. ხოლო სხვა ხელისშემწყობი პირობების არსებობის შემთხვევაში დაპირისპირების ესკალაციის მნიშვნელოვან რისკს ატარებს.

თუკი ორივე სახელმწიფოს დამოუკიდებლობის პირველი წლების სოციო-პოლიტიკურ განვითარებებში საერთო მახასიათებლებს განვსაზღვრავთ, ნიშანდობლივია ერთ ასპექტი: დამოუკიდებლობამდე არსებული ტოტალიტარული მმართველობა, საზოგადოებებისთვის შეგვიძლია განვიხილოთ როგორც ერთგვარი კოლბა, რომელშიც პროცესები გარე ზემოქმედებისგან იზოლირებულად, სტერილურ გარემოში მიმდინარეობდა. მნიშვნელოვანი შიდა განვითარებები მხოლოდ „ექსპერიმენტატორი“ (მმართველის) კონკრეტული მიზნებით განხორციელებული

ინტერვენციების ან შეცდომების შედეგად ხდებოდა. ხოლო როდესაც დადგა დრო აღნიშნული რეჟიმების დასასრულისა, როგორც ბოსნიის, ისე კვიპროსის მოსახლეობა თავისუფალ პირობებში ცხოვრებისთვის დიდწილად უუნარო და შესაბამისი იმუნიტეტის არ მქონე აღმოჩნდა. პოლიტიკური თუ სოციალური ნორმები, რომელთა აღსრულება მანამდე უზრუნველყოფდა საზოგადოების წევრთა ფიზიკურ გადარჩენას, კეთილდღეობას თუ თვითრეალიზაციას, აღმოჩნდა სრულიად შეუსაბამო დემოკრატიულ ღირებულებებთან.

5.5 ეთნიკური მრავალფერონვების საკითხი პოლიტიკური ანომიის პარადიგმაში

ნაშრომის ფარგლებში ჩატარებულმა აგრეგირებულ მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ იმ სახელმწიფოებში, სადაც ნებისმიერი სახის შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტი მოხდა, საშუალოდ ეთნიკურ უმცირესობათა პროცენტული რაოდენობა საზოგადოებაში 41%-ია. ხოლო სახელმწიფოებში, სადაც შეიარაღებული კონფლიქტი ეთნიკურ ნიადაგზე მოხდა (მსგავსი სახელმწიფოები შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტის მოქონე ქვეყნების 52%-ს შეადგენენ), ეთნიკური უმცირესობის ხვედრითი წილი საშუალოდ 40%-ი იყო.

მიღებულმა შედეგებმა გააჩინა ბუნდოვანება ეთნიკური უმცირესობის რაოდენობის, როგორც შესაძლო კონფლიქტის განმაპირობებელთან მიმართებით. რა განაპირობებდა საშუალოდ, თითქმის თანაბარი ეთნიკური უმცირესობის მქონე სახელმწიფოებში სხვადასხვა ხასიათის (ზოგან ეთნიკურის, ზოგან სხვა ტიპის) შეიარაღებულ დაპირისპირებას?

მიღებული შედეგებიდან ცხადია, რომ ეთნიკური უმცირესობის პროცენტული რაოდენობის ზრდის და შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტის ალბათობის კორელაცია მაღალია. ამას აჩვენებს გამოკვლეული კონფლიქტების უმრავლესობაში ეთნიკური კომპონენტის არსებობა (52%-ში). იგივე დასკვნას არგუმენტად ემატება

37%-ზე მეტი ეთნიკური უმცირესობის მქონე იდენტიფიცირებულ 34 სახელმწიფოდან 25-ში შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტის არსებობა. მიახლოებითი ოპერაციონალიზაციით ეს მონაცემები 74%-იან ალბათობაზე მიუთითებს.

არაერთი მრავალეთნიკური სახელმწიფოს მშვიდობიანი განვითარების მაგალითი ცხადყოფს, რომ ჯგუფისა თუ პიროვნების საკუთარ იდენტობაზე წარმოდგენა, აპრიორულად არ შეიცავს კონფლიქტის საფუძველს (იშვიათი გამონაკლისები გარდა, როდესაც, მაგალითად, რომელიმე მარგინალურ ფუნდამენტალისტთა ჯგუფში მათი რელიგიური იდენტობა სხვების წინააღმდეგ ბრძოლის იგივეობრივია).

იყო მუსლიმი ან ქრისტიანი, ქურთი ან პალესტინელი არაბი, თავისთავად არ გულისხმობს ვინმეს მიმართ კონფლიქტში ყოფნას. ამის მაგალითებია ქურთული წარმომავლობის სასულიერო პირთა სოლიდური რაოდენობა ირანის ისლამური სახელმწიფოს თეოკრატიულ სისტემაში და არაბული პარტიების ყოფნა ისრაელის ქნესეთში, რომელთაგან ერთ-ერთი 2021 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ისრაელის რიგით ოცდამეთექვსმეტე სამთავრობის კოალიციაში შედიოდა.

ამასთან ერთად, მოცემულ ნაშრომში განხორციელებული მონაცემთა ანალიზი მიუთითებს, რომ თუკი ოთხმოცდასამი შემთხვევიდან 52%-ში კონფლიქტში მონაწილეთა მობილიზაციის განმსაზღვრელი ეთნიკური იდენტობა იყო, 70%-მდე კონფლიქტის მქონე სახელმწიფოებში მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 1000 ამერიკულ დოლარს არ აღემატებოდა (ცხრილი #3), რაც ეკონომიკურ პრობლემებსა და შეიარაღებულ სამოქალაქო კონფლიქტს შორის მაღალი ალბათობის კაუზალობაზე მეტყველებს. იგივე მონაცემებს ვხედავთ ადამიანური განვითარების ინდექსის შემთხვევაში, რომელიც შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტის მქონე სახელმწიფოებში სტაბილურად დაბალია.

შესაბამისად, ეთნიკურ ჯგუფებს შორის კონფლიქტის მიზეზი (რომელშიც ეთნიკური განსხვავებაც გარკვეულ როლს უდავოდ თამაშობს), ხდება ისეთი ტიპის სოციო-პოლიტიკური ვითარება, რომელიც ვერ ახერხებს (ძალით ან ლეგიტიმაციის სიმყარით) განსხვავებული ინტერეს-ჯგუფების კონსოლიდაციას საერთო

პოლიტიკურ სისტემაში. აღნიშნული ვითარების ყველა მახასიათებელს შეიცავს რადიკალური პოლიტიკური ცვლილებებით გამოწვეული საზოგადოებისა და მათი პოლიტიკური ელიტის ანომია. რომლის კატალიზატორიც ჩვენი საკვლევი პერიოდის შემთხვევაში სახელმწიფოს თანამედროვე მართვის სტილის დანერგვა იყო მისი წარმატებით განხორციელებისთვის საჭირო სოციო-ეკონომიკური წინაპირობების არსებობის გარეშე.

აქვე უნდა აღნიშნოს, რომ, ზოგადად, პოლიტიკური ანომიის წარმოქმნის ერთადერთ მიზეზად მოდერნულობა ვერ ჩაითვლება. პოლიტიკური ანომიის შესაძლო გამომწვევ ფაქტორად მოდერნულობას მხოლოდ განსაზღვრულ, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, პერიოდში განვიხილავთ.

ის კონფლიქტის თეორიებიც, რომლებიც წინამდებარე მსჯელობის დროს განვიხილეთ, ორიენტირებულნი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე არიან, რომელიც თავის მხრივ ითვლება მოდერნული აზროვნების ყველაზე ფართო გავრცელების პერიოდად. არცერთი მათგანი მაგალითის სახით არ იყენებს შემთხვევას, რომელიც მეოცე საუკუნის დასაწყისში ან მეცხრამეტე საუკუნეში მოხდა.

როგორც კვიპროსისა და ბოსნიის შემთხვევაშიც განვიხილეთ, დამოუკიდებლობის პირველ წლებში, სხვა შესაძლებლობის არ არსებობის გამო, ეთნიკურ მდგენელზე განხორციელებული ჰომოგენიზაციას შედეგად მოჰყვა თანამედროვე სახელმწიფოსთვის აუცილებელი, იმგვარი სუვერენული სააგენტოებისა და მარეგულირებელი პრაქტიკების ფორმირება, რომლებიც საყოველთაო ლეგიტიმაციით არ სარგებლობდნენ. არც იმ ტიპის რესურსი და მენეჯმენტის შესაძლებლობა გააჩნდათ, რომლითაც მთელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესაძლო ქაოსს მართავდნენ. მარეგულირებელი პრაქტიკები კი ცალკეულ ჯგუფებში საკუთარი იყო, სხვა ეთნოსების ჩართულობისა და გათვალისწინების გარეშე შექმნილი. რაც დანარჩენი საზოგადოების ინტერესების, ღირებულებათა სისტემის და ცხოვრების წესის მიმართ გაუცხოებას იწვევდა.

დისციპლინური პრაქტიკების მიმართ უკმაყოფილება ცალკეული ჯგუფების მხრიდან არ ნიშნავს აპრიორულად დავის ობიექტთა უსამართლობას ან სიცუდეს. კონფლიქტის მიზეზი შესაძლოა დანარჩენი საზოგადოების სუბიექტური დამოკიდებულებაც გახდეს. თუ რატომ შეიძლება საზოგადოებაში უმრავლესობაში მსგავსი განწყობების ფორმირება, ამ საკითხს ფართოდ შევეხეთ „უცხოს“ ფენომენის განხილვის დროს.

ანომიურ კონდიციაში მყოფი საზოგადოებისთვის, ერთგვარი ადაპტაციური მექანიზმია, დროში გამოცდილი და ხანგრძლივად არსებული სოციალური პრაქტიკები გაუგებარი სიახლეების საპირისპიროდ და ალტერნატივად აღიქვას. იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოება მრავალეთნიკურია, მსგავს პრაქტიკათა სისტემებიც (ტრადიციები) ჯგუფებს განსხვავებული აქვთ. როგორც ადრეც აღვნიშნეთ, არქეტიპული შეხედულებები და ისტორიული მეხსიერება სხვა კულტურებთან კოორდინაციასა და კონსოლიდაციას შესაძლოა, გამორიცხავდნენ. შესაბამისად, თანამედროვე ერი სახელმწიფოს ფორმირებისთვის კრიტიკული წინაღობები ჩნდება. შესაბამისი, პირობების არსებობის შემთხვევაში კი შეიარაღებულ კონფლიქტად ესკალაციის საფრთხე ირდება.

ჰეჩტერი (1975) აღნიშნავს, რომ რომელიმე კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის და სოციალური ფენის ხაზები ერთმანეთს თითქმის არასდროს ემთხვევა. შესაბამისად, ეთნიკური ჯგუფების მიმართ მომწესრიგებელი პრაქტიკების მასიურად დიფერენცირებული მიდგომა სოციო-ეკონომიკურ კონტექსტში იშვიათია. ამასვე ადასტურებს კონფლიქტური ქვეყნების 70%-ში სიღარიბე და თითოეულ ეთნიკური კონფლიქტის მქონე ქვეყანაში საშუალოდ 40%-ი ეთნიკური უმცირესობის არსებობა.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ განხილული არგუმენტებიდან გამომდინარე, ეთნიკურობას კონფლიქტის ფაქტორად ის სოციო-პოლიტიკური ვითარება აქცევს, რომელიც, ჩვენი საკვლევი პერიოდის სახელმწიფოებში რადიკალური ცვლილებების შედეგად შეიქმნა. ვითარების მსგავსი ტრანსფორმაციები უმეტესწილად დამოუკიდებლობის მოპოვებას უკავშირდებოდა. თუმცა, იგივე პირობების შექმნა დამოუკიდებლობის მქონე სახელმწიფოში სწრაფი და დიამეტრულად

განსხვავებული პოლიტიკური ვითარების წარმოქმნისასაც შესაძლებელია (რუსეთი 1900-იან წლებში; ლიბია 2012 წლის შემდეგ და ა.შ.).

მსგავს შემთხვევებში ქაოსი გამოიხატება სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ზრდაში, რაც უბიძგებს საზოგადოებას საკუთარ ინტერესთა ხორცშესხმის შესაძლებლობა უფრო მცირე ჯგუფებში გაერთიანებით ეცადონ. მსგავსი ჯგუფების წარმოქმნა მარტივდება „უცხოს“ ტიპის ერთობებში, რადგან ისინი უკვე განიცდიან გარკვეული სახის დეიდენტიფიკაციას დანარჩენი სოციუმისგან. შესაბამისად, იქმნება კონფლიქტის ესკალაციისთვის საჭირო მომენტუმი.

VI. დასკვნა

მრავალეთნიკურ საზოგადოებაში შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტის წარმოქმნის ისეთი საერთო წინაპირობის ძიებამ, რომელიც როგორც ფსიქო-სოციალურ, ისე ეკონომიკურ და გარე ზემოქმედების მიზეზებს გააერთიანებდა, გამოავლინა ასპექტები, რომლებსაც ყველაზე მეტად პოლიტიკური ანომიის კონცეფცია აერთიანებს. რადიკალური პოლიტიკური ცვლილებების პროცესში მყოფი საზოგადოებები, რომელთა სახელმწიფოებში მართვის აწინდელი ნორმები აღარ მნიშვნელობდნენ, ხოლო ახალი პრინციპების ცოდნა და ლეგიტიმაცია მინიმალური იყო, ვარდებოდნენ დეზორიენტირებული მდგომარეობაში. რაც იწვევდა სუბ-საზოგადოებების წარმოქმნას გაერთიანებულთ უფრო მყარი, ისტორიულად გამოცდილი მდგენელების გარშემო, ვიდრე მოქალაქეობაა (ეთნოსი, რასა, კლანი, რეგიონი და ა.შ.). ფრაგმენტირებულ საზოგადოებას კი მინიმუმამდე უმცირდებოდა როგორც გარე ზეგავლენის მიმართ მედეგობა, ისე წარმატებული ეკონომიკური აქტივობის შესაძლებლობა.

ნაშრომის ფარგლებში ჩატარებულმა ტენდენციის ანალიზმა აჩვენა, რომ სამოქალაქო შეიარაღებული კონფლიქტების მატება საერთაშორისო პოლიტიკაში მნიშვნელოვან ცვლილებებსა და მის შემდგომ წლებს ემთხვეოდა. ამასთან ერთად, როგორც ბოსნიისა და კვიპროსის, ისე აგრეგირებული მონაცემთა ანალიზის სხვა კვლევის ობიექტ სახელმწიფოების შემთხვევაში, კონფლიქტური ვითარებების წარმოქმნა ქვეყნის რადიკალურ პოლიტიკურ გარდაქმნებს უკავშირდებოდა. რიგ შემთხვევაში აღნიშნული ცვლილება გულისხმობდა დამოუკიდებლობის მოპოვებას (საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკები, იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკები, აფრიკის სახელმწიფოები 1960-იანი წლების შემდგომ და ა.შ.). სხვა შემთხვევაში, პოლიტიკური მმართველობის დიამეტრულ ცვლილებებს (ეთიოპია და სომალი ცივი ომის შემდგომ ეპოქაში, ჩილე 1962 წლის გადატრიალების შემდგომ და ა.შ.).

რადიკალური ცვლილებები დაკავშირებული იყო საერთაშორისო პოლიტიკურ სტრუქტურასთანაც. მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის საერთაშორისო ინსტიტუტები

ისეთ მოდერნულ პრინციპებზე იდგა, როგორებიცაა ისტორიციზმიდან დისტანცირება, წესრიგისა და ზედამხედველობის უზრუნველყოფა, პრეტენზია უნივერსალური ცოდნის შექმნასა და გავრცელებაზე, სეკულარიზმი. გლობალური პოლიტიკის ყველაზე გავლენიან სუბიექტებში აღნიშნული პრინციპების დანერგვას (ჯერ ეროვნულ, შემდეგ საერთაშორისო დონეზე), წინ უსწრებდა მოდერნიზაციისა და მეცნიერების განვითარების საფუძველზე შესაბამისი სოციო-ეკონომიკური წინაპირობების არსებობა. წინაპირობები ზოგან ლიბერალური დემოკრატიის პრინციპების დაცვით ხანგრძლივად, ზოგან ავტორიტარული მმართველობის საშუალებით სწრაფად და ძალისმიერად ხდებოდა.

საერთაშორისო სისტემებში ინტეგრაციის მსურველ ახლად წარმოქმნილ სახელმწიფოებს, მსგავსად ჩვენს მიერ განხილული ბოსნიისა და კვიპროსისა, აღნიშნული პრინციპები პოლიტიკურ მმართველობაში უნდა დაენერგათ იმ საზოგადოებებში, რომლებშიც მსგავსი სოციო-ეკონომიკური წინაპირობები არ არსებობდა.

შესაბამისად, ბოსნიისა და კვიპროსის მსგავს ქვეყნებში მოდერნული პროექტის განხორციელება მოხდა ზევიდან-ქვევით. არსებული ეკონომიკური ინტეგრაციის დონე და საზოგადოების სამოქალაქო თვითაღქმა კულტურულად და ეთნიკურად ნეიტრალური ჰომოგენიზაციის განხორციელების შესაძლებლობას არ ქმნიდა. აღნიშნულმა ხელი შეუწყო პირველ ეტაპზე დეზინტეგრაციას, ხოლო შემდგომ ჯგუფური მობილიზაციისა და დევიაციის პროცესს. მოსახლეობის მსგავსი დანაწევრება შეიარაღებული კონფლიქტის წარმოქმნისთვის აუცილებელი გარემოს ფორმირებაში ერთ-ერთ კრიტიკულ კომპონენტს შეადგენდა.

აღნიშნული მოცემულობის გათვალისწინებით, ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის ანალიზი ეხმიანება ზიგმუნდ ბაუმანის (2002) მიერ გამოთქმულ მოსაზრებას: ჯგუფების მიერ განხორციელებული ძალადობა, მისი ისეთი უკიდურესად მძიმე გამოვლინებების ჩათვლით, როგორიცაა გენოციდი, იყო არა არაკონტროლირებადი ემოციის გამოვლინება ან ირაციონალური ქმედება, არამედ მოდერნული ლოგიკის კანონზომიერი შედეგი.

მოცემული ნაშრომის ამოცანის კონტექსტში დაზუსტების სახით შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო მოდერნული ლოგიკის რეალობაში ხორცშესხმის შედეგი იმ საზოგადოებებში, რომლებშიც მოდერნულობას სათანადო რეალიზებისთვის აუცილებელი და შესაბამისი კულტურული, სოციალური და ეკონომიკური წინაპირობები არ არსებობდა და ამის გამო კრიტიკულ პოლიტიკურ და სოციალურ ანომიას განიცდიდნენ.

პოლიტიკური ანომიის ტრანსფორმაცია შეიარაღებულ დაპირისპირებად წესრიგის მაკონსტრუირებელი სუვერენული სააგენტოებისა და მომწესრიგებელი პრაქტიკების ურთიერთმიმართების მიხედვით შესაძლოა სხვადასხვა სახელმწიფოში განსხვავდებოდეს.

კვლევამ აჩვენა ისიც, რომ პოლიტიკური ანომიის არსებობის მიუხედავად, კონფლიქტის შეიარაღებულ დაპირისპირებამდე ესკალაცია შესაბამისი დემოგრაფიული და გეოგრაფიული პირობების გარეშე არ მოხდება. თუ აღნიშნული პირობები არ არსებობს, კონფლიქტური რეგიონის იზოლაცია მარტივდება და დაპირისპირება რესურსებისა და წამგებიანი სამხედრო მდებარეობის გამო სწრაფად სრულდება.

ნაშრომის ფარგლებში ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ მრავალეთნიკური საზოგადოება იმდენად შეიცავს კონფლიქტის ესკალაციის პოტენციალს, რამდენადაც შესაბამისი პირობები და გარემოებები ქმნიან ამის შესაძლებლობას. საკვლევი დროის ინტერვალში ყველაზე გავრცელებული საერთო ფაქტორი რადიკალური ცვლილებებით გამოწვეული პოლიტიკური ანომია იყო. პოლიტიკური ანომია განსხვავებულ სოციო-პოლიტიკურ ნიადაგზე განსხვავებული ხასიათითა და დროის ინტრვალით ტრანსფორმირდებოდა ეთნიკურ თუ სხვა სახის კონფლიქტად, თუკი მობილიზაციისა და რესურსებზე წვდომისათვის შესაბამისი, არაკონსტრუირებადი, პირობები არსებობდა.

ბიბლიოგრაფია

The UN Refugee Agency. (2020). *GLOBAL RESETTLEMENT NEEDS.* Geneva: United Nations Organization.

Abashidze, Z., & Ananeishvili, G. (2023). International Armed Conflicts in the Final Stage of the Cold War (1975-1990) and Subsequent Period (1991-2005). *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, vol. 17, no. 4.*, 184-190.

Allcock, J. B., & Lampe, J. R. (2023, November 15). *Yugoslavia.* Retrieved from Encyclopedia Britannica: https://www.britannica.com/place/Yugoslavia-former-federated-nation-1929-2003.

Assmussen, J. (2008). *Cyprus At War : Diplomacy And Conflict During The 1974 Crisis.* New York, NY: I.B.Tauris & Co Ltd.

Bader, S. A., & Ianchovichina, E. (2017). *Polarization, Foreign Military Intervention and Civil Conflict.* Washington: World Bank Group. Middle East and North Africa Region Office of the Chief Economist.

Bar-Siman-Tov, Y. (1984). The Strategy of War by Proxy. *Cooperation and Conflict, 19, XIX*(No. 4 (1984), pp. 263-273), 263 - 273.

Bauman, Z. (1993). *Modernity and Ambivalence.* Cambridge: Polity.

Bauman, Z. (2002). *Modernity and the Holocaust.* Ithaca, New York: Cornell University Press.

Blattman, C., & Miguel, E. (2010). Civil War. *Journal of Economic Literature, Vol. 49, No. 1*, 3-57.

Brass, P. R. (1974). *Language, Religion and Politics in North India.* Cambridge: Cambridge University Press.

Cerulo, K. A. (1997). Identity Construction: New Issues, New Directions. *Annual Review of Sociology Vol. 23*, 385-409.

Collier, P. (2000). Ethnicity, Politics and Economic Performance. *ECONOMICS & POLITICS*, 225-245.

Collier, P., & Hoeffler, A. (1998). On economic causes of civil war. *Oxford Economic Papers 50*, 563-573.

Collier, P., & Hoeffler, A. (2004). Greed an Grievance in Civil War. *Oxford Economic Papers 54*, 563-595.

Collier, P., Elliott, V. L., Hegre, H., Hoeffler, A., Reynal-Querol, M., & Sambanis, N. (2003). *Breaking the Conflict Trap : Civil War and Development Policy.* Washington, DC: World Bank and Oxford University Press.

Connor, W. (1994). *Ethnonationalism: The Quest for Understanding.* Princeton, NJ: Princeton University Press.

Conversi, D. (1995). Reassessing Current Theories of Nationalism. *Nationalism and Ethnic Politics 1.1*, 73-85.

Csergő, Z. (2007). *Talk of the Nation: Language and Conflict in Romania and Slovakia.* Ithaca, NY: Cornell University Press.

Dawisha, A. (2002). Nation and Nationalism: Historical Antecedents to Contemporary Debates. *International Studies Review*, 3-22.

De Figueiredo, R. J., & Weingast, B. R. (1999). Rationality of Fear: Political Opportunism and Ethnic Conflict. In W. B. F, & J. Snyder, *Civil Wars, Insecurity, and Intervention* (pp. 261-302). New York City: Columbia University Press.

de Soysa, I. (2017). *Proxy Wars: Implications of Great-power Rivalry for the Onset and Duration of Civil War.* Trondheim: Dept. of Political Science and Sociology Norwegian University of Science and Technology (NTNU).

De Vera, D. E. (2007). *Indigenous Peoples in the Philippines.* Hanoi: Philippine Association for Intercultural Development.

Demény, G. (2011). Factors of Socio-Economic Uncertainty in the Bosnian War . *MICROCON Research Working Paper No. 44*, 1-26.

Devetak, R. (1995). The Project of Modernity and International Relations Theory. *Journal of International Studies*, Vol. 24, No 1, pp. 27-51.

Djankov, S., & Reynal-Querol, M. (2007). *The Causes of Civil War.* Washington, D.C: World Bank Policy Research Working Paper 4254.

Dodd, C. (2010). *The History and Politics of the Cyprus Conflict.* London: Palgrave Macmillan.

Durkheim, E. (1893/1960). *The Division of Labor In Society .* Glencoe, IL: The Free Press of Glencoe, Illinois.

Durkheim, É. (2005). *Suicide.* London: Routledge.

Dzenovska, D. A. (2009). *Provoking Tolerance: History, Sense of Self, and Difference in Latvia.* Berkeley: University of California.

Ekiert, G. (2015). Three Generations of Research on Post Communist Politics—A Sketch. *East European Politics and Societies, 29 (2)*, 323–337.

Ekiert, G., Kubik, J., & Vachudova, M. A. (2007). Democracy in the Post-Communist World: An Unending Quest? . *East European Politics and Societies, 21(1),*, 7–30.

Ellingsen, T. (2000). Colorful Community or Ethnic Witches' Brew? Multiethnicity and Domestic Conflict during and after the Cold War. *The Journal of Conflict Resolution 4.1*, 228-249.

Fearon, J. D., & Laitin, D. D. (2014). Does contemporary armed conflict have “deep historical roots”? *American Political Science Association Annual Meeting* (pp. 1-43). Washington, DC: American Political Science Association.

Floros, K. M. (2009). Bringing Back the State: The Role of Government in Civil Conflict. *International Studies Review, Vol. 11, No. 4*, 795–798.

Foreign affairs, Defense, and Trade Division. (2000). *CRS Report for Congress.* Washington, DC: Congressional Research Service.

Gaddis, J. L. (1994). *The United States and the End of the Cold War: Implications, Reconsiderations, Provocations.* Oxford, NY: Oxford University Press.

Galtung, J. (1967). *THEORIES OF PEACE - A Synthetic Approach to Peace Thinking.* Oslo: International Peace Research Institute.

Galván, J. A. (2012). *Latin American Dictators of the 20th Century: The Lives and Regimes of 15 Rulers.* Jefferson, NC: McFarland & Company.

Gellner, E. (1983 (2006)). *Nations and Nationalism.* Oxford: Blackwell.

Giddens, A. (1990). *The Consequences of Modernity.* Oxford: Polity Press in association with Basil Blackwell.

Gleditsch, N. P., Wallensteen, P., Eriksson, M., Sollenberg, M., & Strand, H. (2002). Armed Conflict 1946-2001: A New Dataset. *Journal of Peace Research, 39*, 615-637.

Gurr, T. R. (1993). Peoples against states: Ethno-political conflict and the changing world system. *Internationa Studies Quarterly, 38*, 347-377.

Gurr, T. R. (1994). *Minorities at risk.* Washington, DC: U.S. Institute of Peace .

Hadjipavlou, M. (2007). The Cyprus Conflict: Root Causes and Implications for Peacebuilding. *Journal of Peace Research, Vol. 44, No. 3 (*, 349-365 .

Harbom, L., Melander, E., & Wallensteen, P. (2008). Dyadic Dimensions of Armed Conflict, 1946-2007. *Journal of Peace Research, 45*, 697-710.

Hardin, R. (1997). *One for All: The Logic of Group Conflict.* Princeton, NJ: Princeton University Press.

Hechter, M. (1975). *Internal Colonialism: The Celtic Fringe in the British National Development, 1536-1966.* Berkeley: University of California Press.

Heraclides, A. (1990). Secessionist Minorities and External Involvement. *International Organization Vol. 44 (3)*, 341–378.

Heydari, A. T. (2012). Relationship between socioeconomic status, anomie, and authoritarianism. *Journal of Social Sciences and Humanities, 7(1)*, 1-12.

Horowitz, D. (1985). *Ethnic groups in conflict.* Berkeley: University of California Press.

Horowitz, D. L. (1998). *Structure and Strategy in Ethnic Conflict.* Washington: World Bank Publications.

Horowitz, D. L. (2001). *Ethnic Groups in Conflict.* Oakland, California: University of California Press.

Huntington, S. P. (1966). Political Modernization: America vs. Europe. *World Politics, Vol. 18, No. 3* , 378-414.

Inkeles, A., & Smith, D. H. (1999 (1974)). *Becoming Modern: Individual Change in Six Developing Countries.* Cambridge: Harvard University Press.

Ionescu, O., Tavani, J., & Collange, J. (2021). Political Extremism and Perceived Anomie: New Evidence of Political Extremes' Symmetries and Asymmetries Within French Samples. *International Review of Social Psychology, 34(1)*, 1-16.

Jeong, H. W. (2010). *Conflict Management and Resolution.* New York: Routledge .

Jesse, N. G., & Williams, K. P. (2011). *Ethnic Conflict: A Systematic Approach To Cases of Conflict.* Washington: CQ Press.

Karčić, H. (2022). History of Ethnic Relations in Bosnia and Herzegovina. In H. Karčić, *Torture, Humiliate, Kill: Inside the Bosnian Serb Camp System* (pp. 10-29). Ann Arbor, MI: University of Michigan Press.

Kaufman, S. J. (2001). *Modern Hatreds: The Symbolic Politics of Ethnic War.* Ithaca, NY: Cornell University Press.

Kaufman, S. J. (2006). Symbolic Politics or. *International Security, Vol. 30, No. 4*, 45–86.

Kaufman, S. J. (2010). Ethnicity as a generator of conflict. In K. Cordell, & S. Wolff, *Routledge Handbook of Ethnic* (pp. 91-102). London: Routledge.

Knott, E. (2019). Strategy, Identity or Legitimacy? Analysing Engagement with Dual Citizenship from the Bottom-up. *Journal of Ethnic and Migration Studies 45 (6)*, 994–1014.

Lacina, B., & Gleditsch, N. P. (2005). Monitoring Trends in Global Combat: A New Dataset of Battle Deaths. *European Journal of Population* , 145–166 .

Lake, D. A., & Rothchild, D. (1988). *The International Spread of Ethnic Conflict: Fear, Diffusion, and Escalation.* Princeton NJ: Princeton University Press.

Lickel, B., Hamilton, D. L., & Sherman, S. J. (2001). Elements of a lay theory of groups: Types of groups, relational styles, and the perception of group entitativity. *Personality and Social Psychology Review 5*, 129-140.

Linklater, A. (1998). *The Transformation of Political Community: Ethical Foundations of the Post-Westphalian Era (Studies in International Relations).* Columbia, South Carolina: University of South Carolina press.

Lovell, D. W., Kontos, M., Nicolini, M., & Warner, J. (2016). New Perspectives on the Cyprus. In J. Warner, D. W. Lovell, & M. Kontos, *Contemporary Social and Political Aspects of the Cyprus Problem* (pp. 1-15). Newcastle upon Tyne, UK: Cambridge Scholars Publishing.

Lyotard, J.-F. (1979 (1984)). The Postmodern Condition: A Report on Knowledge. *Theory and History of Literature, Vol. 10*, 1-110.

Magyar, B., & Madlovics, B. (2020). *The Anatomy of Post-Communist Regimes.* Budapest: Central European University Press.

McCracken, J. (1998). BLANTYRE TRANSFORMED: CLASS, CONFLICT AND NATIONALISM IN URBAN MALAWI. *Journal of African History* , 247-269.

Merton, R. K. (1968). *Social Theory and Social Structure.* New York: The Free Press .

Newman, S. (1991). Does Modernization Breed Ethnic Conflict? *World Politics 43:3*, 451-478.

O'Leary, B. (2018, August 16). *Instrumentalist Theories of Nationalism.* Retrieved from ResearchGate: https://www.researchgate.net/

Ortiz de Zárate, V. V. (2003). Terrorism and Political Violence during the Pinochet Years: Chile, 1973–1989. *Radical History Review*, 182-190.

Pearce, J. (1998). From civil war to 'civil society': has the end of the Cold War brought peace to Central America. *International Affairs, 74*, 587-615.

Pettersson, T., & Wallensteen, P. (2015). Armed conflicts, 1946–2014. *Journal of Peace Research, 52(4)*, 536–550.

Phuntsho, K. (2013). *The History of Bhutan.* London: Haus Publishing .

Posen, B. R. (1993 (2008)). The security dilemma and ethnic conflict. *Global Politics and Strategy*, Pages 27-47.

Primordialism, Evolutionary Theory and Ethnic Violence in the Balkans: Opportunities and Constraints for Theory and Policy. (2000 Vol. 33, No. 1). *Canadian Journal of Political Science*, 37-65.

Riggs, F. W. (1998). The Modernity of Ethnic Identity and Conflict. *International Political Science Review, 19 (3)*, 269–288.

Sambanis, N., Reynal-Querol, M., Elliott, L., Hoeffler, A., & Hegre, P. C. (2003). *Breaking the Conflict Trap: Civil War and Development Policy.* New York: World Bank Publications.

Schelling, T. C. (1980). *The Strategy of Conflict .* Cambridge: Harvard University Press.

Skidmore, D. (1994). Carter and the Failure of Foreign Policy Reform. *Political Science Quarterly, Vol. 108, No. 4*, 699-729.

Smith, A. D. (1991). *The Ethnic Origins of Nations.* Hoboken, NJ: Wiley-Blackwell.

Sprong, S. J. (2019). “Our country needs a strong leader right now”: Economic inequality enhances the wish for a strong leader. *Psychological Science, 30(11)*, 1625–1637.

Stankunas, M., Lindbert, J., Avery, M., & Sorensen, R. (2013). Suicide, recession and unemployment. *The Lancelet, 381* , 721.

Stavrou, M. (2009). *Resolving The Cyprus Conflict - Negotiating History.* London, UK: Palgrave Macmillan.

Stergiou, A. (2017). The History of Cyprus. In *The Middle East and North Africa* (pp. 155-194). New York, NY: Routledge.

Tang, S. (2011). The security dilemma and ethnic conflict: toward a dynamic and integrative theory of ethnic conflict. *Review of International Studies 37*, 511-536.

The Institute for Economics and Peace (IEP). (2015). *The Global Peace Index.* Sydney/New York/Mexico city: The Institute for Economics and Peace (IEP).

Thorlindsson, T., & Bernburg, J. G. (2004). Durkheim's Theory of Social Order and Deviance: a Multi-level Test. *European Sociological Review, Vol. 20 (4)*, 271–285.

Tilly, C. (1978). *From mobilization to revolution. .* New York: Random House.

Toft, M. D. (2003). *The Geography of Ethnic Violence: Identity, Interests, and Indivisibility of Territory.* Princeton, N.J: Princeton University Press.

United States Central Intelligence Agency. (2023, August 23). *(1995) Dayton Agreement, 24 November: Bosnia and Herzegovina.* Retrieved from Library of Congress: https://www.loc.gov/item/2009584228/

Vadyrynen, R. (1994). *Towards a theory of ethnic conflicts and their resolution. .* Notre Dame, IN: Joan B. Kroc Institute for International Peace Studies.

Van Evera, S. (2001). Primordialism lives! *APSA-CP: Newsletter of the Organized Section. Comparative Politics of the American Political Science Association, Vol. 12, No. 1*, 20-22.

Waterbury, M. A. (2020). Kin-State Politics: Causes and Consequences. *Nationalities Papers, Vol. 48 Iss. 5* , 799 - 808.

Wimmer, A., & Feinstein, Y. (2010). The Rise of the Nation-State across the World, 1816 to 2001. *American Sociological Review, 75* , 764-790.

აბაშიძე, ზ. (2009). *ცივი ომი - წარსული თუ დღევანდელობა.* თბილისი.

აბაშიძე, ზ. (2012). *დანგრეული კედლის ჩრდილში.* თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

აკობია, ე. (2006). *საერთაშორისო ურთიერთობების თეორია.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

ანდრონიკაშვილი, ზ. (2010). ზიგმუნდ ბაუმანის "მოდერნულობა და ამბივალენტურობა". In გ. ზედანია, *მოდერნულობის თეორიები* (pp. 13-24). თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ბერძენიშვილი, ა. (2013). *კლასიკური სოციოლოგიური თეორიები.* თბილისი.

გაჩეჩილაძე, რ. (2017). *საქართველო მსოფლიო კონტექსტში.* თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

ზედანია, გ. (2010). ნიკლას ლუმანის "დაკვირვებანი მოდერნულობაზე". In გ. ზედანია, *მოდერნულობის თეორიები* (pp. 142-149). თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კოდუა, ე., ბურძენიძე, მ., გოროზია, ვ., დონაძე, ნ., კაჭკაჭიშვილი, ი., მეზვრიშვილი, ლ., . . . ჯგერენაია, ე. (2004). *სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონ-ცნობარი.* თბილისი: ლოგო პრესი.

სმიტი, ე. (2008). *ნაციონალური იდენტობა.* თბილისი: ლოგოს პრესი.

ქილორი, უ. რ. (2015). *მეოცე საუკუნის მსოფლიო - საერთაშორისო ისტორია 1900 წლიდან.* თბილსი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჯენტელსონი, ბ. (2015). *ამერიკის საგარეო პოლიტიკა.* თბილსი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ჯონსონი, ჯ. ბ., & რეინოლდსი, ჰ. ტ. (2013). *პოლიტიკის მეცნიერების კვლევის მეთოდები.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.